საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№16 (581)
12 - 18 მაისი, 2021
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## ტრიუმფი დიუსელდორფში



23

# ციხიდან გამოგდებული «პოლიტიკური პატიმარი» 2





## არც ევროპარლამენტარების, არც ამერიკის და არც ნებისმიერი სხვა ქვეყნის ელჩის საქმე არ არის, რა ცვლილებები შევა ქართულ კანონმდებლობაში 2



## 3 უფსკრულის თავზე გაბმულ ბაგირზე სიარული

## პრეზიდენტის ინიციატივა დიდ სამამულო ომში გამარჯვების მემორიალის ლიკვიდაციას ისახავს მიზნად 8



# რა აჩუქა საბჭოთა კავშირმა ქვეყნებს, რომლებიც ახლა ოკუპანტს ეძახიან 15

### რატომ დუმან აღმოსავლეთევროპელი რუსოფობები




## «მაშ, ვინაა პატრიოტი?»



20-21

«საქართველოს მეგობრები»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ორი მუხლის ცვლილება, წესითა და რიგით, საგანგაშო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჯერ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, კელი დეგნანი, გამოვიდა და ქოში უკუღმა ყარა, მერე ევროპარლამენტში, ვისაც არ დაეზარა, ყველამ გააკრიტიკა, — აქაოდა, ეს ცვლილებები ოპოზიციის წინააღმდეგ არის მიმართულიო.**

# არც ევროპარლამენტარების, არც ამერიკის და არც ნებისმიერი სხვა ქვეყნის ელჩის საქმე არ არის, რა ცვლილებები შევა ქართულ კანონმდებლობაში

**ცვლილება №1 — „წვრილმანი ხულიგნობა (საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს) გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 1000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით. აღნიშნული დარღვევის განმეორებით ჩადენა კი გამოიწვევს დაჯარიმებას 1500-დან 2000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 5-დან 15 დღემდე ვადით. ამასთანავე, ამ ტიპის სამართალდარღვევის ჩადენისთვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით“.**

**ცვლილება №2 — „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლისა და სხვა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 2000-დან 3000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით. დარღვევის განმეორებით ჩადენა კი გამოიწვევს დაჯარიმებას 3500-დან 4500 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 7-დან 15 დღემდე ვადით. ამ ტიპის დარღვევაზეც პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით“.**



**დასავლეთს ყველაზე ნაკლებად ახლა წესრიგი აინტერესებს საქართველოში. «ჩვენი მეგობრები» მაქსიმალურად შეუწყობენ ხელს არჩევნებამდე ვითარების რადიკალურად დაძაბვას, რადგან, სადაც ვიწრო იქნება, იქ გაწყდეს და ეგებ როგორმე ის ოპოზიცია მოვიდეს ხელისუფლებაში, რომელიც მათი მითითებების უსიტყვო შემსრულებელი იყო**

ეს ორი ცვლილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდა. ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი რეალურად ყველაზე მსუბუქ დანაშაულზეა და სისხლისა თუ სამოქალაქო სამართლისგან განსხვავდება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ორი მუხლის ცვლილება, წესითა და რიგით, საგანგაშო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჯერ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, **კელი დეგნანი,** გამოვიდა და ქოში უკუღმა ყარა, მერე ევროპარლამენტში, ვისაც არ დაეზარა, ყველამ გააკრიტიკა, — აქაოდა, ეს ცვლილებები ოპოზიციის წინააღმდეგ არის მიმართულიო.

დავიწყოთ იმით, რომ არც ევროპარლამენტარებს, არც ამერიკის და, საზოგადოდ, არც ნებისმიერი სხვა ქვეყნის ელჩს არავინ ჰკითხავს, რა ცვლილებები შევა ქართულ კანონმდებლობაში. მაგალითისთვის გეტყვით: იმავე ამერიკაში, კონკრეტულად კი ჯორჯიის შტატში (ჯორჯიის შტატი შემთხვევით არ შეგვირჩევია) „თითების ლოკვის“ რიტუალი არა ნებაყოფლობითი, არამედ სავალდებულოა. 1961 წელს გამოცემული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, არალეგალურია შემწვარი ქათმის ჩანგლით, დანით ან სხვა ნებისმიერი საშუალებით ჭამა, გარდა თითებისა. 2009 წელს ერთ-ერთი ტურისტი ამის გამო ცოტა ხნით დააკავეს კიდეც. როგორ ჰგონია ქალბატონ კელის, ეს (და არა მხოლოდ ეს, ამერიკა სავსეა უცნაური კანონებით) წესი ყველას ძალიან მოსწონს ან ის ტურისტი იქნებოდა კმაყოფილი დაკავებით? და **რომ გამოვიდეს ახლა ნებისმიერი ქართველი პარლამენტარი და ამერიკას მოუწოდოს, — სირცხვილია, ეს კანონი როგორ გაქვთ, შეცვალეთო, ხომ ხვდებით, რა მოხდება?** ის პარლამენტარი პოლიტიკურ კარიერას კი დაასრულებს, მაგრამ კონგრესმენები წერილს წერილზე გამოაგზავნიან, — როგორ გაბედეთ და ჩვენს შიდა საქმეებში ჩაერიეთო. მართლებიც იქნებიან, **ვისაც რა უნდა, ის ლოკოს, მაგრამ თვითონ რომ ერევიან ჩვენს საქმეებში და ამ ყველაფერს, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას, ისე აღიქვამენ, ატყობთ? თუ უკვე ქართველი პოლიტიკოსებიც მიეჩვივნენ იმას, რომ ნებისმიერი რამ უნდა შეათანხმონ დასავლეთთან და ნებისმიერ ცვლილებაზე მათი ნებართვა უნდა მიიღონ?!** ამერიკის ელჩმა ისიც კი გაბედა, რომ პრეზიდენტს მოუწოდა, კანონს ვეტო დაადეო. საბედნიეროდ, ქალბატონმა სალომემ არ დაუჯერა. საბედნიეროდ იმიტომ, რომ უკვე პრინციპის საკითხია დამოუკიდებლად რამე გადაწყვეტილების მიღება. ჯერ ის ვერ მოგვინელებია, დასავლეთის ზეწოლით, 43%-იანი ბარიერი რომ დაწესდა მმართველი გუნდისთვის და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ალბათობა რომ გაჩნდა. ეს ამომრჩევლის ნების უპატივცემულობაა. თუ ასე არ არის, მაშინ **საარჩევნო კოდექსში ოფიციალურად ჩავწეროთ: საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გამარჯვებული პარტია მომდევნო თვითმმართველობის არჩევნებზე 43%-იან ბარიერს თუ ვერ გადალახავს, ახალი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს.** არ გამოუვიდა დასავლეთს ხელისუფლების შეცვლა, ამას ვერ ინელებენ და იმასაც მიხვდნენ, მოსახლეობის მხარდაჭერა რომ არ აქვს ე.წ. ოპოზიციას, ამიტომ ეს მზაკვრული (დიახ, მზაკვრული) გეგმა მოიფიქრეს. ეჭვი გვაქვს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 43%-ზე გაცილებით მეტი ხმა რომ მიიღოს, დასავლეთი არ აღიარებს და გაყალბებაში დასდებს ბრალს. „საქართველოს მეგობრების“ თვითმიზანი ხელისუფლების შეცვლაა და საამისოდ ყველაფერზე მიდიან.

ისევ ადმინისტრაციულ კოდექსში შეტანილ ცვლილებებს დავუბრუნდეთ. კანონი გამკაცრდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე და ეს ლოგიკურიცაა. ოპოზიცია საკუთარ თავს ყველაფრის უფლებას აძლევდა: არღვევდა რეგულაციებს, კომენდანტის საათს და ამის გამო არავინ ისჯებოდა. ადამიანებს შინ ჯდომა რომ ბეზრდებოდათ, ქუჩაში გადიოდნენ, სამართალდამცველებს ეუხეშებოდნენ და ყველაფერს სწორედ ოპოზიციის სახელით „აპრავებდნენ“. ჰოდა, **ეს ცვლილებები ერთგვარი მუხრუჭი იქნება მათთვის, რადგან მომატებული ჯარიმების ფონზე ცოტა დაფიქრდებიან, ცოტა მოერიდებიან და უფრო მეტი წესრიგი იქნება.**

**მაგრამ დასავლეთს ყველაზე ნაკლებად ახლა წესრიგი აინტერესებს საქართველოში. „ჩვენი მეგობრები“ მაქსიმალურად შეუწყობენ ხელს არჩევნებამდე ვითარების რადიკალურად დაძაბვას, რადგან, სადაც ვიწრო იქნება, იქ გაწყდეს და ეგებ როგორმე ის ოპოზიცია მოვიდეს ხელისუფლებაში, რომელიც მათი მითითებების უსიტყვო შემსრულებელი იყო.**

ერთი შეხედვით, დღევანდელი ხელისუფლებაც უსიტყვოდ ასრულებს დასავლეთის მითითებებს, გარდა ერთისა — ამჟამინდელი ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, რუსეთთან შეიარაღებულ კონფლიქტს აარიდოს თავი. ღამდენიმეჯერ სცადა ოპოზიციამ, ხელისუფლება აეძულებინა, ომი დაეწყო, იყო პროვოკაციაც, გნებავთ, საზღვართან შარვალჩახდილი აქტივისტებისა და გნებავთ, პირდაპირ ეთერში რუსეთის პრეზიდენტის გინებისა. უფრო ზუსტად, მკვდრების გინებისა, რასაც ლოგიკურად ძალიან ცუდი გაგრძელება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, კონკრეტული ჟურნალისტის გამოხდომას ოფიციალურ დონეზე არავინ აჰყვა...

იმავე დასავლეთის გადაწყვეტილებით, ციხე დატოვა **ჟორიკა რურუამ, ნიკა მელიას** კი გირაო ევროკავშირმა გადაუხადა. ჯერ რურუაზე ვთქვათ. პოლიტპატიმრის **სტატუსი ოპოზიციამ და კონკრეტულმა ტელევიზიამ რურუას ისე მიაწებეს, ვერავინ ააგლიჯა. არადა, ამერიკიდან თამარ თორაძე გაჰყვირის, — მაგ კაცმა ოჯახის წევრები დამიხოცაო, მაგრამ ამერიკაში ნათქვამი ამერიკელებს არ ესმით და ევროპაში რას გაიგონებდნენ?!** სოციალურ ქსელში ის ვიდეოც იძებნება, კონკრეტული ქალბატონი რომ საუბრობს: რურუა ციხიდან რომ გამოვიდეს, სიკვდილის მეშინიაო. რურუას „საგმირო საქმეებზე“ ლამის ნახევარი თბილისი საუბრობს; ხელს ადებენ, მკვლელიაო, მაგრამ დასავლეთს ეს არ ესმის და ესმის მხოლოდ ის, რომ რურუა თურმე პოლიტპატიმარია. **რით ჯობია ჟორიკა ბინის ქურდს, რომელიც სასჯელს იხდის? თუ ის გამოვიდა, მაშინ უფრო მსუბუქ დანაშაულზე ბრალდებულებიც უნდა გამოუშვან და დაიცალოს ციხეების ნახევარზე მეტი, მაგრამ არა — ჟორიკას უკან დასავლეთი დგას!**

ნიკა მელიამ, რომელმაც პირდაპირ ეთერში იხულიგნა, იმდენი ქნა, გირაო ევროკავშირმა გადაუხადა. მისი ხულიგნობა პირდაპირ ეთერში ვნახეთ და ამის მიუხედავად, ის, პრაქტიკულად, გამართლდა. არადა, ვიცი ადამიანები, რომლებმაც ქუჩაში ღირსების დასაცავად იჩხუბეს და ციხეში 3-4 წლით ჩასვეს.

„არ იქნება სამართალი — არ იქნება მშვიდობა!“ — ეს დასავლეთში ძალიან კარგად იციან და სწორედ ამიტომ ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მოსახლეობის უმრავლესობას სწორედ უსამართლობის განცდა ჰქონდეს. ესეც ერთგვარი ტაქტიკაა — **თუ ოპოზიციას არ ჰყავს საჭირო რაოდენობის მხარდამჭერი, მაშინ ხელისუფლებას უნდა გამოაცალო მხარდამჭერები და ისეთი ნაბიჯები გადადგა, რომლებიც სწორედ მათ მხარდამჭერებს არ მოეწონებათ. გვეეჭვება, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას რურუასა და მელიას თავისუფლება სამართლიან გადაწყვეტილებად მიაჩნდეს და ეს სწორედ ოპოზიციის წისქვილზე ასხამს წყალს.**

წინ გველოდება არჩევნები, რომელზეც დასავლეთმა პროცენტი წინასწარ დადო — არ იქნება 43%-ს პლუს ერთი ხმა და იქნება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, ეს კი ხელისუფლების ავტომატურად გადაბარებას ნიშნავს. კიდევ გავიმეორებთ: სერიოზული ეჭვი გვაქვს, რომ დასავლეთი „ქართული ოცნებისთვის“ დადებითი შედეგის შემთხვევაში არჩევნებს არ აღიარებს და ყველაფერს გააკეთებს, რათა მომავალი წლის გაზაფხულზე რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს, ხელისუფლების სათავეში მოვიდეს ხალხი, რომელიც ხელის ერთ აქნევაზე იარაღს აისხამს და გაისვრის კიდეც. ჩვენ კი...

თუ ასე გაგრძელდება, კვებისა და მონელების რეჟიმსაც ჩაურთავენ ქართველ პოლიტიკოსებს და, თუ რომელიმეს ადრე მოუნდება ტუალეტში გასვლა, მოთმენა მოუწევს, დასავლეთის ნებას რომ დაჰყვეს. შესაძლოა, ეს სასაცილოდ ჩანს, მაგრამ ამასთან ძალიან ახლოს ვართ და, რაც მთავარია, ძალაუფლების სანაცვლოდ, მოვლენების ასეთ განვითარებას არა ერთი და ორი პოლიტიკოსი დათანხმდება.

**„არ იქნება სამართალი — არ იქნება მშვიდობა!“ — ეს დასავლეთში ძალიან კარგად იციან და სწორედ ამიტომ ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მოსახლეობის უმრავლესობას სწორედ უსამართლობის განცდა ჰქონდეს. ესეც ერთგვარი ტაქტიკაა — თუ ოპოზიციას არ ჰყავს საჭირო რაოდენობის მხარდამჭერი, მაშინ ხელისუფლებას უნდა გამოაცალო მხარდამჭერები და ისეთი ნაბიჯები გადადგა, რომლებიც სწორედ მათ მხარდამჭერებს არ მოეწონებათ. გვეეჭვება, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას რურუასა და მელიას გათავისუფლება სამართლიან გადაწყვეტილებად მიაჩნდეს და ეს სწორედ ოპოზიციის წისქვილზე ასხამს წყალს**

**ბესო ბარბაქაძე**

საქართველო ექსპერიმენტების ქვეყნად ჩამოყალიბდა და, ვისაც არ ეზარება, ცდებს სწორედ აქ ატარებს. მაშინ, როცა ეკონომიკა კატასტროფულ დღეშია, როცა ეროვნული ვალუტა თავქუდმოგლეჯილი გარბის, როცა უმუშევრობის დონე პიკზეა, როცა სოციალურად დაუცველ ადამიანთა ოდენობამ ყველა დროის რეკორდი მოხსნა, დამატებითი, მოგონილი თუ თავსმოხვეული პრობლემის შექმნა საჭირო აღარ არის. მით უმეტეს, როცა ეს პრობლემა ქვეყნის უსაფრთხოებას ეხება!

ნეოკოლონიალიზმი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უფსკრულის თავზე გაბმულ ბაგირზე სიარული

## დასავლეთს არ უნდა ვაწყენინოთ, რუსეთი კი ისე უნდა ვლანძღოთ, ყელში არ ამოვუყვანოთ

**მას შემდეგ, რაც ალექსეი ნავალნიმ თავი ციხეში ამოყო, დასავლეთმა თითქოს დაივიწყა. არადა, ხომ გახსოვთ, როგორი ხმაური ატყდა: რუსი ოპოზიციონერი მოწამლეს, მოკვლას უპირებდნენ და სასწაულით გადარჩაო. ეგ კი არა და, მას სინდისის პატიმრის სტატუსიც კი მოუხსნეს, თუმცა Amnesty International-მა განაცხადა, რომ გადაწყვიტა, ალექსეი ნავალნი კვლავ აღიაროს „სინდისის პატიმრად“ მას შემდეგ, რაც ეს სტატუსი ადამიანის უფლებების მეთვალყურე ორგანიზაციამ წლის დასაწყისში მოუხსნა საპატიმროში მყოფ რუს ოპოზიციონერს მისი ადრინდელი კომენტარებისთვის, რომლებიც „სიძულვილის პროპაგანდის ზღვარზე“ იყო.**

ისე გამოვიდა, რომ პატიმარ ნავალნის იმის უფლებაც არ აქვს, კომენტარები დამოუკიდებლად აკეთოს. უფრო მეტიც, აღნიშნულმა ორგანიზაციამ ის გააფრთხილა, რომ „სინდისის პატიმრის“ სტატუსი არ ნიშნავს მისი პოლიტიკური პროგრამის აღიარებას. თურმე, ნავალნის ზოგიერთი ადრინდელი განცხადება იმსახურებს განსჯას და მათ არავითარ შემთხვევაში არ ამართლებენ... აქვე ისიც ვთქვათ, რომ ნავალნის, როგორც ლამის წმინდანს, ისე ახსენებენ ქართველი პოლიტიკოსები და ფიქრობენ, რომ ის არის ერთადერთი გზა რუსეთის გადარჩენისა. ჰო, ქართველი პოლიტიკოსები თვლიან, რომ რუსეთი გადასარჩენია და „მესია“ ნავალნია.

დაკავებულ ოპოზიციონერს აქვს ანტიკორუფციული ფონდი, რომელიც გამოძიებას აწარმოებს. მაგალითად, დაკავებამდე ნავალნი ამბობდა, რომ **ვლადიმერ პუტინმა** სამიზნეში ამოიღო, ცნობილი ბიზნესმენები **რომან აბრამოვიჩი, ალიშერ უსმანოვი** და სხვები. უფრო მეტიც: ის აკონკრეტებდა, რომ საფრთხე არა მხოლოდ ამ ბიზნესმენებს, არამედ მათ შვილებსაც ელოდათ. ანტიკორუფციულმა ფონდმა ამ მიმართულებით ძიება ჩაატარა, ფილმების სერია გადაიღო და... ეთერში მათი გაშვება ვერ მოხერხდა. ახლა კი **ამბობენ, რომ აღნიშნული ფონდის 40-მდე თანამშრომელი რუსეთიდან გაიქცა და თავი საქართველოს შეაფარაო.**

„როგორც რუსული წყაროებიდან ირკვევა, ნავალნის ანტიკორუფციული ფონდის ორმოცამდე თანამშრომელი გამოექცა პუტინის რეჟიმს და რუსეთიდან საქართველოში ჩამოვიდა. ისინი გეგმავენ სტუდიის მოსკოვიდან თბილისში გადმოტანას და გამოძიების მასალების საქართველოდან გავრცელებას“, — ეს განცხადება სოციალურ ქსელში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა **რომან გოცირიძემ** გაავრცელა. ბატონი რომანი იქვე მიუთითებს, რომ საქართველოს ხელისუფლება გონს მოეგება და რუსეთიდან გამოქცეულ ჟურნალისტებს ისე არ მოექცევა, როგორც **აფგან მუხთარლის,** რომელიც აზერბაიჯანს გადასცა. ჩვენც მუხთარლით დავიწყოთ.

**თუ გახსოვთ, როცა აზერბაიჯანელი ჟურნალისტი ოფიციალური ბაქოს ხელში აღმოჩნდა, მაშინვე ითქვა: სპეცოპერაცია ქართულმა მხარემ ჩაატარა, მუხთარლი მოიტაცა და აზერბაიჯანს მოსაკლავად მიუგდოო. რეალობა კი სხვა აღმოჩნდა. აზერბაიჯანულმა მხარემ „სასიკვდილოდ განწირული“ მუხთარლი გაათავისუფლა და ის კვლავ საქართველოშია. ჭიქაში ქარიშხლის დატრიალების შემდეგ, პრაქტიკულად, სასაცილოები გამოვჩნდით, მაგრამ ვითომც არაფერი მომხდარა, ყველამ მშვიდად გაატარა ეს ამბავი.**

რაც შეეხება ნავალნის, დავუშვათ, მისი 40-მდე თანამშრომელი მართლაც საქართველოშია გამოქცეული და აქედან ცდილობს მაუწყებლობის განახლებას. ჯერ ერთი, **რა უფლება აქვს საქართველოს, უცხო ქვეყნის მოქალაქეს სამაუწყებლო სიხშირე დაუთმოს? და მეორეც, რატომ აქვს ვალდებულება საქართველოს ხელისუფლებას, ამ ადამიანებს ხელი შეუწყოს, ცივი ნიავი არ მიაკაროს? რატომ ავალდებულებს რომან გოცირიძე მთავრობას, რომ ნავალნის 40 მომხრეს მხარში ამოუდგეს? რატომ ვართ ვალდებული ყოველთვის ჩვენ?**

ნავალნის ამერიკა და ევროპა თავისთან რომ ეპატიჟებოდნენ, მაღალ ტრიბუნებს რომ უთმობდნენ, ოღონდ კი რუსეთის ხელისუფლება ელანძღა, ახლა სად არის ის ხალხი? **დამწუხრებული სახეებით რომ დადიოდნენ დასავლელი ლიდერები, — ნავალნი მოწამლეს, ალბათ, ვერ გადარჩებაო, ახლა რატომ არიან ჩუმად? ის 40 თუ 45 თანამშრომელიც წაიყვანონ და შეიფარონ, საეთერო დროც დაუთმონ და უფრო უსაფრთხოდაც ეყოლებათ.** აბა, სად ინფორმაციის ამერიკიდან გავრცელება და სად თბილისიდან? თანაც, ამერიკულ არხებს ათჯერ და ოცჯერ მეტი მაყურებელი ჰყავთ, ვიდრე ქართულებს.

როგორ გგონიათ, რატომ არის ჩუმად ამ შემთხვევაში დასავლეთი?!

საქმე ის არის, რომ **ჩვენსავით პატარა ქვეყნებს ზესახელმწიფოები ადვილად ჩაგრავენ. როგორ წარმოგიდგენიათ, ამერიკას ან ევროპის რომელიმე დიდ სახელმწიფოს ძებნილად რომ ჰყავდეს გამოცხადებული კონკრეტული პირი, ვინმე გაბედავს, მას არათუ ოფიციალური თავშესაფარი, არამედ თანამდებობა მისცეს?** აი, საქართველოს კი გაუბედეს — **მიხეილ სააკაშვილი** უკრაინაში თანამდებობებს ყველა პრეზიდენტის პირობებში მარტივად იცვლის და ცივ ნიავს არ აკარებენ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: **უკრაინა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, მეგობარი ქვეყანაა და მთავარ ძებნილს არ გვაძლევს, თანამდებობაზე ჰყავს. რა ჰქვია ამას? იმის მიუხედავად, რომ უკრაინა ევროპის ყველაზე დიდი სახელმწიფოა, მასაც კი დასავლეთი თავის ჭკუაზე ატარებს.** დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არც **პეტრე პოროშენკოს** სურდა მიშას დანიშვნა გუბერნატორად და არც **ვლადიმერ ზელენსკის** ეხატება გულზე საქართველოს ექსპრეზიდენტი, მაგრამ ამის გაკეთება ერთსაც და მეორესაც აიძულეს — აიძულეს ევროპის ყველაზე დიდი სახელმწიფოს ლიდერებს.



**თუ ნავალნის თანამშრომლები საქართველოში ნამდვილად შემოვიდნენ, ის დროა, მშვიდად ვურჩიოთ ქვეყნის დატოვება; პარალელურად, რეკომენდაცია მივცეთ, რომ მათთვის გაცილებით საიმედო ნავსაყუდელი ევროპა ან ამერიკა იქნება და იქ უფრო მეტი ფინანსური თუ ადამიანური რესურსია. ისინი თვითონაც უნდა ხვდებოდნენ, რომ საქართველოში მათი ყოფნა, უწინარესად, ჩვენი ქვეყნისთვის არის ძალიან ცუდი და მით უმეტეს იმ შემთხვევაში, თუ საეთერო დროს მისცემენ და იმ ფილმების გაშუქებას დაიწყებენ, რომლებიც გადაიღეს და რომელთა თარგმნაც, ჩვენი ინფორმაციით, ქართულ ენაზე უკვე მიმდინარეობს**

ხომ მარტივი მისახვედრია, რომ **ის ადამიანები, რომლებიც რუსეთიდან გამოიქცნენ, მაქსიმალურად შეეცდებიან, რუსეთის ხელისუფლება ურჩხულად წარმოაჩინონ და საამისოდ ტყუილ-მართალს ერთმანეთში აურევენ. ეს ყველაზე კარგად სწორედ დასავლეთმა იცის და ამიტომ თავისი კარი მჭიდროდ მიხურა და ისე ჩანს, ნავალნის ფონდის თანამშრომლებს სათარეშოდ სწორედ საქართველოს აძლევს.**

ეს ადამიანები აქ დაფუძნდებიან, **ყველა სიკეთეს მიიღებენ, მერე დასხდებიან ეთერებში და ბოლო ხმაზე დაიწყებენ რუსეთის ხელისუფლების ლანძღვას. აი, რუსეთმა მათი ექსტრადიცია რომ მოგვთხოვოს, მერე რას ვაკეთებთ?** რა თქმა უნდა, დასავლეთის წნეხის შედეგად კატეგორიულ უარს ვეუბნებით. და **რუსეთმა რომ თქვას, ეს ადამიანები ინფორმაციულ ტერორს აწყობენო, ე.ი., ტერორისტებად შერაცხოს, ხომ გამოვა საქართველო ტერორისტთა თავშესაფარი?** ეს ყველაფერი კარგად იციან დასავლეთში და ისიც იციან, რუსეთის კანონიერ მოთხოვნას, არსებული სანქციებისა თუ მტრული დამოკიდებულების ფონზე უარს ვერ ეტყვიან და მსოფლიოს თვალში სასაცილოები გამოჩნდებიან. მაგრამ, **საქართველო თუ გამოჩნდება სასაცილო, არა უშავს, აქამდე არ გამოჩენილა თუ არ დაუცინიათ?!**

ამ თემაზე ხმამაღლა ჯერჯერობით მხოლოდ ოპოზიცია საუბრობს, ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს კომენტარი არ გაუკეთებია. იმედი გვინდა ვიქონიოთ, რომ მთავრობა მოვლენებს რეალურად შეხედავს და ნელი მოქმედების ნაღმს არ ჩადებს ქვეყანაში. ბოლო ხმაზე რომ გაჰყვირიან პოლიტიკოსები, რუსეთი ჩვენს საშინაო საქმეებში არ უნდა ჩაერიოსო (ევროპა და ამერიკა რომ ერევიან, არა უშავს), ამ ადამიანებისთვის თავშესაფრის მიცემა არ გამოვა რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევა?

**სათვალავი აგვერია, მერამდენედ გვიწევს უფსკრულის თავზე გაბმულ ბაგირზე სიარული — თან დასავლეთს არ უნდა ვაწყენინოთ, რუსეთი კი ისე უნდა ვლანძღოთ, ზღვარს არ გადავიდეთ, ყელში არ ამოვუყვანოთ. ასეთი დავალება გვაქვს მიღებული და ვაი, რომ ზედმიწევნით ვასრულებთ. საუბედუროდ, ასე იყო წინა ხელისუფლების დროს, ასეა ახლა და... ისეთი პირი უჩანს, ასე იქნება უახლოეს მომავალშიც. ყოველ შემთხვევაში, იმ ძალას, რომლითაც დასავლეთს მოქმედი ხელისუფლების ჩანაცვლება სურს, ნამდვილად შეუძლია წესების გარეშე თამაში და ამ თამაშ-თამაშით მიგვიყვანეს 2008 წელს ტერიტორიების დაკარგვამდე და ასიათასობით ლტოლვილამდე.**

თუ ნავალნის თანამშრომლები საქართველოში ნამდვილად შემოვიდნენ, ის დროა, მშვიდად ვურჩიოთ ქვეყნის დატოვება; პარალელურად, რეკომენდაცია მივცეთ, რომ მათთვის გაცილებით საიმედო ნავსაყუდელი ევროპა ან ამერიკა იქნება და იქ უფრო მეტი ფინანსური თუ ადამიანური რესურსია. ისინი თვითონაც უნდა ხვდებოდნენ, რომ საქართველოში მათი ყოფნა, უწინარესად, ჩვენი ქვეყნისთვის არის ძალიან ცუდი და მით უმეტეს იმ შემთხვევაში, თუ საეთერო დროს მისცემენ და იმ ფილმების გაშუქებას დაიწყებენ, რომლებიც გადაიღეს და რომელთა თარგმნაც, ჩვენი ინფორმაციით, ქართულ ენაზე უკვე მიმდინარეობს.

სხვა, აბა, რა გითხრათ — საქართველო ექსპერიმენტების ქვეყნად ჩამოყალიბდა და, ვისაც არ ეზარება, ცდებს სწორედ აქ ატარებს. მაშინ, როცა ეკონომიკა კატასტროფულ დღეშია, როცა ეროვნული ვალუტა თავქუდმოგლეჯილი გარბის, როცა უმუშევრობის დონე პიკზეა, როცა სოციალურად დაუცველ ადამიანთა ოდენობამ ყველა დროის რეკორდი მოხსნა, დამატებითი, მოგონილი თუ თავსმოხვეული პრობლემის შექმნა საჭირო აღარ არის, მით უმეტეს, როცა ეს პრობლემა ქვეყნის უსაფრთხოებას ეხება!

**ბესო ბარბაქაძე**

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სტამბოლის კონვენცია“ იყო ბოროტების საფუძველი, რომელიც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისთვის აწესებს ერთიან სტანდარტს. ამ სტანდარტის გამო დღეს საქართველოში დაახლოებით ოთხი ათასამდე ადამიანი — მეუღლე, იხდის სასჯელს აბსურდული ბრალდებით და ეს ტერორი გრძელდება. სხვათა შორის, ამ კონვენციის ყველაზე შენიღბული და რეპრესიული მოქმედება ვლინდება იმაში, რომ მტკიცების ტვირთი სახელმწიფო ბრალდებაზე კი არ არის, არამედ მამტკიცებელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა მოიყვანოს მამაკაცმა, რომ მას არ ჩაუდენია დანაშაული“.**

# მავნებლობები, რომლებიც მოუტანა ქვეყანას 7 წლის წინათ მიღებულმა ანტისახელმწიფოებრივმა და ანტისაზოგადოებრივმა კანონმა

**7 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ თავის დროზე საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ მიღებული ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის ამოქმედებიდან 7 წელი გავიდა. ცვლილება, რომელიც გარედან თავს მოხვეული ლიბერალური იდეოლოგიის ერთ-ერთ რეპრესიულ ინსტრუმენტად იქცა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომელთა შორის უშუალოდ ამ კანონის მიმღებნიც იყვნენ, მას დასავლური ღირებულებების ერთგულების დასტური უწოდეს; „პროდასავლურმა ოპოზიციამ“ კი, როგორც ყოველთვის, მმართველი გუნდის მისამართით კრიტიკა არ დაიშურა და განაცხადა, რომ კანონი კარგია, მაგრამ მისი ეფექტიანად აღსრულება, ხელისუფლების უნიათობის გამო, ვერ ხერხდება.**



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

## ეს კანონი ე.წ. მოწყვლად ჯგუფებს კი არ იცავს, არამედ სადამსჯელო ინსტრუმენტია ტრადიციული საზოგადოების წინააღმდეგ

სახალხო დამცველის აპარატის განცხადებაში, რომელიც ბოლო 7 წლის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს, აღნიშნულია, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის ამოქმედების შემდეგ ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რიგი სოციალური ჯგუფების უფლებები, მათ შორის გაუმჯობესდა ქალთა, რელიგიურ, ეთნიკურ და სექსუალურ უმცირესობათა უფლებრივი მდგომარეობა, რაც, ერთი მხრივ, თურმე ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია: „ამ პერიოდში გაუმჯობესდა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონმდებლობა; რიგ შემთხვევებში, საჯარო უწყებებმა თუ კერძო კომპანიებმა გაითვალისწინეს შიდა რეგულაციებისა და პოლიტიკის დაგეგმვისას თანასწორობის პრინციპი; გაიზარდა სახალხო დამცველის მიერ თანასწორობის საკითხებზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი. ამ წინსვლის შედეგად, არაერთმა ქალმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა, ლგბტ+ თემის წევრმა თუ სხვა დაუცველი ჯგუფის წარმომადგენელმა შეძლო დარღვეული უფლებების აღდგენა...“

**ცნობისთვის:** „ანტიდისკრიმინაციული კანონის ამოქმედებიდან დღემდე საქართველოში ასობით ადამიანს აბსურდული ბრალდებით დააკისრეს სამართლებრივი პასუხისმგებლობა. მათ შორის, საქმეები აღიძრა იმის გამოც, რომ მოქალაქეებმა უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს ქუჩაში, ტრანსპორტსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში ლგბტ პირების მხრიდან პროვოკაციულ ქცევაზე... „ანტიდისკრიმინაციული კანონით“, „დისკრიმინაციაა“ და შესაბამისად ისჯება, თუ, მაგალითად, მოქალაქე ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე (ან სადმე სხვაგან) მდგომ ე.წ. ტრანსგენდერს უზნეოს და ამორალურს უწოდებს...

**რა მოუტანა ქვეყანას 7 წლის წინათ მიღებულმა ანტისახელმწიფოებრივმა და ანტისაზოგადოებრივმა კანონმა, რა შეცვალა მან ადამიანების ცხოვრებაში და რა შეიძლება შეცვალოს მომავალში, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, 7 მაისს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის“ ამოქმედებიდან 7 წელი გავიდა. ალბათ, დამეთანხმებით, რომ საკმაოდ დიდი დროა დასკვნებისთვის. რა შეცვალა რეალურად ამ კანონმა, რა დღის წესრიგი მივიღეთ და რა შეიძლება შეცვალოს მან მომავალში?**

— მოკლედ ვიტყვი იმას, რაც არავისთვისაა სიახლე: ამ „კანონით“ ჩვენ მივიღეთ უმცირესობის სახელით უპრეცედენტო დიქტატურის დასაწყისი, რომლითაც უნდა დადგეს ახალი მსოფლიო წესრიგი უმცირესობათა იმ ნომინაციების მიღმა, რომლებსაც ისინი უწოდებენ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით გაერთიანებულ თემებს. ისინი თავიანთ თავს თემს უწოდებენ და ესეც, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ ხდება. **ეს უკვე არის გეგმაზომიერი, დროში გაწერილი სადამსჯელო-სპეცოპერაცია კაცობრიობის ჯანსაღი ნაწილის წინააღმდეგ... რაც შეეხება კონკრეტულად საქართველოს, ცხადია, შემთხვევითი არ არის, რომ მსგავსი ტიპის სადამსჯელო სპეცოპერაციები საკანონმდებლო დონეზე წარმოებს სწორედ იქ, სადაც რელიგია პირდაპირ განსაზღვრავს ცხოვრების წესს.** აქ, უწინარესად, ვგულისხმობ მართლმადიდებელ სახელმწიფოებს. სხვათა შორის, დღეს რუსეთი არის ერთადერთი სახელმწიფო მსოფლიოში, ბელარუსთან ერთად, რომლის ფარგლებშიც ასეთმა კაბალურმა კანონმდებლობამ ფეხი ვერ მოიკიდა. მეტიც, იქ მოქმედებს კანონი არასრულწლოვანთა გეიპროპაგანდისგან დაცვის შესახებ, რომელიც უკრძალავს სიტყვის თავისუფლების უკან ამოფარებულ გეიაქტივისტებს ქუჩაში ტრანსპარანტებით გამოსვლას. ჩემი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენთან, სამწუხაროდ, ყოველი წლის 17 მაისს გარკვეული ჯგუფები გეგმავენ და აანონსებენ ამორალურობის ზეიმს, რომლის უკან დგას 4-ტრილიონიანი ბიუჯეტის მქონე ლგბტ ლობი...

**— სხვათა შორის, ვრცელდება ინფორმაცია, რომ წელსაც იგეგმება 17 მაისისთვის გარკვეული ღონისძიებები „უმცირესობების“ უფლებების დამცველების მიერ...**

— ეჭვიც არ მეპარება და, ალბათ, ამ ყველაფერს დემონსტრაციულადაც გააკეთებენ, მაგრამ ჩვენთან, საბედნიეროდ, 17 მაისს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ოჯახის სიწმინდის დღე აღინიშნება. ეს არის უმნიშვნელოვანესი დღე, როცა ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოხატავს თავის პოზიციას — რომ საქართველოში გეიაქტივისტების მიერ თავსმოხვეული კანონმდებლობა ვერასოდეს იმუშავებს. რაც შეეხება გარე ფაქტორებს, მინდა, გავიხსენოთ, რომ, როდესაც ანტიდისკრიმინაციულ კანონს იღებდნენ, საქართველოში ჩამოსული იყო ევროკომისარი **შტეფან ფულე,** რომელიც საპატრიარქოში მივიდა და დაახლოებით ორი საათის განმავლობაში არწმუნებდა პატრიარქს, რომ ეს კანონი სულაც არ არის მიმართული ტრადიციული საზოგადოების წინააღმდეგ. გვახსოვს, ალბათ, ეს შეხვედრა და შემდეგ გაკეთებული განცხადებებიც. თუმცა მოდი, შევხედოთ რეალობას: „ანტიდისკრიმინაციულ კანონს“ წინ უსწრებს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი, რომელშიც წერია, რომ ყველანი ვართ თანასწორნი კანონის წინაშე, განურჩევლად კანის ფერის, რასის, პოლიტიკური თუ სოციალური შეხედულებებისა და კუთვნილებისა. რატომ მომყავს ახლა ეს: თუ იქ ჩაიხედავთ, დაინახავთ, რომ სექსუალური ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხზე არასდროს არანაირი ჩანაწერი არ ყოფილა. იცით, რატომ? იმიტომ, რომ შეუძლებელია, ამით მანიპულაციები არ დაიწყონ.

**— რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია თქვას, რომ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელია და ამის გამო სამსახურში დევნიან, ავიწროებენ და მოითხოვოს ის პრივილეგიები, რომლებითაც დაცული იქნება დისკრიმინაციული დევნისგან. სხვათა შორის, ასეთი მანიპულაციის შედეგად არაერთი ადამიანი ევროპაში თავშესაფარს ტყუილის თქმით იღებდა. ისინი ცრუობდნენ, რომ მიეკუთვნებოდნენ სექსუალურ უმცირესობას და ამიტომ დევნიდნენ. არ შეიძლება, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა იყოს ანტიმადისკრიმინირებელი ნიშანი ადამიანის უფლებების განხილვის პროცესში, ვინაიდან ე.წ. სექსუალური მადის ნიშნით რამე პრეტენზიის არსებობა არის უზნეობის გამოხატულების აქტი. მე ასე მესმის.

**— დავუბრუნდეთ ისევ ანტიდისკრიმინაციულ კანონს. რა არის ამ და სხვა მსგავსი „კანონების“ საბოლოო მიზანი?**

— მიზანი ნათლად ჩანს თუნდაც ჩვენს ყოველდღიურობაში. მაგალითად, ჩემს მცირეწლოვან შვილს თუ სკოლაში თავის კლასელებთან ერთად პედაგოგი გაკვეთილზე გამოუცხადებს, რომ ტრანსგენდერია და თავს არ გრძნობს იმ სქესის წარმომადგენლად, რომელსაც ბიოლოგიურად წარმოადგენს, მე ვერ უნდა გავბედო ხმის ამოღება. როგორც გითხარით, **ეს კანონი ე.წ. მოწყვლად ჯგუფებს კი არ იცავს, არამედ სადამსჯელო ინსტრუმენტია ტრადიციული საზოგადოების წინააღმდეგ, რომელსაც პროპაგანდით ვერაფერი მოუხერხეს. აი, ეს არის რეალობა და ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩემ მიერ ზევით ნახსენები კანონი, რომელიც რუსეთის ფედერაციაში მოქმედებს, ასამოქმედებელია საქართველოშიც...**

**— საქართველო 2017 წელს შეუერთდა „სტამბოლის კონვენციას“, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართულებით პრევენციულ ღონისძიებებს გულისხმობს. ეს კონვენცია თურქეთმა უკვე დატოვა იმ მოტივით, რომ იგი საფრთხეს უქმნის ოჯახის ინსტიტუტს. საქართველომაც ხომ არ უნდა გადადგას მსგავსი ნაბიჯები?**

— „სტამბოლის კონვენცია“ იყო ბოროტების საფუძველი, რომელიც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისთვის აწესებს ერთიან სტანდარტს. ამ სტანდარტის გამო დღეს საქართველოში დაახლოებით ოთხი ათასამდე ადამიანი — მეუღლე, იხდის სასჯელს აბსურდული ბრალდებით და ეს ტერორი გრძელდება. სხვათა შორის, **ამ კონვენციის ყველაზე შენიღბული და რეპრესიული მოქმედება ვლინდება იმაში, რომ მტკიცების ტვირთი სახელმწიფო ბრალდებაზე კი არ არის, არამედ მამტკიცებელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა მოიყვანოს მამაკაცმა, რომ მას არ ჩაუდენია დანაშაული.** უკვე ისე შორს წავიდა ეს პრაქტიკა, რომ, თუ ქალი ამბობს, კაცი ჩემზე ძალადობდაო, ეს აპრიორი საკმარისი საფუძველია კაცის პასუხისგებაში მისაცემად. ეს არის საზოგადოებაში სამართლიანობის განცდის დამანგრეველი პრაქტიკა და არ შეიძლება, საერთო ჰქონდეს სამართალთან. საქართველომ უნდა დატოვოს ეს კონვენცია და, დარწმუნებული ვარ, დატოვებს კიდეც, როცა გვეყოლება ეროვნული ხელისუფლება; ისევე, როგორც გააუქმებს ანტიდისკრიმინაციულ კანონს, რომლის ამოქმედებიდან დღემდე ასევე ასობით ადამიანი აბსურდული ბრალდებით პასუხისგებაშია მიცემული.

**— დღევანდელ ვითარებაში, როცა ეროვნული ხელისუფლება არ გვყავს, გამოსავალი რა შეიძლება იყოს?**

— უწინარესად, მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და **თქვენი გაზეთის მეშვეობით მივმართო ლიბერთი ბანაკს, რომელსაც ბოლო პერიოდში ძალიან აღიზიანებს ჩვენი არსებობა, ვგულისხმობ რუსულ-ქართულ საზოგადოებრივ ცენტრს, რომლის დირექტორიც ვარ. ნუთუ ასე ამოწურა თავი ქართულმა დემოკრატიამ, რომ სოროსის მიერ დაფინანსებული 250 არასამთავრობო ორგანიზაციის გვერდით ერთი ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრი პრობლემად ექცათ?!** ნუთუ ასე ძნელია მათთვის ჩვენი ატანა?! სინამდვილეში ძნელი კი არა, მოუნელებელია და მოუნელებელია იმიტომ, რომ ზუსტად იციან ერთი რამ: რაც უფრო მჭიდრო კავშირი იქნება საქართველო-რუსეთს შორის, მათ შორის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის თვალსაზრისითაც, მით მოახლოვდება მათი იდეოლოგიური აღსასრული აქ. აი ამის ეშინიათ და გული უსკდებათ. რაც შეეხება გამოსავალს, ჩვენ, საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი, რომელიც, მადლობა ღმერთს, წარმოვადგენთ უმრავლესობას, უნდა გავერთიანდეთ კონკრეტული გეგმის გარშემო. მხოლოდ ასე შეიძლება რეალური იდეოლოგიურ-პოლიტიკური ცვლილების განხორციელება იმისათვის, რომ იმ 4-ტრილიონიანი ბიუჯეტის მქონე ლგბტ ლობიმ, რომლის მიღმაც მსოფლიო გლობალისტური ელიტის ბნელი ინტერესებია დამალული, მიზანს ვერ მიაღწიოს. სხვა გამოსავალი არ არსებობს.

**«ჩვენთან, საბედნიეროდ, 17 მაისს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ოჯახის სიწმინდის დღე აღინიშნება. ეს არის უმნიშვნელოვანესი დღე, როცა ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოხატავს თავის პოზიციას — რომ საქართველოში გეიაქტივისტების მიერ თავსმოხვეული კანონმდებლობა ვერასოდეს იმუშავებს»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„**თავის დროზე სასულიერო სემინარიაშიც იყვნენ სტუდენტები, რომლებიც პირდაპირ გვეუბნებოდნენ, ჩვენ რომ მოვალთ ეკლესიაში, თქვენ, იმედია, ციხეში იქნებითო. დღეს მათი ნაწილი სასულიერო პირია. მათ შორის იყო ნიკოლოზ ინასარიძე, რომელიც მერე უგულავამ დანიშნა თავის მრჩევლად, მერი როცა იყო, და 6000 ლარს უხდიდა საქართველოს ბიუჯეტიდან**“.

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მამა გიორგი (რაზმაძე):

# რასაც ახლა ვხედავთ — მივარდნებსა და პროვოკაციებს ეპარქიებში, ლიბერალური იდეოლოგიის სიკვდილისწინა პერიოდის ისტერიკაა

**რამდენიმე დღის წინათ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართლომემ ერთ-ერთ ლიბერალურ „მედიასაშუალებასთან“ ინტერვიუში უკრაინაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ორი წლის წინათ უკრაინის ეკლესიისთვის თვითნებურად მინიჭებული ავტოკეფალიის სხვა ადგილობრივი ეკლესიების მიერ აღიარებას რუსეთის საპატრიარქო ხელს ვერ შეუშლის. მისი თქმით, მოსკოვს არ შეუძლია, ამ პროცესში ჩაერიოს და ვინმეს რამე აიძულოს, ამიტომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო აღიარებს უკრაინის ავტოკეფალიას, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციიდან აფხაზეთისა და ცხინვალის გაყვანის საფრთხე არ არსებობს. კონსტანტინოპოლის პატრიარქის შეფასებით, რუსეთის საპატრიარქოს, დიდი ხანია, სჭირს „დაავადება მესამე რომისა“, რაც გამოიხატება იმაში, რომ მას სურს, გაფართოვდეს და წინამძღოლობდეს მართლმადიდებელ სამყაროს: „კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ რუსეთის ეკლესია არაერთხელ შეეცადა, ხორცი შეესხა მესამე რომის იდეისთვის, გამხდარიყო მართლმადიდებელთა ლიდერი, მაგრამ როგორც ხედავთ, აგერ უკვე 600 წლის განმავლობაში ვერ აისრულა და ვერც აისრულებს...“**

## «ბართლომე ძალიან ცდება, როცა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიაზე საუბრობს. რომელ ავტოკეფალიაზეა საუბარი, რჯულის კანონში ჩაიხედონ ლიბერალებმა»

შეგახსენებთ, რომ ბართლომემ რუსეთის დედაეკლესიის შემადგენლობაში არსებული უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობა 2018 წლის 15 დეკემბერს კიევში, წმინდა სოფიას ტაძარში ჩატარებულ გაერთიანებულ კრებაზე გამოაცხადა, რაც საეკლესიო კანონიკის უხეში დარღვევაა. იმავე დღეს წინამძღოლად აირჩიეს მიტროპოლიტი **ეპიფანე.** მოგვიანებით გადაწყვეტილებას, რომელსაც აშკარად პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, რამდენიმე ადგილობრივმა ეკლესიამ დაუჭირა მხარი (საბერძნეთის, კვიპროსის და ა.შ.), მაგრამ საქართველოს საპატრიარქომ, მიუხედავად არაერთი პირდაპირი თუ ირიბი ზეწოლისა სხვადასხვა ძალების მხრიდან, ამ უკანონო გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა.

**გრძელდება თუ არა დღესაც წნეხი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე, ვის და რა მიზნით შეიძლება სურდეს ქვეყნის ჩათრევა, ერთი მხრივ, რუსეთ-უკრაინის, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთისა და ლიბერალური დასავლეთის იდეოლოგიურ დაპირისპირებაში, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, მსოფლიო პატრიარქმა ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთის საპატრიარქოს არ შეუძლია, ვინმეს ავტოკეფალია მიანიჭოს, რადგან ეს მხოლოდ მსოფლიო პატრიარქის ექსკლუზიური უფლებაა. მან დასძინა, რომ, თუ ჩვენი ეკლესია აღიარებს უკრაინის ავტოკეფალიას, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების გაყვანის საფუძველი არ არსებობს. რას ფიქრობთ ამ შეფასებაზე?**

— დავიწყოთ იმით, რომ ადამიანებს, რომლებიც დღეს ყველაზე მეტს საუბრობენ ეკლესიის შიგნით ვითომ არსებულ პრობლემებზე, დაპირისპირებაზე და სიუჟეტს სიუჟეტზე აკეთებენ ამ თითიდან გამოწოვილ თემებზე, ეს ქვეყანა საერთოდ არ აინტერესებთ. ეს არის ხალხი, რომელიც იძინებს და იღვიძებს იმაზე ფიქრით, ოღონდაც რომელიმე სასულიერო პირს რამე შეეშალოს, რომ მაშინვე ხმაური და წივილ-კივილი ატეხოს. სხვათა შორის, **ადრე ჩასაფრებულები იყვნენ, არაფერი გამორჩენოდათ და ელოდებოდნენ შესაძლებლობას, ეკლესიისთვის ჩირქის მოსაცხები რამე აბსურდი შეეთხზათ. ახლა სხვანაირადაა — კი არ ელოდებიან, რა მოხდება, მიდიან, უვარდებიან ეპარქიებს, ძალადობენ ტაძრებში და სრულიად არაფრისგან ხელოვნურად ქმნიან დაძაბულობას, რათა მერე სამღვდელოების მადისკრედიტებელი კამპანია აწარმოონ. ეს ამ დღის წესრიგის შემადგენელ „ჩვეულებრივ“ ნაწილად იქცა...** რაც შეეხება კონკრეტულად მსოფლიო პატრიარქთან ინტერვიუს, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, **ეჭვი მეპარება, გიორგი თარგამაძეს, რომელსაც ხელი დაადეს და დაუმტკიცეს კოდუებთან კავშირი სააკაშვილის პერიოდში, ან უკრაინის ეკლესიის ბედი ადარდებდეს, ან საქართველოსი. კაცმა ჯერ ასლან აბაშიძეს უღალატა, მერე — ბადრი პატარკაციშვილს და სააკაშვილის ჯიბის ოპოზიციად იქცა; ვინმეს სჯერა, რომ მას ქვეყნის სასიკეთო რამ ამოძრავებს?!**

**— უშუალოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქის პოზიციაზე რას იტყვით?**

— არ მინდა, ვინმეს შევეხო, მაგრამ, თუ არ ვცდები, კონსტანტინოპოლის პატრიარქს კათოლიკური სასწავლებელი აქვს დამთავრებული... ვფიქრობ, ბართლომე ძალიან ცდება, როცა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიაზე საუბრობს. რომელ ავტოკეფალიაზეა საუბარი, რჯულის კანონში ჩაიხედონ ლიბერალებმა... ამ საკითხზე აბსოლუტურად სწორი პოზიცია უკავია უწმინდესს, როცა არც მწვადს წვავს და არც შამფურს. ჩვენ ვერ ვიქნებით მხარე ამ უმწვავეს, მე ვიტყოდი, არა მხოლოდ რელიგიური, არამედ იდეოლოგიური და პოლიტიკური შინაარსის დაპირისპირებაში... აი, ეს არის რეალობა, თორემ სინამდვილეში **არც მსოფლიო პატრიარქის პრეროგატივაა აფხაზეთის ან სამაჩაბლოს აღიარება-არაღიარება, არც რუსეთის და არც სხვა ვინმესი. ეს რეგიონები საქართველოსია და ყოველთვის იქნება საქართველოს ეკლესიის შემადგენელი.**

— იმ ხალხს, რომელიც ფიქრობს, რომ უკრაინის ავტოკეფალია საქართველომაც უნდა აღიაროს, ხშირად „არგუმენტად“ მოჰყავს ის, რომ ზოგმა ადგილობრივმა ავტოკეფალურმა ეკლესიამ უკვე გადადგა ეს ნაბიჯი. მაგალითად, საბერძნეთისა და კვიპროსის ეკლესიებმა...

— ყველა ადგილობრივი ეკლესიის ხელმძღვანელობა თვითონ იღებს გადაწყვეტილებას და ეს მათი საქმეა. ისე, ცნობისთვის: ათონის მთის იმ მონასტრებმა, რომლებმაც დროზე მიიწვიეს მწვალებელი უკრაინელი „სასულიერო პირები“ წირვის ჩასატარებლად, ყველამ დაწვა ოდიკი, ყველამ გამოთქვა სინანული, მათ შორის ვატოპედის, ქსენოფონტეს, სტავრონიკიდის მონასტრებმა და ა.შ.

**— კი მაგრამ, თავის დროზე რატომ მიიწვიეს?**

— არ ვიცი, ალბათ, ადამიანური მომენტია, ალბათ, შიშის გამო. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ როდესაც ვკითხეთ, რატომ მიიღეს უკრაინელები, გვიპასუხეს, მონასტრის სიმშვიდეს გავუფრთხილდითო. რაც შეეხება საქართველოს და იმ პირდაპირ თუ ირიბ წნეხს ჩვენზე, რომელიც უკრაინის ეკლესიის ე.წ. ავტოკეფალიის აღიარებას უკავშირდება, **ის ხალხი, რომელიც მუდმივად სპეკულირებს ამ თემებით, სინამდვილეში უკრაინის ან საქართველოს კეთილდღეობაზე კი არ ფიქრობს, რეალურად მათი მიზანია საქართველოს ჩათრევა ლიბერალურ დასავლეთსა და რუსეთს შორის მიმდინარე იდეოლოგიურ დაპირისპირებაში, რომლის ერთ-ერთი ასპექტი არის ეკლესია და სარწმუნოება.** აი, ეს არის ძირითადი ქვეტექსტი ამ ყველაფრის, თორემ ისინი ეკლესიის მტრები რომ არიან, ეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩანს! ისე, ბოლო პერიოდში ლიბერალურ პროპაგანდას თემა აღარ დარჩა, აბსურდში არიან გადასული. როცა ვიღაც იტყვის, რომ ახალ პარტიას ქმნის, თურმე პუტინის აგენტია; ვიღაც ანტილიბერალურ აქციას ჩაატარებს, თურმე „კრემლიდან ფინანსდება...“ ის კი არა, ლამის ხინკლისა და მწვადის სიყვარულიც რუსეთუმეობად გამოაცხადონ. **რომ არ შეგეხონ, აუცილებლად უნდა იყო მამათმავლების დამცველი, ბრმა მედასავლეთე ლიბერალი და ვეგანი...** აი, ეს ხალხი გველაპარაკება დღეს ჩვენ იმაზე, რა პოზიცია უნდა დაიკავოს ეკლესიამ და როგორ მოიქცეს ამა თუ იმ ვითარებაში...

**— ინტერვიუში მსოფლიო პატრიარქმა ისიც აღნიშნა, რომ რომელიმე ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება-არმინიჭების საკითხი მხოლოდ მისი ექსკლუზიური უფლებაა.**

— მას ჰგონია, რომ მსოფლიო პატრიარქობა ყველას უფროსობას ნიშნავს. ეს, რა თქმა უნდა, მცდარი დამოკიდებულებაა. კი, მას შეიძლება, მოსახსენებელში პირველად იხსენიებდნენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, სხვის საეკლესიო იურისდიქციაში ჩარევის უფლებას. ეს ერთი; და მეორე — **კანონიკურად ავტოკეფალია ენიჭება იმ ეკლესიას, რომელშიც მოციქულმა იქადაგა... ისე, ცნობისთვის, ჩვენი ეკლესია ისტორიულად კონსტანტინოპოლზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ ანტიოქიის საპატრიარქოზე.** გაიხსენეთ **ვახტანგ გორგასლის** ცხოვრება, რომელსაც, მოგეხსენებათ, კბილები ჩაუმტვრია **პატრიარქმა მიქაელმა** და ეს კბილები მან ანტიოქიის პატრიარქს გაუგზავნა; ნიშნად იმისა, რომ უსამართლოდ ეურჩებოდა მიქაელი. შვილობილობა ჩვენ ანტიოქიის საპატრიაქოსი უფრო გვმართებს, ვიდრე კონსტანტინოპოლის; ასე რომ, ამ საკითხს სხვა კუთხიდანაც უნდა შევხედოთ...

**— ბოლო პერიოდში გახშირდა პროვოკაციები სხვადასხვა ეპარქიაში, გახშირდა თავდასხმები, მათ შორის ფიზიკურიც, მაღალ იერარქებზე... რით არის ეს გამოწვეული, რატომ გააქტიურდნენ ახლა ასე განსაკუთრებით ეს ძალები საპატრიარქოსა და კონკრეტული სასულიერო პირების წინააღმდეგ?**

— ძალიან მარტივი ახსნა აქვს ამ ყველაფერს. მიუხედავად უზარმაზარი დაფინანსებისა და პოლიტიკური მხარდაჭერისა, რომელსაც ისინი დასავლეთიდან იღებენ, ეს ძალები დავალებას ვერ ასრულებენ. უშედეგოა მათი მცდელობები. აი, ეს არის მიზეზი იმისა, რომ აბსურდში არიან გადასული და ის, რასაც ახლა ვხედავთ — მივარდნებსა და პროვოკაციებს ეპარქიებში, არის ჩვეულებრივი ლიბერალური იდეოლოგიის სიკვდილისწინა პერიოდის ისტერიკა. რაც შეეხება იმ ე.წ. ღვთისმეტყველებს, მათ შორის ყოფილ დეკანოზ **კობახიძეს,** რომელიც გამოჰყავთ და ათას სისულელეს ალაპარაკებენ, ეკლესიამ იცის მხოლოდ სამი ღვთისმეტყველი: **იოანე, სიმონი** და **გრიგოლი.** ისინი არანაირი თეოლოგები არ არიან, ისინი არიან ჩვეულებრივი 30 ვერცხლად გაყიდული იუდები, რომლებიც ფულს იღებენ ეკლესიის მტრობაში. სხვათა შორის, **თავის დროზე სასულიერო სემინარიაშიც იყვნენ სტუდენტები, რომლებიც პირდაპირ გვეუბნებოდნენ: ჩვენ რომ მოვალთ ეკლესიაში, თქვენ, იმედია, ციხეში იქნებითო. დღეს მათი ნაწილი სასულიერო პირია. მათ შორის იყო ნიკოლოზ ინასარიძე, რომელიც მერე უგულავამ დანიშნა თავის მრჩევლად, მერი როცა იყო, და 6000 ლარს უხდიდა საქართველოს ბიუჯეტიდან.** ისე, ვინც არ იცის, ის იყო პირველი ცრუ მღვდელმონაზონი, რომელიც, სანამ ბართლომე ავტოკეფალიას მიანიჭებდა უკრაინას, მანამდე გაჰკიოდა ამ თემაზე. მახსოვს, პირადად **მამუკა ახვლედიანი** აცილებდა ხოლმე მას აეროპორტში, როცა ქვეყნიდან მიემგზავრებოდა... აი, ეს ხალხია დღეს ეკლესიის წინააღმდეგ დარაზმული და გვიკითხავს „მორალს“, თუმცა მათ ერთი რამ ავიწყდებათ და, როგორც ჩანს, ეს მათი ბედისწერაა — რაც მეტად უპირისპირდებიან, ჭეშმარიტება მით მეტად ძლიერდება, მათ რეალურ ზრახვებს უფრო ეხდება ფარდა, ცხადი ხდება ყველასთვის, რა სურთ და ვის ინტერესებს ემსახურებიან...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

> «ეჭვი მეპარება, გიორგი თარგამაძეს, რომელსაც ხელი დაადეს და დაუმტკიცეს კოდუებთან კავშირი სააკაშვილის პერიოდში, ან უკრაინის ეკლესიის ბედი ადარდებდეს, ან საქართველოსი. კაცმა ჯერ ასლან აბაშიძეს უღალატა, მერე — ბადრი პატარკაციშვილს და სააკაშვილის ჯიბის ოპოზიციად იქცა. ვინმეს სჯერა, რომ მას ქვეყნის სასიკეთო რამ ამოძრავებს?!»

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩათვალეთ, რომ ჩვენ ეს გვირაბი მოსკოვის ქვეშ გაგვყავს. ამ გვირაბით დავასრულებთ კრემლის მიერ საქართველოს ოკუპაციის მრავალსაუკუნოვან ისტორიას და ამავე გვირაბით შემოვიყვანთ საქართველოში დასავლურ ცივილიზაციას! — ამ სიტყვების დასრულებისთანავე ნიკას მხარზე ღონივრად დაჰკრა ხელი და ცხენივით აჭიხვინდა.**



# ციხიდან გამოგდებული «პოლიტიკური პატიმარი»

## ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

### მეთხუთმეტე გამოშვება

„ყველა უაზრობას თავისი ლოგიკა აქვს!“
უილიამ შექსპირი

„შეკითხვა, რომელიც ჩიხში მაქცევს:
მე ვარ შეშლილი თუ ჩემ ირგვლივ
ყველა შეიშალა?!“
ალბერტ აინშტაინი

* * *

კართან ზარის ხმა რომ გაისმა, გაუკვირდა, ასე გვიან ვინ უნდა ყოფილიყო. კედლის საათს გახედა, ისრები თორმეტთან დაწყვილებულიყვნენ. კარი ისე გააღო, არც ჭუჭრუტანაში გაუხედავს და არც უკითხავს, ვინ მოადგა ამ უდროო დროს მის სახლს.

— ნიკა? — გაკვირვებისგან ლამის გაშეშდა.

— ნიკა ვარ, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა მაღალმა, მელოტმა მამაკაცმა, რომელიც ისე ჩქარა შევარდა სახლში, თითქოს შეეშინდა, კარი ცხვირწინ არ მომიხურონო.

— ნიკა ვარ, ოთო, — გაიმეორა მან და ვიწრო შემოსასვლელიდან მისაღები ოთახი შეათვალიერა, — ხომ მარტო ხარ?

— მარტო ვარ, კი. შენ რა, გამოგიშვეს?

— გამომიშვეს. გამომიშვეს რა? გამომაგდეს...

— მოდი, — შეიპატიჟა მასპინძელმა მისაღებ ოთახში, რომლის ფართობი დიდად არ აღემატებოდა ვიწრო შემოსასვლელს.

აღელვებული სტუმარი მასპინძლის მიერ შეთავაზებულ სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა. ისედაც თეთრი პირისკანი გაფითრებოდა, ელექტრონის შუქზე მელოტი თავი ყვითლად უპრიალებდა და მუქი თვალები ჩქარ-ჩქარა გადაჰქონდა საგნიდან საგანზე.

— ბევრი ლაპარაკის არც დრო მაქვს და არც თავი, — დაიწყო სტუმარმა, — უნდა გადამარჩინო...

— მე უნდა გადაგარჩინო? — გაეღიმა, — მე შენ მგონიხარ ქვეყნის გადამრჩენელი, — ღიმილი სიცილში გადაუვიდა და ბოლოს ხმამაღლა ახარხარდა.

— შენ მთელი ცხოვრება ქილიკში გაატარე, მაგრამ მეგობრისთვის ხელის გამართვა ყოველთვის იცოდი.

— მომიყევი, რა ხდება, როგორ გამოგიშვეს და მე რა დახმარების გაწევა შემიძლია?

— **ამ ნაბოზრებმა ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ციხიდან გამომაგდეს, პოლიტიკური პატიმარი რომ არ ჰყოლოდათ. ხომ იცი, დასავლეთი ამას არავის მიუტევებს. არც გირაოს გადახდას რომ არ დავთანხმდი და ამნისტიით გამოსვლაზეც უარი რომ განვაცხადე, მომკიდეს ხელი და, ყოველგვარი იურიდიული საფუძვლის გარეშე, საკნიდან გარეთ მისროლეს.**

— ვაჰ, ეგრე როგორ, კაცო? ვაჰ! — მართლა ძალიან გაუკვირდა მასპინძელს, — იურიდიული საფუძვლის გარეშე ციხიდან გამოგდება სად გაგონილა? ვაჰ...

— ჰოდა, მე მაგათ ეგ რომ შევარჩინო, პოლიტიკური პატიმარი კი არა, ბითური გამოვდივარ, გესმის?!

— რას აპირებ? — დაინტერესდა შეჩქვიფებული მასპინძელი, — არ შეარჩენ, რა, რას უზამ?

— ყური დამიგდე, — სავარძლიდან წამოიწია, რომ მასპინძელს ცოტათი მიახლოებოდა და ხმადაბლა გაანდო გულისნადები. — შენი სახლი საპყრობილესთან ახლოსაა. ციხის გალავნის უკანა კედლიდან ოციოდე მეტრი თუ გაშორებს. იმ გალავნიდან კი ჩემს ყოფილ საკნამდე ათი მეტრიც არ იქნება. ოცი-ოცდახუთი მეტრის ვიწრო გვირაბს კარგი მუშაობით რამდენიმე დღეში გავთხრი და კვლავ ჩემს 224-ე საკანში აღმოვჩნდები.

— რას ამბობ?! — აღმოხდა გაოგნებულ მასპინძელს.

— ოთო, ეს გადაწყვეტილი ამბავია, ძმობას გაფიცებ, ჩემ გადარწმუნებას ნუ შეეცდები. იცოდე, სამუდამოდ დაგკარგავ. ციხიდან ისე გამომაგდეს, თითქოს ვიღაც ნაბიჭვარი ვიყო. ამას როგორ შევარჩენ, პოლიტიკას რომ თავი დავანებო, ღირსების საქმეა, გესმის?! შენგან სამი რამ მჭირდება: თანხმობა, მიწის გატანაში დახმარება და საკვების მოწოდება. სხვა დანარჩენი, რაც ამ საქმეს სჭირდება, ამ ჩანთაში მაქვს, — თვალებით მოზრდილი ჩანთისკენ მიანიშნა, — თანხა, რაც დაგვჭირდება, მაქვს. გვირაბის გათხრას შენი სახლის სარდაფიდან დავიწყებ, შევთანხმდით? ჰო, შენ პასუხისმგებლობის ნუ შეგეშინდება. კანონმდებლობა ციხიდან გაქცევის მიზნით გვირაბის გაყვანისთვის სასჯელს ითვალისწინებს, მაგრამ ციხეში შესასვლელად გვირაბის გათხრა ჯერ არავის მოსვლია თავში და, აქედან გამომდინარე, ეს ქმედება არ ისჯება. ასე, რომ არაფერი გემუქრება.



— კი მაგრამ, გვირაბის გათხრა სპეციალური სქემით ხდება. გვირაბს ალალბედზე როგორ გათხრი, რა იცი, სად უნდა ამოჰყო თავი?

— სანამ შენთან მოვიდოდი, ერთ მეგობართან ვიყავი. ძალიან პატივსაცემი კაცია და სპეციალობით გვირაბების მშენებელია. ამაღამ ამ საკითხზე იმუშავებს. ხვალ კი აქ მოვა და ყველაფერს, რაც ამ საქმეს სჭირდება, მოიტანს. შენი მისამართი უკვე მივეცი. მუშაობას დღესვე უნდა შევუდგე.

— დღეს ვივახშმოთ, გეგმა შევიმუშავოთ, ყველაფერი ავწონ-დავწონოთ, მერე დაისვენე, გამოიძინე, ხვალ ის შენი მეგობარიც მოვა და, რაკი არ იშლი, შეუდექი საქმეს.

ნიკასაც სხვა გზა არ ჰქონდა, მეგობრის რჩევას დაჰყვა. ოთომ სახელდახელო სუფრა გაშალა, ჭიქები ქარვისფერი ღვინით შეავსო და მეგობრობის სადღეგრძელო შესვა. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა. სამშობლოს სადღეგრძელოს მერე ნატოსა და ევროკავშირის სადღეგრძელო შეისვა და დილის სამი საათი ხდებოდა, დასაძინებლად რომ დაწვნენ...

**მეორე დღეს, ათ საათზე, ოთოს სახლს ვიღაც მაღალი, ლიპიანი კაცი მოადგა. ვიდრე დილის სტუმარი დაილაპარაკებდა, ოთო უკვე მიხვდა, რომ ეს სწორედ ის იყო, ვისგანაც ნიკა გვირაბის გაყვანისთვის საჭირო სქემას ელოდებოდა. სტუმარს ცხენისთავივით ჩამოგრძელებულ სახეზე უაზრო ღიმილი ჰქონდა აფარებული და დროდადრო წინა კბილებს ტუჩების ისე უცნაური მოძრაობით გადმოყრიდახოლმე, თითქოს ლაგამი აქვს ამოდებულიო. ისეთი ტლანქი აღნაგობა ჰქონდა, ოთოს ეჭვი შეეპარა, შარვალი უკუღმა ხომ არ აცვიაო.**

— მიხეილი მქვია, — გაეცნო იგი მასპინძელს, — ისე, ყველა მიშას მეძახის, თქვენც მიშა დამიძახეთ, — თქვა და, თითქოს ძალიან სასაცილო რამ ეთქვას, ისე ახვიხვინ-აჭიხვინდა, ოთომ უნებურად უკან დაიხია. ამასობაში ნიკაც გამოვიდა და მასპინძელმა ორივენი სახლის სარდაფში ჩაიყვანა, სადაც დაახლოებით ერთი საათი ითათბირეს... შემდეგ, სტუმარი წამოდგა.

— ზუსტად ერთი კვირის თავზე აქ გავჩნდები და ვითარებას საკუთარი თვალით ვნახავ. — მერე წამით დაფიქრდა და დარცხვენილივით ხმადაბლა ჩაილაპარაკა, — რომ რამე იყოს, ერთმანეთს არ ვიცნობთ. აბა, თქვენ იცით...

მიხეილი წავიდა. ნიკამ წინასწარ მომარაგებული სპეციალური ტანსაცმელი ჩაიცვა, ქუდის კეპზე პატარა ფანარი დაიმაგრა, ხელში მოკლეტარიანი წერაქვი და ნიჩაბი მოიმარჯვა და გვირაბგამყვანის მიერ გადმოცემული სქემის მიხედვით მიწის თხრას შეუდგა...

* * *

ნიადაგი ზუსტად ისეთი გამოდგა, როგორიც გვირაბების სპეციალისტმა ივარაუდა — რბილი, ნაკლებად ქვიანი და ადვილად დასამუშავებელი. მიუხედავად ამისა, სამუშაო იმაზე გაცილებით მძიმე აღმოჩნდა, ნიკას რომ წარმოედგინა, მაგრამ არ გატყდა, დაწყებულ სამუშაოს მონდომებულად შეუტია და წინ მიიწევდა. თხრაზე გაცილებით ძნელი მიწის გამოტანა ჩანდა, რასაც თუნუქის ვედრომომარჯვებული და მშენებლის ხელთათმნებით აღჭურვილი ოთო აკეთებდა. პირველ დღეს თითქმის სამი მეტრი გათხარეს. დაქანცულები იყვნენ, მაგრამ შედეგით კმაყოფილები დარჩნენ. ასეთი ტემპით ამ მძიმე საქმეს, ერთ კვირაში თუ არა, ათ დღეში მაინც მორჩებოდნენ. **ნიკას იმედი ჰქონდა, რომ გამოცდილების მიღების შემდეგ უფრო ნაყოფიერად იმუშავებდა. ვიწრო გვირაბში თხუნელასავით შემძვრალს ის აზრიც უტრიალებდა თავში, რომ გვირაბის ჩამოწოლის შემთხვევაში აუცილებლად დაიღუპებოდა, მაგრამ ამ აზრს სწრაფად იცილებდა თავიდან და იმ ბედნიერ წუთზე ფიქრობდა, წერაქვის უკანასკნელი მოქნევის შემდეგ 224-ე საკანში რომ აღმოჩნდებოდა.** ოფლში გაღვრილი და ქანცგაცლილი მიიწევდა წინ და გრძნობდა, რომ **ციხის საკნისკენ მისი ეს უცნაური ლტოლვა არაფრით ჩამოუვარდებოდა ციხიდან თავისუფლებისკენ მიმავალი გვირაბის მთხრელის ლტოლვას. პირიქით — რაღაცით აღემატებოდა, ვინაიდან ერთია თავისუფლების სიყვარულით ციხიდან გაქცეულის ვნებები; მეორე კი, ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ჩამდგარი პოლიტიკოსის თავგანწირვა საკუთარი ხალხის ნათელი მომავლისთვის. პირველი თუ ეკლიანი გზებით თავისუფლებისკენ პიროვნული სწრაფვის კულმინაციაა, მეორე სამშობლოსთვის გმირული თვითშეწირვის აპოთეოზია...**

ცივი იყო მიწა, ცივი და ნოტიო, მაგრამ თვითონ ისე ცხელოდა, ხვითქი გასდიოდა, ოფლში იღვრებოდა ▶

**ოფლში გაღვრილი და ქანცგაცლილი მიიწევდა წინ და გრძნობდა, რომ ციხის საკნისკენ მისი ეს უცნაური ლტოლვა არაფრით ჩამოუვარდებოდა ციხიდან თავისუფლებისკენ მიმავალი გვირაბის მთხრელის ლტოლვას. პირიქით — რაღაცით აღემატებოდა, ვინაიდან ერთია თავისუფლების სიყვარულით ციხიდან გაქცეულის ვნებები; მეორე კი, ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ჩამდგარი პოლიტიკოსის თავგანწირვა საკუთარი ხალხის ნათელი მომავლისთვის. პირველი თუ ეკლიანი გზებით თავისუფლებისკენ პიროვნული სწრაფვის კულმინაციაა, მეორე სამშობლოსთვის გმირული თვითშეწირვის აპოთეოზია**

**„სწორად მოვიქეცი“, — ფიქრობდა და გულში გამარჯვებას ზეიმობდა. „ხალხი გამომიყვანს ციხიდან, არავითარი გირაო, არავითარი ამნისტია, მე, როგორც გმირ წინამძღოლს, ხალხი გამათავისუფლებს, ხალხის ძალას წინ ვერავინ აღუდგება!“ — ხარობდა ნიკა და უზარმაზარი თაიგულებით მისკენ დაძრულ ცოცხალ ტალღას ხელებგაშლილი და ყურებამდე გაღიმებული ეგებებოდა.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ და უჰაერობისგან გონება ებინდებოდა. მაინც მარდად იქნევდა მოკლეტარიან წერაქვს და ადვილად დამყოლ, რბილ მიწას თხრიდა და თხრიდა. რაც უფრო ღრმად გაჰყავდა გვირაბი, მით ძნელდებოდა მიწის გამოტანა, მაგრამ მეგობრისთვის მხარში დგომის თანდაყოლილმა თვისებამ ოთოც შრომის აზარტში ჩაითრია და საქმე ისე წავიდა, რომ რამდენიმე დღეში, მათი გათვლით, უკვე ციხის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ.

ერთი კვირის თავზე ოთოს სახლს გვირაბების მშენებლობის სპეციალისტი ისევ მოადგა. მან ოთოს სარდაფში გვირაბგამყვანის ისეთივე სკაფანდრი ჩაიცვა, როგორიც ნიკასა და ოთოს ეცვათ, და გვირაბში შეძვრა. გზადაგზა რაღაცას ზომავდა, ციფრებს ქაღალდზე ინიშნავდა, შემდეგ ერთმანეთს ადარებდა და გვირაბის ბოლოსკენ მიიწევდა. ბოლოში გასულმა კიდევ რაღაც იანგარიშა და გრძელ სახეზე ღიმილი გადაეფინა.

**— 224-ე საკნის ქვეშ ვიმყოფებით. ვერტიკალურად ორი მეტრის გათხრა და გვირაბი ზუსტად საწოლთან ამოვა, — თქვა მან. მერე ნიკას ნიჭი და მიზანსწრაფულობა შეუქო. არც საკუთარი დამსახურება დავიწყნია. — იციით, რამდენი გვირაბი მაქვს დაპროექტებული და გაყვანილი? ნამდვილი გვირაბი ხომ რთული საინჟინრო ნაგებობაა, მაგრამ ცხოვრებაში უფრო რთული გვირაბების გაყვანა გვიწევს. კვეხნით არ ვამბობ, მაგრამ, რომელი გვირაბის გათხრაც დამიწყია, ყველა წარმატებით დამისრულებია. ამ გვირაბის მშენებლობასაც წარმატებით დავაგვირგვინებთ.**

შემდეგ ოთოს, რომელიც ამ უცნაურად მოლაპარაკე ახმახს ქვემოდან ამოჰყურებდა, დაბეჯითებით უთხრა: — **ჩათვალეთ, რომ ჩვენ ეს გვირაბი მოსკოვის ქვეშ გაგვყავს. ამ გვირაბით დავასრულებთ კრემლის მიერ საქართველოს ოკუპაციის მრავალსაუკუნოვან ისტორიას და ამავე გვირაბით შემოვიყვანთ საქართველოში დასავლურ ცივილიზაციას! — ამ სიტყვების დასრულებისთანავე ნიკას მხარზე ღონივრად დაჰკრა ხელი და ცხენივით აჭიხვინდა.** მერე საბოლოო რჩევაც დატოვა: — გვირაბის გათხრა დილის ოთხიდან ხუთ საათამდე უნდა დასრულდეს, ვინაიდან ამ პერიოდში ადამიანის ორგანიზმი, თუნდაც არ ეძინოს, მაქსიმალურად მოთენთილია, რის გამოც ციხის დაცვისა და ზედამხედველობის სმენას ნაკლებად მისწვდება ჩქამი, უჩვეულო ხმაური, რომელსაც, მას შემდეგ, რაც გვირაბი ზედაპირს მიუახლოვდებოდა, მიწის ერთბაშად ჩამოშლა გამოიწვევს...

იმ ღამეს ნიკა განსაკუთრებით ღელავდა, დათქმულ დროს მუშაობა განაახლა. თან თხრიდა, თან წარამარა საათის ისრებს დასცქეროდა. რაკი ვერტიკალურად თხრიდა, ზემოდან ჩამონაშალი მიწა თავსა და სახეზე ეყრებოდა.

თხრიდა...

**ზემოდან სიბნელე და სიცარიელე დასცქეროდა. გვირაბის კედლებს მოეჭიდა და სხეული, როგორც იქნა, ზემოთ აიტანა. სულ მაღლა, თითქმის ჭერთან დატანებული რკინის გისოსებიანი, ვიწრო სარკმლიდან შემომავალ ალიონის შუქს ციხის 224-ე საკანი მკრთალად გაენათებინა. პოლიტიკური პატიმრის სულს ისეთი ნათელი მოეფინა, როგორი ნათელიც საპატიმროდან გაქცეულისა და სამშვიდობოს გასულის სულს მოეფინება-ხოლმე. კინაღამ წამოიახა, — თავისუფლებას გაუმარჯოს! დროზე შეიკავა თავი, ენის წვერზე მომდგარი სიტყვა ენის წვერზევე შეიყინა და ლოცვასავით ჩურჩულით წარმოთქვა: პოლიტიკურ პატიმრობას გაუმარჯოს!**

ოფლიან სახეზე მტვერი ეწებებოდა და ტალახად იზილებოდა.

თხრიდა...

გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, არ იცოდა მღელვარების შედეგი იყო თუ არაბუნებრივი შრომის, გადაღლისა და უჰაერობის.

თხრიდა...

წერაქვისა და ნიჩბის ტარის ხელში გამუდმებული ჭერის გამო გაქვავებული ხელისგულები დაუსკდა და ბლანტმა სითხემ იწყო დენა.

თხრიდა...

თავში ათასგვარი აზრი უტრიალებდა, რომლებიც ერთმანეთში ირეოდა, იხლართებოდა და ბოლოს ერთიანად იფანტებოდა.

თხრიდა...

შეჩერდა. წერაქვი დადო და საათს დახედა. დილის ხუთი ხდებოდა. „ვაგვიანებ“, — გაიფიქრა და კვლავ წერაქვს დასწვდა, მაგრამ ამ დროს თითქოს დახურულ სივრცეში თოფიდან გაისროლესო, ყრუ ბათქი გაისმა და ტყვედყოფნის მოტრფიალეს მიწის უზარმაზარი გროვა თავზე ჩამოეშალა. ცოტა ხანს მიწაზე ეგდო, გონება არ დაუკარგავს. ნელნელა წამოიწია, მიწის გროვიდან ზუსტად ისე ამოძვრა, როგორც თხუნელა ამოვარდება ზედაპირზე, შემთხვევით... **ზემოდან სიბნელე და სიცარიელე დასცქეროდა. გვირაბის კედლებს მოეჭიდა და სხეული, როგორც იქნა, ზემოთ აიტანა. სულ მაღლა, თითქმის ჭერთან დატანებული, რკინის გისოსებიანი, ვიწრო სარკმელიდან შემომავალ ალიონის შუქს ციხის 224-ე საკანი მკრთალად გაენათებინა. პოლიტიკური პატიმრის სულს ისეთი ნათელი მოეფინა, როგორი ნათელიც საპატიმროდან გაქცეულისა და სამშვიდობოს გასულის სულს მოეფინება-ხოლმე. კინაღამ წამოიახა: თავისუფლებას გაუმარჯოს! დროზე შეიკავა თავი, ენის წვერზე მომდგარი სიტყვა ენის წვერზევე შეიყინა და ლოცვასვით ჩურჩულით წარმოთქვა: პოლიტიკურ პატიმრობას გაუმარჯოს!**



დაღლილობამ თავისი გაიტანა. მსუბუქი თავბრუსხვევა იგრძნო და მუხლები აუკანკალდა. ჟანგმოკიდებულ რკინის საწოლს ორივე ხელით დაეყრდნო და ერთხანს ასე წელში მოხრილი იდგა. მერე გულაღმა წამოწვა და თვალები ჭერს მიაპყრო, მაგრამ ჭერმა ტრიალი იწყო. ჯერ ნელა დატრიალდა, მერე კი სიჩქარეს უმატა. თვალები დახუჭა. ახლა ჭერს ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მის ირგვლივ ყველაფერი უთავბოლოდ ტრიალებდა. შემდეგ ისიც იგრძნო, ტრიალის სისწრაფემ თანდათან რომ იკლო და, ბოლოს, მთლიანად შეჩერდა. შეშინებულმა თვალები გაახილა. ვიწრო სარკმლიდან დღის სინათლე თითქოს იმიტომ გადმოიღვარა მომეტებულად, რომ ობობას აბლაბუდებით დაფარული ჭუჭყიანი საკნის უბადრუკობა მთელი სისავსით გამოეჩინა. დაღლილ-დაქანცულსა და აფორიაქებულს თვლემა მოერია...

* * *

საპყრობილის მიმართულებით, უთენია, ზღვა ხალხი დაძრულიყო. მდინარესავით ლივლივებდა დროშებითა და ტრანსფარანტებით მომავალ ადამიანთა უწყვეტი ნაკადი.

— ნიკა გმირია!

— ნიკა საქართველოს ეროვნული სინდისია!

— ნიკას გაუმარჯოს!

— ნიკას გაუმარჯოოოს!

გუგუნებდა ხალხი.

„სწორად მოვიქეცი“, — ფიქრობდა და გულში გამარჯვებას ზეიმობდა. „ხალხი გამომიყვანს ციხიდან, არავითარი გირაო, არავითარი ამნისტია, მე, როგორც გმირ წინამძღოლს, ხალხი გამათავისუფლებს, ხალხის ძალას წინ ვერავინ აღუდგება!“ — ხარობდა ნიკა და უზარმაზარი თაიგულებით მისკენ დაძრულ ცოცხალ ტალღას ხელებგაშლილი და ყურებამდე გაღიმებული ეგებებოდა...

ნიკას გამახვილებულ სმენას ცოტა ხანში სხვა მხრიდანაც მისწვდა სახალხო ჟრიამულის ხმა, ევროპელები აღნიშნავდნენ მის გმირობას.

— არ გატყდა, არ დანებდა, საპყრობილე არ დატოვა გმირმა ქართველმა, — ხმამაღლა გაჰყვიროდნენ და ხელებს საქართველოსკენ იშვერდნენ.

ნიკა ევროპელთა მიმართულებით ჰაეროვან კოცნებს გზავნიდა, როდესაც ამერიკის სენატისა და კონგრესის ერთობლივ სხდომაზე პრეზიდენტი **ჯოზეფ ბაიდენი** ნიკას გმირობაზე ალაპარაკდა.

— ნიკა მხოლოდ საქართველოს გმირი არ არის, იგი ამერიკის გმირიცაა. ნიკა მსოფლიოს გმირია! — ექსტაზში შესულმა მხცოვანმა პრეზიდენტმა ნიკას გმირობის აღსანიშნავად კონგრესმენებსა და სენატორებს ფეხზე წამოდგომისკენ მოუწოდა.

— Glory to Nika!

— Glory to Nika! — გუგუნებდა კაპიტოლიუმი და ამ მრავლისმთქმელი გუგუნის ექო მთელ პლანეტას სწვდებოდა...

ნიკა ასეთ ტკბილ სიზმრებში იყო, როდესაც 224-ე საკანთან მორიგე პოლიციელმა გასაღებების უზარმაზარი აცმა ააჟღარუნა და რკინის მძიმე კარი რახუნით გააღო.

ხმაურისგან დაფეთებული ნიკა ფეხზე წამოიჭრა. კარებთან გაჩერებულმა მორიგე პოლიციელმა ნიკას დანახვაზე გაოცებისკან პირი დააღო. მერე, გონს მოსულმა, კარი ელვის სისწრაფით ჩაკეტა.

ნიკას სმენას დერეფანში გაქცეული პოლიციელის ამერიკული „ბათინკების“ ბრახუნი მისწვდა.

ნიკა ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, როდესაც საკნის კარი ხელახლა გაიღო. საკანთან ციხის უფროსი და ავტომატებმომარჯვებული პოლიციელები იდგნენ.

— გამოათრიეთ! — მოკლე იყო ციხის უფროსის ბრძანება.

პოლიციელები საკანში შეცვივდნენ, ნიკას მკლავები ზურგსუკან ამოუტრიალეს და გარეთ გამოიყვანეს.

— წაიყვანეთ, ეზოს კართან პანღური უთავაზეთ და გარეთ გააგდეთ! — გასცა ახალი ბრძანება უფროსმა. სანამ ნიკას გაიყვანდნენ, ციხის უფროსმა პოლიციელები გააფრთხილა: — ეს იდიოტი ამიერიდან ციხის ტერიტორიაზე შემოსული თუ ვნახე, იცოდეთ, მის ნაცვლად თქვენ ამოგალპობთ ციხეში!

გაძალიანებულ ნიკას, რომელიც ფეხებს ფარჩხავდა და შენობაში დარჩენას ცდილობდა, პოლიციელები მიათრევდნენ.

— არ გავალ! — ყვიროდა იგი, მაგრამ მისი აღარავის ესმოდა...

რამდენიმე წუთის შემდეგ ალაყაფის კარი, საიდანაც ნიკა გააპანღურეს, მძიმედ დაიხურა.

გამწარებული ნიკა მისთვის სამუდამოდ ჩარაზულ კარს ზურგით მიეყრდნო, ხელები გაშალა და, ჯვარცმულის პოზაში მდგარმა, მთელი ხმით დაიღრიალა:

— მე პოლიტიკური პატიმარი ვარ!

განწირულ ძახილს საგუშაგოს კოშკურიდან ციხის მცველთა ნაგაზი უხალისო ყეფით გამოეხმაურა, შემდეგ კი ყველაფერი მიჩუმდა...

**— გამოათრიეთ! — მოკლე იყო ციხის უფროსის ბრძანება. პოლიციელები საკანში შეცვივდნენ, ნიკას მკლავები ზურგსუკან ამოუტრიალეს და გარეთ გამოიყვანეს. — წაიყვანეთ, ეზოს კართან პანღური უთავაზეთ და გარეთ გააგდეთ! — გასცა ახალი ბრძანება უფროსმა. სანამ ნიკას გაიყვანდნენ, ციხის უფროსმა პოლიციელები გააფრთხილა: — ეს იდიოტი ამიერიდან ციხის ტერიტორიაზე შემოსული თუ ვნახე, იცოდეთ, მის ნაცვლად თქვენ ამოგალპობთ ციხეში! გაძალიანებულ ნიკას, რომელიც ფეხებს ფარჩხავდა და შენობაში დარჩენას ცდილობდა, პოლიციელები მიათრევდნენ**

**ვალერი კვარაცხელია**

**P. S. „ხოლო ნიკანორი გამოვიდა იერუსალიმიდან“.** ძველი აღთქმა

პროცესი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სალომე ზურაბიშვილი არის საქართველოს შეიარაღებული ჯარების მთავარსარდალი, ამიტომ ვურჩევთ, გაიწვიოს ეს უგვანი ინიციატივა გამარჯვების პარკისა და უცნობი ჯარისკაცის მემორიალის სახეცვლილების შესახებ და პრემიერთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილება, რომ, რადგან 1945 წლის 24 ივნისს გრანდიოზული აღლუმი ჩაატარა დიდმა ბელადმა, უდიდესი გამარჯვების ავტორმა იოსებ სტალინმა, სწორედ 24 ივნისს აღადგინოს ქალაქ გორში სტალინის ძეგლი, რომელიც 11 წლის წინათ აიღო სააკაშვილმა“.**

# პრეზიდენტის ინიციატივა დიდ სამამულო ომში გამარჯვების მემორიალის ლიკვიდაციას ისახავს მიზნად

**2021 წლის 9 მაისს 76 წელიწადი შესრულდა საბჭოთა ხალხების ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვების დღიდან.
ამ დღეს, დიდ სამამულო ომში დაღუპულთა პატივსაცემად, „საქართველოს უკვდავი ჯარის“ ორგანიზატორ გულბაათ რცხილაძის ინიციატივით, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარემ ტარიელ გაგნიძემ, მათმა მხარდამჭერებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს ქართველი მხედართმთავრის, გენერალ-პოლკოვნიკის, საბჭოთა კავშირის გმირის — კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძის ძეგლი, რომელიც მისივე სახელობის ქუჩაზე მდებარეობდა, სანამ ქუჩას სახელი არ გადაარქვეს (მკითხველისთვის ცნობილია, რომ გამარჯვების, იგივე ვაკის პარკი, სარემონტო სამუშაოების გამო დაკეტილია).**



მოგვიანებით საზოგადოების წარმომადგენლები და აქტივისტები შეუერთდნენ საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის სასახლესთან მიმდინარე აქციას, რომელსაც მართავდა საქართველოს კომუნისტური პარტია მისი ხელმძღვანელის თემურ ფიფიას (საბჭოთა კავშირის გმირის, რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის აღმმართველის მელიტონ ქანთარიას შთამომავალი) თაოსნობით. სიტყვით გამომსვლელები ზურაბიშვილს გონიერებისკენ მოუწოდებდნენ.

გთავაზობთ ამონარიდებს მიმართვის ტექსტიდან, რომელიც ერთიანი კომუნისტურის პარტიის ლიდერმა თემურ ფიფიამ წაიკითხა:

**„საქართველოს პრემიერ-მინისტრს,**
**ქ. თბილისის მერს**
**საქართველოს მოქალაქეთა მიმართვა**

2021 წლის 9 აპრილს პარლამენტში მოხსენებით გამოსვლისას სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა: „70-წლიანი საბჭოთა იდეოლოგია და ტოტალიტარული სისტემა... ყველა საშუალებით ცდილობდა, დაექუცმაცებინა, დაეშალა საქართველო და ერთმანეთთან დაეპირისპირებინა საქართველოს მოქალაქეები“. იქვე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ „ჩვენი სამართლებრივი ისტორიიდან მონობისა და გაუცხოების 70 წელი ამოიშალა“.

სალომე ზურაბიშვილის ინიციატივა გამარჯვების პარკში დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა მემორიალის შექმნის თაობაზე, რომლითაც პრეზიდენტმა მიმართა ყველა სახელმწიფო სტრუქტურას, რომლებსაც ხელეწიფებათ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, ეჭვგარეშეა, რომ გამარჯვების პარკის მემორიალურ კომპლექსს საფრთხეს უქმნის. დიდ სამამულო ომში დაღუპულ ქართველ წითელარმიელთა ხსოვნას მიძღვნილი მემორიალური კომპლექსი, სულ ცოტა, ჩაიკარგება „ერთიან მემორიალში“, რომელსაც პრეზიდენტი ზურაბიშვილი ლობირებს. ამით ნიადაგი იქმნება კომპლექსის განადგურების ან გადატანისთვის სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვან ადგილას. შესაბამისი მაგალითები პოსტსაბჭოთა ისტორიაში ბევრი გვაქვს. ყველაზე აშკარა მაგალითი ყველას გვახსოვს: „დიდების მემორიალის“ განადგურება ქუთაისში 2010 წელს. მიგვაჩნია, რომ ზურაბიშვილის ინიციატივით შემოთავაზებული გამარჯვების პარკის რეკონსტრუქცია მოემსახურება ისტორიის გადაწერას, სრულიად საპირისპირო შინაარსით დატვირთავს რა მემორიალურ სივრცეს, რომელშიც უნდა განვიხილოთ პარკის მთელი ტერიტორია. მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტ ზურაბიშვილის ინიციატივა კონტრპროდუქტიული და მავნებლურია და ემსახურება „გამარჯვების პარკის“ შინაარსობრივი დატვირთვის შეცვლას. ე.წ. ერთობლივი მემორიალისათვის შეიძლება უამრავი სხვა სივრცის გამოყოფა, მათ შორის თბილისშიც.

ჩვენ კატეგორიულად არ ვეთანხმებით პრეზიდენტ ზურაბიშვილის ინიციატივას და მოვითხოვთ „გამარჯვების პარკის“ რეაბილიტაციას (რომელიც უკვე მიმდინარეობს) — უცნობი ჯარისკაცის საფლავისა და მემორიალური კომპლექსის (პარკის მთელი სივრცის) მხატვრული სახისა და შინაარსის უპირობო შენარჩუნებას. მოვითხოვთ, „გამარჯვების პარკში“ არ მოხდეს, არც ერთი სხვა მემორიალური, საერთოდ, სხვა მხატვრული არტეფაქტის განთავსება“.

ამ მიმართვას ხელი მოაწერეს აქტივისტებმა და სალომე ზურაბიშვილის სასახლესთან შეკრებილი საზოგადოების წევრებმაც.

**პრეზიდენტის სასახლესთან სიტყვით გამოვიდნენ სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.**

## „ვთხოვთ ქალბატონ პრეზიდენტს, თავი დაანებოს გამარჯვების პარკს!“

**თემურ სამნიძე, აჭარის ერთიანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი:**

— პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა უკან უნდა წაიღოს თავისი ინიციატივა და ბოდიში მოუხადოს ქართველ საზოგადოებას, რადგან შეეხო ქართველისათვის ყველაზე წმინდას — სამასი ათასი დაღუპული ქართველის ხსოვნას! ჩვენ აჭარიდან ჩამოვედით, მაგრამ აქ იმყოფებიან ყველა რეგიონიდან და რაიონიდან ჩამოსული ადამიანები, წარმომადგენლები ჩვენი პარტიისა. ჩამოვედით, რადგან აღგვაშფოთა პრეზიდენტის ინიციატივამ.

ვთხოვთ ქალბატონ პრეზიდენტს, გაითვალისწინოს სრულიად საქართველოს მოსახლეობის და განსაკუთრებით იმ ოჯახების თხოვნა, რომლებსაც დიდ სამამულო ომში ახლობლები დაეღუპათ — თავი დაანებოს გამარჯვების პარკს!

სალომე ზურაბიშვილი არის საქართველოს შეიარაღებული ჯარების მთავარსარდალი, ამიტომ ვურჩევთ, გაიწვიოს ეს უგვანი ინიციატივა გამარჯვების პარკისა და უცნობი ჯარისკაცის მემორიალის სახეცვლილების შესახებ და პრემიერთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილება, რომ, რადგან 1945 წლის 24 ივნისს გრანდიოზული აღლუმი ჩაატარა დიდმა ბელადმა, უდიდესი გამარჯვების ავტორმა იოსებ სტალინმა, სწორედ 24 ივნისს აღადგინოს ქალაქ გორში სტალინის ძეგლი, რომელიც 11 წლის წინათ აიღო სააკაშვილმა, ძეგლი, რომელსაც ხელი ვერ ახლო **ნიკიტა ხრუშჩოვმაც** კი...

ქალბატონო სალომე, სტალინის ძეგლის აღდგენა, უფრო ზუსტად, თავის ადგილას დაბრუნება, თქვენი მხრიდან იქნება მსოფლიო მნიშვნელობის საქციელი. საქართველოს ხვალინდელი დღე სტალინის ძეგლის აღდგენით რადიკალურად შეიცვლება, მსოფლიო დაგვაფასებს. აიტაცეთ ეს ინიციტივა, ქალბატონო პრეზიდენტო, და საქართველოს მოსახლეობა და არა მხოლოდ ჩვენ, დაგაფასებთ, გვერდით დაგიდგებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური პრობლემებია, თქვენ უგვანი ინიციატივებით ხართ დაკავებული, იძულებულნი ვიქნებით, აქ, თქვენს სამყოფელთან უფრო მეტნი შევიკრიბოთ და დაგიძახოთ — წადი სახლში, იქ, საიდანაც ჩამოხვედი!

## თუ მაინცდამაინც ინიციატივის გამოჩენა უნდა, დიდგორის გამარჯვების მემორიალის შექმნისა და ამ თარიღის ზეიმით აღნიშვნის წინადადებას რატომ არ აყენებს ეს ქალბატონი?

**ტარიელ გაგნიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე:**

სრულიად ვიზიარებ აქ შეკრებილი საზოგადოების პათოსს. ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტი არაა, ის უფრო ჩვენი ქვეყნისადმი მტრულად განწყობილი იმ ძალების რეზიდენტია, რომელთაც ქართველების და, საერთოდ, მართლმადიდებელი ხალხების გადაგვარება აქვთ განზრახული. სხვა მრავალ ხრიკთან ერთად ახლა ზურაბიშვილის პირითა და სახელით ცდილობენ, წაგვართვან ყველა შეგნებული ქართველისათვის წმიდათაწმიდა ისტორიული მონაპოვარი — კაცობრიობის ისტორიაში უსასტიკეს მსოფლიო ომში ბრძოლითა და თავგანწირვით მოპოვებული დიადი გამარჯვება და ამ გამარჯვების სიმბოლო — ვაკის პარკის მემორიალი. ქართველი კაცის ეროვნულ თვითშეგნებას, ჩვენს ეროვნულ, — გნებავთ, ადამიანურ, — ღირსებას ორი განმსაზღვრელი შემადგენელი აქვს: მართლმადიდებლური რწმენა და ჩვენი ისტორიის სხვადასხვა საკვანძო-საბედისწერო ეტაპზე შემოსეულ მტერზე მოპოვებული საომარი გამარჯვებები. აი, ამ ორივე ფაქტორის ამოშლა უნდათ ჩვენგან, ეროვნული ღირსება და საერთოდ, ადამიანური სახე უნდათ, რომ დაგვაკარგინონ. ღმერთს თუ განუდგები და ერთხელ მაინც ბრძოლაში მტერი თუ არ დაგიმარცხებია, რა ქვეყანა და რა ხალხი ხარ მაშინ? გარდა ამისა, დიდ სამამულო ომში ერთობით მოპოვებული ყველას გამარჯვება ის მთავარი შემაკავშირებელი ფაქტორია, რომელიც ქართველებს რუსეთთან, რუს ხალხთან და მთლიანად საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან გვაერთიანებს და ამ ერთობის მოშლა-წართმევაც უნდათ ჩვენს არაკეთილმოსურნეებს, რომელთა ქვეშძრომობასაც ასე გულმოდგინედ ცდილობს ზურაბიშვილი. მინდა თქვენი გაზეთის წინა ნომერში გულბაათ რცხილაძის მიერ ნათქვამი აზრი გავიმეორო: თუ მაინცდამაინც ინიციატივის გამოჩენა უნდა, დიდგორის გამარჯვების მემორიალის შექმნისა და ამ თარიღის ზეიმით აღნიშვნის წინადადებას რატომ არ აყენებს ეს ქალბატონი?

## „ამ ქვეყანაში არ არსებობს ოჯახი, რომლის წინაპარსაც დიდ სამამულო ომში არ უბრძოლია, ამიტომ ვთხოვთ პრეზიდენტს, ნუ დაყოფს და გახლეჩს მოსახლეობას“

**გულბაათ რცხილაძე, „საქართველოს უკვდავი ჯარის“ ორგანიზატორი:**

— ქალბატონი სალომე მავნებელი რომ იყო, ვიცოდი, მაგრამ ინიციატივა, რომლითაც ის 9 აპრილს პარლამენტის წინაშე წარდგა, ბოროტებაა. აღმოჩნდა, რომ ის ბოროტიცაა და ამას, მერწმუნეთ, დიდი გულისტკივილით ვამბობ.

ქალბატონი პრეზიდენტი შეეხო უცნობი ჯარისკაცის საფლავს და ამით დაიწყო მანიპულირება. ზურაბიშვილს საქმე არ აქვს, ამიტომ მე მას მოვუტანე საქსოვი ძაფები და ჩხირები, ასევე მოვუტანე ლობიო, რათა ისწავლოს ქსოვა და ხარშოს ლობიო, ესაა ქალის საქმე, ქალის, რომელიც უსაქმურობით აფუჭებს რაღაც-რაღაცებს...

აქ შევიკრიბეთ სხვადასხვა პოლიტიკური თვალსაზრისის მქონე ადამიანები, მაგრამ ყველას გვაერთიანებს ფაშიზმზე გამარჯვების დიადი დღისადმი პატივისცემა.

საქართველოში არ არსებობს ოჯახი, რომლის წინაპარსაც დიდ სამამულო ომში არ უბრძოლია, ამიტომ ვთხოვთ პრეზიდენტს, ნუ დაყოფს და გახლეჩს მოსახლეობას, პირიქით, გააერთიანოს ერი — ეს არის მისი პირდაპირი მოვალეობა.

**ჩვენს კითხვაზე მხოლოდ ამ ღონიძიებებით ამოიწურებოდა თუ არა 9 მაისის გამარჯვების დღის აღნიშვნა, გულბაათ რცხილაძემ გვიპასუხა:**

— 2019 წელს გრანდიოზული ღონისძიება-მსვლელობა მოვაწყვეთ გამარჯვების პარკში, რომელმაც შესანიშნავად ჩაიარა, მიუხედავად იმისა, რომ მცირე ინცინდენტები იყო... დღეს კი ვითარება მძიმეა, რადგან სალომე ზურაბიშვილი სრულიად საქართველოსთვის მიუღებელი ინიციატივით გამოვიდა, ამიტომ იძულებულნი ვართ, რადიკალურ ზომებს მივმართოთ. პრეზიდენტის სასახლესთან ჩვენი დღევანდელი მცირე აქცია-მიტინგიც ამის გამოხატულებაა.

ვცდილობთ, შევიმუშავოთ გარკვეული ხაზი, გზა, რომელსაც გავყვებით. ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯები უნდა იყოს მნიშვნელოვანი და გნებავთ, პროპაგანდისტულიც, რათა ხელი შევუშალოთ ზურაბიშვილის ე.წ. ინიციატივებს, რომლებიც მომავალი თაობების ცნობიერების შეცვლისკენაა მიმართული.

მაქვს მოკრძალებული გეგმები:

* ქარელში არის პატარა პარკი, იქ დგას მონუმენტი, რომელზეც შენარჩუნებულია სტალინის გამონათქვამები, იქვეა პატარა ძეგლი, მსგავსი — მონუმენტისა „დედასამშობლო გვეძახის“... ძეგლი დაზიანებულია, მაგრამ ჩვენ ამ ძეგლს აღვადგენთ, გავწმენდთ, სკვერს გავაახლებთ და ყველაფერს გავალამაზებთ. ვიმედოვნებთ, ამ სკვერს პატივი დაედება — ყოველ 9 მაისს იქ მივა ადგილობრივი ხელისუფლება და პატივის მიაგებს დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნას.

* ასევე ვთხოვთ სასულიერო პირებს, რომ აკურთხონ დიდ სამამულო ომში დაღუპულთა საფლავები ყველგან, სადაც შემორჩენილია. თუკი ეს ინიციატივა ამ საცხრამაისოდ ვერ განხორციელდება, მაშინ საფლავები აკურთხონ 22 ივნისს, დიდი სამამულო ომის დაწყების დღეს.

* ვეძებოთ სამამულო ომში დაღუპულთა საფლავები, ვაკურთხებინოთ, პატივი მივაგოთ — ეს ყველას ვალია, ეს მხოლოდ ჩემი და რამდენიმე ადამიანის სათქმელი არ არის, ეს ქართველების ვალია, ჩვენი დიდი წინაპრების დაფასებაა!

**მოამზადა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშიზმზე გამარჯვების 76-ე წლისთავის გამო მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები 1000 ლარის, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრები 500 ლარის ოდენობის ერთჯერად სოციალურ დახმარებას მიიღებენ.**

9 მაისი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტალინის მიმართვა ხალხისადმი



**ამხანაგებო! თანამემამულენო!**

დადგა დიადი დღე გერმანიაზე გამარჯვებისა. წითელი არმიისა და ჩვენი მოკავშირეების ჯარების მიერ დაჩოქებულმა ფაშისტურმა გერმანიამ თავი დამარცხებულად აღიარა და უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა.

7 მაისს ქალაქ რეიმსში ხელმოწერილ იქნა კაპიტულაციის წინასწარი ოქმი. 8 მაისს გერმანიის მთავარსარდლობის წარმომადგენლებმა მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი სარდლობისა და საბჭოთა ჯარების უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენელთა თანდასწრებით ბერლინში ხელი მოაწერეს კაპიტულაციის საბოლოო აქტს, რომლის შესრულებაც დაიწყო 8 მაისს ოცდაოთხი საათიდან.

ვიცით რა მგლური ჩვეულება გერმანელი მმართველებისა, რომლებსაც ხელშეკრულებები და შეთანხმებები ფარატინა ქაღალდად მიაჩნიათ, ჩვენ საფუძველი არ გვაქვს, ვირწმუნოთ მათი სიტყვები, მაგრამ დღეს დილიდან გერმანელთა ჯარები კაპიტულაციის აქტის შესასრულებლად მასობრივად შეუდგნენ იარაღის დაყრას და ტყვედ ნებდებიან ჩვენს ჯარებს. ეს უკვე არ არის ფარატინა ქაღალდი. ეს გერმანიის შეიარაღებული ძალების ნამდვილი კაპიტულაციაა. მართალია, გერმანელთა ჯარების ერთი ჯგუფი ჩეხოსლოვაკიის რაიონში ჯერ კიდევ არიდებს თავს კაპიტულაციას, მაგრამ იმედი მაქვს, რომ წითელი არმია შეძლებს, გონს მოიყვანოს ეს ჯგუფი.

ახლა ჩვენ სრული საფუძვლით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დადგა გერმანიის საბოლოო განადგურების ისტორიული დღე, გერმანიის იმპერიალიზმზე ჩვენი ხალხის დიადი გამარჯვების დღე.

დიდ მსხვერპლს, რომელიც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის გავიღეთ, აურაცხელ გაჭირვებასა და ტანჯვას, რომელიც ჩვენმა ხალხმა ომის მსვლელობისას გადაიტანა, დაძაბულ შრომას ზურგში და ფრონტზე, რაც სამშობლოს საკურთხეველზე მივიტანეთ, — ამაოდ არ ჩაუვლია და მტერზე სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. სლავი ხალხების საუკუნეობრივი ბრძოლა არსებობისა და დამოუკიდებლობისთვის დამთავრდა გერმანელ დამპყრობლებსა და გერმანულ ტირანიაზე გამარჯვებით.



ამიერიდან ევროპაში იფრიალებს ხალხთა თავისუფლებისა და ხალხთა შორის მშვიდობის დიადი დროშა.

სამი წლის წინათ ჰიტლერმა საჯაროდ განაცხადა, რომ მის ამოცანას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის დანაწილება და მისგან კავკასიის, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთისა და სხვა ოლქების მოწყვეტა. მან პირდაპირ განაცხადა: „ჩვენ მოვსპობთ რუსეთს, რათა ვერასოდეს ველარ შეძლოს წამოდგომა“. ეს იყო სამი წლის წინათ, მაგრამ ჰიტლერის უგუნურ იდეებს ასრულება არ ეწერა — ომის მსვლელობამ გააცამტვერა ისინი. გამოვიდა იმის საწინააღმდეგო, რასაც ჰიტლერელები ბოდავდნენ. გერმანია სასტიკად დამარცხდა. გერმანიის ჯარები გვნებდებიან. საბჭოთა კავშირი გამარჯვებას ზეიმობს, მაგრამ იგი გერმანიას არც დანაწილებას უპირებს და არც მოსპობას.

ამხანაგებო! დიდი სამამულო ომი ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა. ევროპაში ომის პერიოდი დასრულდა. დაიწყო მშვიდობიანი განვითარების პერიოდი.

გილოცავთ გამარჯვებას, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო!

**დიდება ჩვენს გმირ წითელ არმიას, რომელმაც დაიცვა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა და მოიპოვა მტერზე გამარჯვება!**

**დიდება ჩვენს დიდ ხალხს, გამარჯვებულ ხალხს! სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში და თავიანთი სიცოცხლე შესწირეს ჩვენი ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერებას!**

**1945 წლის 9 მაისი.**

# როგორ აღნიშნეს გამარჯვების დღე საქართველოში





**„დღეს არის ფაშიზმზე გამარჯვების 76-ე წლისთავი. მინდა მივულოცო, პირველ რიგში, ჩვენს გმირ ვეტერანებს ეს დიდებული დღე, — განაცხადა საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში“, სადაც მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.**



პრემიერმინისტრი პარკში შეკრებილ ვეტერანებს გაესაუბრა, გამარჯვების დღე მიულოცა, მხნეობა და ჯანმრთელობა უსურვა.

ფაშიზმზე გამარჯვების დღე აღნიშნეს ქალაქ გორშიც, სადაც გამარჯვების 76 წლისთავის აღსანიშნავად სტალინის სახლ-მუზეუმთან მდებარე სკვერში სტალინური ორგანიზაციებისა და კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები შეიკრიბნენ.

მოძრაობა „სტალინელების“ წევრებმა, რომლებიც მიტინგზე საბჭოთა სიმბოლიკებით მივიდნენ, პრორუსული და ანტიამერიკული განცხადებები გააკეთეს. გორში გამართულ მიტინგში „უკვდავი ჯარის“ წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

**P.S. საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშიზმზე გამარჯვების 76-ე წლისთავის გამო მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები 1000 ლარის, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრები 500 ლარის ოდენობის ერთჯერად სოციალურ დახმარებას მიიღებენ.**

ავი მესაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ოკეანისგაღმიდან მართულ ქართულ პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად ანგარიშგასაწევი ეროვნული ძალების დიდი დეფიციტია. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (სპა) შემდეგ, იმედია, თქვენი „ერთობა, რაობა, იმედი“ (ერი) კიდევ ერთ ასეთ ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდება. სხვათა შორის, იმ გადაცემაში ჩასაფრებულმა წამყვანმა თქვენსა და პატრიოტებს შორის გაავლო პარალელი — ერთნაირი რიტორიკა გაქვთ რუსეთის, დასავლეთის, ნატოს, „ისტორიული მეგობრის“ — თურქეთის მიმართო.**

# ბატონო ლევან, მე «ის» დავით მხეიძე ვარ...

**რამდენიმე თვეა, ქართველი საზოგადოება იმ ამაზრზენ კლოუნადას უყურებს, რომელსაც შალიკო ნათელაშვილის ფანჩატურში მიმდინარე აბსურდის თეატრის სპექტაკლი „პარლამენტში შევალ, არ შევალ“ ჰქვია. საქართველო ხომ პარადოქსების ქვეყანაა და, პარადოქსი თუ არა, მაშ, რა ჯანდაბაა, რომ ასე თუ ისე, ანუ გარკვეულწილად გაყალბებულ, მაგრამ მაინც „ხალხის მიერ არჩეულ“ პარლამენტში არშესვლით ყველაზე მეტად ის პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები (ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული საქართველო“, ბაჩუკი ქარდავას ედპ, დავით ჭიჭინაძის „ტრიბუნა“, გიგა ბოკერიას „ევროპული საქართველო“ და ა.შ. თუ ვინმე გამომრჩა, მეპატიოს) იმუქრებოდნენ და იმუქრებიან, რომლებმაც 1%-იანი ბარიერიც ვერ გადალახეს — წლების განმავლობაში ხელმოცარულ პარტიებს პარლამენტში მოხვედრის თეორიული შანსიც კი არ ჰქონდათ.**



**ბატონო ლევან, «პატრიოტთა ალიანსია» ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც არასდროს, რომ იტყვიან, სათოფეზე არ გაკარებია ნაცებს და სწორედ მათი, უშუალოდ დავით თარხან-მოურავისა და გიორგი ლომიას, მოპოვებულია ციხის ის საშინელი კადრები, რომლებმაც სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმი პოლიტიკურ საფლავში ჩააწვინა და იმის მაგივრად, რომ ბიძინა ივანიშვილს მისთვის მიწა მიეყარა, მიწიდან ამოიღო, რეანიმაცია გაუკეთა ე.წ. კოჰაბიტაციის სახით და ახლა კიევიდან არ გვასვენებს მიწაზე მფორთხავი, ჰალსტუხმლოღნავი სააკაშვილი**

აქედან გამომდინარე, ჩვენს დასავლელ „მეგობრებს“, რომელთა პატრონაჟითაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, სრული უფლება ჰქონდათ, ზემოხსენებულ, ბარიერგადაულახავი პარტიებისთვის კარისკენ მიეთითებინათ ლოგიკით — ვერ შედიხართ პარლამენტში და ვის და რა უფლებით უცხადებთ ბოიკოტს?! და მოლაპარაკებების მაგიდასთან მხოლოდ ქოც-ნაცები და ნაცებთან დაახლოებული, რის ვაი-ვაგლახით ბარიერგადალახული პარტიები („გირჩი“, „ლელო“, ელისაშვილის პარტია) დაეტოვებინათ, რაც, სულ ცოტა, ნაკლებად უსაგნო ხმაურს და, აქედან გამომდინარე, კომპრომისული შეთანხმების შესაძლებლობის ალბათობას გაზრდიდა.

საქართველოს დე ფაქტო მმართველმა ე.წ. კოლექტიურმა დასავლეთმა კი რა ჰქნა? — ერთ მაგიდასთან დასვა ქოცებთან ერთად 27%-იანი (?) ნაცები, ბარიერის ძლივსგადამლახველი „გირჩი“, „ლელო“, „მოქალაქეები“, ზუსტად ერთპროცენტიანი, ერთკაციანი **შალვა ნათელაშვილი** და, ბარიერგადაულახავს ვინლა დაეძებს, პოლიტიკურად დიდი ხნის მკვდრები: **ნინო ბურჯანაძე, გიგა ბოკერია, ბაჩუკი ქარდავა** და ამ ტრიოს ახლახან შეერთებული **დავით ჭიჭინაძე.** აი, სავალალო სურათი, პოლიტიკური ჟარგონით — „ბაზარ-ვაგზალი“, რომელიც „უანგაროდ“ დაგვიხატეს ჩვენმა დასავლელმა „მეგობრებმა“, უფრო მრავალფეროვანი გახადეს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება.

რა ენაღვლება „ძია სემს“ — კომპრომისით იქნება თუ დაპირისპირებით, საქართველოს ხელისუფლება თუ კვლავ აშშ-ის ქოლგის ქვეშ არსებული ლიბერასტული იდეოლოგიის პოლიტიკური პარტიებით დაკომპლექტდება? ეს იქნება ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს დასასრულის დასაწყისი. რატომ? იმიტომ, რომ აშშ-ში, რომელიც დე ფაქტო მმართველია საქართველოსი, პრეზიდენტმა **ჯო ბაიდენმა,** რომ იტყვიან, ამოშანთა თავისი წინამორბედის, **დონალდ ტრამპის,** მიერ დაწყებული კონსერვატიულ-ტრადიციული მიმართულების რეფორმები და ახლა ამერიკის შეერთებული შტატები ლგბტ თემის სამოთხეა. **„ტრანსგენდერთა უფლებებია ადამიანის უფლებები“ — პირდაპირ განაცხადა ამას წინათ ჯო ბაიდენმა, აშშ-ის პრეზიდენტმა, რომელიც, როგორც ყველა, საინაუგურაციო ფიცს ბიბლიაზე ხელდადებული წარმოთქვამს და, რომ ჰკითხო, მორწმუნე კათოლიკე ქრისტიანია — ამაზე დიდი ფარისევლობა გაგონილა?!**

თუმცა რა, რომის პაპის ბოლოდროინდელი განცხადებებიდან გამომდინარე, საქმეს ისეთი პირი უჩანს, მალე ვატიკანიც აღიარებს ლგბტ და ტრანსგენდერთა უფლებებს, — ისინიც ღვთის შვილები არიანო... აგერ ლამის წინამდებარე წერილის ეკვატორი გადავლახე (თუ ასე თქმა უპრიანია), მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ მკითხველს ვერ გაუგია, რა კავშირშია ყოველივე ზემოთქმული წერილის სათაურთან...

არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენს დაქცეულ, დამშეულ, გაგლეჯილ-გამოგლეჯილ სამშობლოს, უწინარესად, ღვთის მოშიში და მხოლოდ შემდეგ კანონის მოშიში ხელისუფლება თუ უშველის და ლევან ვასაძის პოლიტიკაში მოსვლას ამ რაკურსით შევხედე. ბატონ ლევანს, დიდი ხანია, ვიცნობ, არა იმ გაგებით, რომ ხშირი პირადი ურთიერთობა გვქონდა, არამედ იმით, რომ წლების განმავლობაში რამდენიმეჯერ შევხვედრივარ და გულითადად გვისაუბრია. ამ საუბრების უმეტესობა სწორედ მის პოლიტიკაში ჩართვა-არჩართვის მიზეზებს შეეხებოდა. საუბრების, რომელთაგან ერთ-ერთს საზოგადოებას გავაცნობ და მასაც შევახსენებ...

გახსოვთ, ალბათ, ამ რამდენიმე წლის წინათ **გურამ ფალავანდიშვილს** საავტორო გადაცემა მიჰყავდა, რომლის სტუდია ლევან ვასაძის კუთვნილი შამპანური ღვინოების ქარხნის ოფისში მდებარეობდა და ერთ-ერთ გადაცემაში სტუმრობის პატივი მეც მერგო. ბატონო ლევან, მე ის დავით მხეიძე ვარ, რომელმაც პროგრამის ჩაწერის შემდეგ შეგახსენეთ და იქვე დავუმატე, რომ თქვენი პოზიცია — „პოლიტიკა არ მაინტერესებს“, ეგეც პოლიტიკაა-მეთქი და გთხოვეთ, ამაზე გეფიქრათ.

არ ვიცი, იმისთანა რა თქვა ვიღაც **შარლ მიშელმა,** რაც, როგორც თავად აღნიშნეთ, ბოლო წვეთი აღმოჩნდა, და არც მაინტერესებს. ჩემთვის და, დარწმუნებული ვარ, ქართველი საზოგადოების უმრავლესობისთვის მთავარია, რომ პოლიტიკაში ჩაერთეთ, რადგან თქვენს ღვთისმოშიშობაში და, აქედან გამომდინარე, ეროვნულ ცნობიერებაში (ბოლოსდაბოლოს, 8 შვილის მამა ხართ), ეჭვი არ მეპარება. არა ქათინაურის სახით, არამედ საქმისთვის მინდა გითხრათ, რომ „რუსთავი 2“-ის აშკარად ჩასაფრებული წამყვანი, რომ იტყვიან, ბეჭებზე დადეთ ისევე, როგორც თავის დროზე **ინგა გრიგოლიას** სულ თავბედი აწყევლინეთ. — ეს რა ვქენი, ლევან ვასაძე რატომ მოვიწვიე, ასეთი ჩავარდნა არასოდეს მომსვლიაო, — სიტყვასიტყვით აღიარა პროფესიული მარცხი ქართული ტელევიზიის „პრიმადონამ“. შედეგად მივიღეთ ის, რომ აღარასოდეს არ გიწვევდნენ პირდაპირ ეთერში.

ოკეანისგაღმიდან მართულ ქართულ პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად ანგარიშგასაწევი ეროვნული ძალების დიდი დეფიციტია. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (სპა) შემდეგ, იმედია, თქვენი „ერთობა, რაობა, იმედი“ (ერი) კიდევ ერთ ასეთ ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდება. სხვათა შორის, იმ გადაცემაში ჩასაფრებულმა წამყვანმა თქვენსა და პატრიოტებს შორის გაავლო პარალელი — ერთნაირი რიტორიკა გაქვთ რუსეთის, დასავლეთის, ნატოს, „ისტორიული მეგობრის“ — თურქეთის მიმართო.

„ერთმორწმუნე რუსეთმა გვიხსნა ოსმალო-ირანის მიერ ქართველი ერის გენოციდისგან“ — თამამად მიახალეთ გადაცემის წამყვანს, რომელსაც რიტორიკული კითხვით მოუღეთ ბოლო: „რა, ასე არ იყო?!“

ბატონო ლევან, „პატრიოტთა ალიანსია“ ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც არასდროს, რომ იტყვიან, სათოფეზე არ გაკარებია ნაცებს და სწორედ მათი, უშუალოდ **დავით თარხან-მოურავისა** და **გიორგი ლომიას,** მოპოვებულია ციხის ის საშინელი კადრები, რომლებმაც სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმი პოლიტიკურ საფლავში ჩააწვინა და იმის მაგივრად, რომ ბიძინა ივანიშვილს მისთვის მიწა მიეყარა, მიწიდან ამოიღო, რეანიმაცია გაუკეთა ე.წ. კოჰაბიტაციის სახით და ახლა კიევიდან არ გვასვენებს მიწაზე მფორთხავი, ჰალსტუხმლოღნავი სააკაშვილი.

ამდენი იმიტომ ვილაპარაკე „პატრიოტთა ალიანსზე“, რომ, როგორც ზემოთ ჩანს, თქვენსა და დავით თარხან-მოურავს შორის იდეოლოგიური სხვაობა არ არის: ორივენი ლიბერალების დაუძინებელი მტრები ხართ და, თუ რაიმენაირად არ გაერთიანდებით არჩევნების წინ მაინც, თქვენც ის დაგემართებათ, რაც პატრიოტებს დამართეს — 2-3 სამარცხვინო პროცენტს მოგიგდებენ და ეგ არის. ასე რომ არ მოხდეს, პირადად მე, კალმით თუ საქმით, ყველაფერს გავაკეთებ. სხვათა შორის, არც მოქმედება მეშლება — გინდ ტრაბახად ჩამითვალეთ, მაგრამ მე ის დავით მხეიძეცა ვარ, რომელმაც ფილარმონიაში „დაიცავი საქართველოს“ სიაფანდი ყრილობა ერთი დარტყმით გაავანადგურე...

დასასრულ, იმასაც გეტყვით, რომ კარგად დაიწყეთ, ბატონო ლევან, მაგრამ ვნახოთ, თქვენი პარტიის პრეზენტაციაზე რა ხალხს ვიხილავთ.

**დავით მხეიძე**

**არ ვიცი, იმისთანა რა თქვა ვიღაც შარლ მიშელმა, რაც, როგორც თავად აღნიშნეთ, ბოლო წვეთი აღმოჩნდა, და არც მაინტერესებს. ჩემთვის და, დარწმუნებული ვარ, ქართველი საზოგადოების უმრავლესობისთვის მთავარია, რომ პოლიტიკაში ჩაერთეთ, რადგან თქვენს ღვთისმოშიშობაში და, აქედან გამომდინარე, ეროვნულ ცნობიერებაში (ბოლოსდაბოლოს, 8 შვილის მამა ხართ) ეჭვი არ მეპარება**

**P.S. ჩემთვის საყვარელი კერძო პირის სტატუსი მივატოვეო, თქვით და მართლაც უკვე დაიწყეს შინაურმა ნეოლიბერალებმა კბენა და ღრენა: პოპულისტია, მისი პარტიის აბრევიატურა „ერი“-ა, პრესკონფერენცია გიორგობას დაამთხვია და ა.შ. აბა, რა უნდა ექნა, ლიბერასტებო, პრესკონფერენცია მსოფლიო ლგბტ-თა დღეს უნდა ჩაეტარებინა?!**

**ყოველთვის გვემახსოვრება, რომ ეს უდიდესი გმირობა სწორედ საბჭოთა ხალხმა ჩაიდინა. ომის ურთულეს ჟამს, გადამწყვეტ ბრძოლებში, რომლებმაც ფაშიზმთან ბრძოლის შედეგი განსაზღვრა, ჩვენი ხალხი იყო მარტო და გამარჯვებისკენ მიმავალ უმძიმეს, გმირულ გზაზე სიცოცხლეს სწირავდა მიწაზე, ზღვასა და ცაში გამართულ სასტიკ ბრძოლებში.**

დიადი თარიღი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვლადიმერ პუტინის სიტყვა გამარჯვების აღლუმზე მოსკოვში 2021 წლის 9 მაისს

**რუსეთის პატივცემულო მოქალაქენო!**
**ძვირფასო ვეტერანებო!**
**ამხანაგო ჯარისკაცებო და მეზღვაურებო,**
**სერჟანტებო, ზემდეგებო, მიჩმანებო და პრაპორშიკებო!**
**ამხანაგო გენერლებო და ადმირალებო!**

გილოცავთ გამარჯვების დღეს — მთელი მსოფლიოსთვის კოლოსალური ისტორიული და ბედისმიერი მნიშვნელობის გამარჯვების დღეს! დღესასწაულს, რომელიც ჩვენი ხალხისთვის იყო, არის და ყოველთვის წმიდათაწმიდა იქნება.

ჩვენო ძვირფასო ვეტერანებო! ქედს ვიხრით თქვენი გმირობისა და სულიერი სიძლიერის წინაშე, მადლობას გიხდით შეკავშირებისა და სამშობლოს სიყვარულის უკვდავი მაგალითის განხორციელებისთვის.

თქვენ დაამტკიცეთ, რომ მხოლოდ ერთად ყოფნით შეგვიძლია მივაღწიოთ ერთი შეხედვით მიუღწეველ მიზანს.

ჩვენ ვძლიეთ დაუნდობელ მტერს, დავიცავით საკუთარი კერა, შვილები, მშობლიური ქვეყანა. გავიმარჯვეთ ნაციზმზე და საუკუნოდ განვადიდეთ 1945 წელი.

ყოველთვის გვემახსოვრება, რომ ეს უდიდესი გმირობა სწორედ საბჭოთა ხალხმა ჩაიდინა. ომის ურთულეს ჟამს, გადამწყვეტ ბრძოლებში, რომლებმაც ფაშიზმთან ბრძოლის შედეგი განსაზღვრა, ჩვენი ხალხი იყო მარტო და გამარჯვებისკენ მიმავალ უმძიმეს, გმირულ გზაზე სიცოცხლეს სწირავდა მიწაზე, ზღვასა და ცაში გამართულ სასტიკ ბრძოლებში.

ყველა ეროვნებისა და რელიგიური მრწამის ადამიანები ერთად იბრძოდნენ მშობლიური მიწის თითოეული გოჯისთვის. მოსკოვისპირა მინდვრებზე, კარელიის კლდეებისა და კავკასიონის უღელტეხილებზე, ვიაზმისა და ნოვგოროდისთვის, ბალტიისა და დნეპრის ნაპირების, ვოლგისა და დონის სტეპების, მშობლიური მიწის თითოეული გოჯისთვის.

საბჭოთა მეომრების სიმამაცე, მშვიდობიანი მოსახლეობის უდრეკი სულისკვეთება საუკუნოდ არის აღიარებული გმირი ქალაქების წოდებებში — მოსკოვისა და ლენინგრადის, მინსკისა და კიევის, სტალინგრადისა და სევასტოპოლის, მურმანსკისა და ოდესის, ქერჩისა და ტულის, ნოვოროსიისკისა და სმოლენსკის სახელებში.

ფრონტისა და ზურგის ურღვევი კავშირი უზრუნველყოფდა ყველა აუცილებლით, რაც ფრონტს სჭირდებოდა და გამარჯვებისთვის იყო აუცილებელი. ყველაფერი მზადდებოდა ვოლგისპირეთისა და ურალის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის, ყაზახეთისა და შუა აზიის ქალაქების ქარხნებში. ჩვენ გვახსოვს ისინიც, ვინც შეიფარა, საკუთარ ჭერქვეშ შეიხიზნა, დაეხმარა მათ, ვინც ევაკუაციაში მოხვდა და იძულებული იყო, დაეტოვებინა მშობლიური კერა.

დღეს ჩვენ პატივს მივაგებთ მათ ნათელ ხსოვნას, ვისი სიცოცხლეც ომმა შეიწირა. ქედს ვიხრით შვილების, მამების, დედების, პაპების, ქმრების, ცოლების, ძმების, დების, თანამებრძოლების, ნათესავების, მეგობრების ხსოვნის წინაშე. ვგლოვობთ ვეტერანებს, რომლებმაც იმქვეყნად გადაინაცვლეს.

ძვირფასო მეგობრებო!

1941 წლის 22 ივნისი ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული თარიღია. მტერი თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს მიწაზე შემოდგა ფეხი ხალხის დასახოცად, სიკვდილის დასათესად, უბედურებისა და უთვალავი ტანჯვა-წამებით ქვეყნის იავარსაქმნელად.

მას მხოლოდ პოლიტიკური წყობის, საბჭოთა სისტემის დამხობა კი არ სურდა, არამედ ჩვენი სახელმწიფოს, ერის განადგურება, პირისაგან მიწისა ჩვენი ხალხების აღგვა.

ნაცისტური ურდოების შემოსევის პასუხად შეიკრა მრისხანე ძალა მტრის დასამხობად, რათა დამნაშავეებს, მკვლელებს მიეზღოთ აუცილებელი და სამართლიანი სასჯელი.

საბჭოთა ხალხმა აღასრულა ეს წმინდა ფიცი, დაიცვა სამშობლო და ყავისფერი ჭირისგან იხსნა ევროპის ქვეყნები. ისტორიული განაჩენი გამოუტანა ბრძოლის ველზე იარაღის ძალითაც და თავისი ზნეობრივი, ადამიანური სიმართლით, ჯარისკაცების დედების თავგანწირული მამაცობით და მათი ერთგულებით, ვინც ყოველდღიურად ელოდა თავისიანების მიერ ფრონტიდან გამოგზავნილ ციცქნა ბარათებს, ნათესავისადმი იმ სიკეთისა და სიყვარულის ძალით, რომლებიც საუკუნეებია ჩვენი ეროვნული ხასიათის თანამდევია.

ამის დიადი განსახიერება იყო ექიმებისა და მედდების გმირობა, რომლებმაც გადაარჩინეს დაჭრილები, იბრძოდნენ თითოეულის სიცოცხლისთვის წინა ხაზზე, გაგანია ცეცხლის გულში, ფრონტისპირა ჰოსპიტლებსა და ზურგში.

მაგრამ იმხანად, 1941 წელს, წინ კიდევ უფრო სისხლისმღვრელი ოთხი წელიწადი იყო გასავლელი. იგი ურტყამდა მომავალს, ახალგაზრდებს, ყმაწვილთა თაობებს, მაშასადამე, მათაც, ვისაც დაბადება არ ეწერა.



**საბჭოთა მეომრების სიმამაცე, მშვიდობიანი მოსახლეობის უდრეკი სულისკვეთება საუკუნოდ არის აღიარებული გმირი ქალაქების წოდებებში: მოსკოვისა და ლენინგრადის, მინსკისა და კიევის, სტალინგრადისა და სევასტოპოლის, მურმანსკისა და ოდესის, ქერჩისა და ტულის, ნოვოროსიისკისა და სმოლენსკის სახელებში**



ომმა იმდენი გაუსაძლისი ტანჯვა, მწუხარება და ცრემლი მოგვიტანა, რომ დავიწყება შეუძლებელია. არაფერი ეპატიება და ვერაფერი გაამართლებს მათ, ვისაც იგივე აქვს ჩაფიქრებული.

თითქმის საუკუნე გვაცილებს იმ მოვლენებს, როცა ევროპის ცენტრში თავხედდებოდა, ველურ ძალას იკრებდა საშინელი ნაცისტური მხეცი. სულ უფრო ცინიკურად ისმოდა რასობრივი და ნაცისტური აღმატებულების, ანტისემიტური და რუსოფობიური ლოზუნგები. ერთი ხელის მოსმით აუქმებდნენ შეთანხმებებს, რომლებიც ომისგან მსოფლიოს დასაცავად იყო დადებული.

ისტორია მოითხოვს, გავაკეთოთ დასკვნები და გავითვალისწინოთ გაკვეთილები, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაცისტურ იდეოლოგთაგან ბევრი, ისინი, ვინც დაავადებული იყო საკუთარი რასის უპირატესობის ბოდვითი თეორიით, კვლავ ცდილობს აღიჭურვოს ძველი იარაღით, არა მხოლოდ სხვადასხვა ჯურის რადიკალები და საერთაშორისო ტერორისტების დაჯგუფებები. დღეს ჩვენ ვხედავთ გადარჩენილ ჯალათებსა და მათ მიმდევრებს, ისტორიის გადაწერის მცდელობას, მოღალატეთა გამმართლებლებსა და დამნაშავეებს, რომლებსაც ხელები ასიათასობით მშვიდობიანი მოსახლის სისხლში აქვთ გასვრილი.

ჩვენმა ხალხმა შესანიშნავად იცის, საით მივყავართ ამ ყველაფერს. თითოეულ ოჯახში წმინდად ინახავენ მათ ხსოვნას, ვინც გამარჯვება მოიპოვა და ჩვენ ყოველთვის ვიამაყებთ მათი გმირობით.

რუსეთი თანამიმდევრულად იცავს საერთაშორისო სამართალს, ამასთანავე, ჩვენ მტკიცედ დავიცავთ ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, ჩვენი ხალხის უსაფრთხოებას.

ამის სანდო გარანტიაა რუსეთის სახელოვანი შეიარაღებული ძალები — გამარჯვების ჯარისკაცების მემკვიდრეები და, რასაკვირველია, ჩვენი ერთობლივი მუშაობა ქვეყნის განსავითარებლად რუსული ოჯახების საკეთილდღეოდ.

ჩვენი ვეტერანები, მათი ბედი, მათ თავდადება სამშობლოსთვის სამაგალითოა ჩვენთვის. ეს არის მწვერვალი, რომლისკენაც უნდა ვისწრაფვოდეთ და განვამტკიცებდეთ გრძნობა-გონებასა და ყოველდღიურობაში გრანდიოზული გამარჯვების მნიშვნელობას ჩვენს საქმეებსა და მომავალ გამარჯვებებში სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**დიდება გამარჯვებულ ხალხს!**

**გილოცავთ დღესასწაულს!**

*** არაოფიციალური თარგმანი**





გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და მისი გადაქცევა მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად უშუალოდ გამომდინარეობდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბუნებიდან და ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო. საქართველოს ინდუსტრიალიზაცია სსრ კავშირის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განუყოფელ ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.**

# საქართველო სტალინური აღმავლობის გზაზე

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ ჩემი საავტორო გვერდი მიმართულებას იცვლის. თუ დღემდე მისი მიზანი სტალინის ფენომენის გამომზეურება და პოპულარიზაცია იყო, მომავალში შევეცდები, მოგაწოდოთ საზოგადოების განვითარების ისტორიული გზების დასურათხატება, რომელიც ეკუთვნის იოსებ სტალინს, ადამიანს, რომელმაც სრულიად ახალი თეორია დაუტოვა შთამომავლობას უკეთესი მერმისისათვის და რომელსაც მსოფლიოს ინტელექტუალურმა გონმა სტალინიზმი უწოდა.**



სტალინიზმი საზოგადოების უმაღლეს განვითარებამდე მისასვლელი გზების დაძლევის გენიალური პროგრამაა. რამ გამოიწვია მიმართულების შეცვლა და რა მიზანს ემსახურება იგი? სტალინი ამოუწურავი თემაა — ის სამარადჟამო ქვის სტელაა, რომელზეც ყველა დროისა და ეპოქის ადამიანები თავიანთ შენიშვნებს გააკეთებენ, ახალმოსული საზოგადოება და თაობა ძველს გადაშლის და თავის ჩანაწერებს გააკეთებს. შემორჩება მხოლოდ ქვაზე სხვადასხვა ხანის ნაკაწრები, რომლებშიც ადამიანები ამოიკითხავენ საუკუნეების განმავლობაში დაგროვებულ საიდუმლოებებს, როგორი ერუდიციისა და შეგნების ადამიანები ცხოვრობდნენ დროის ამა თუ იმ მონაკვეთში. ჩემს მრავალტომეულში აღწერილი ჩემი გამოკვლევები თუ გამონათქვამები ერთი ნაკაწრი იქნება ამ ქვაზე. დღეიდან კი ვიწყებ წერას შემოქმედებით სტალინიზმზე, რომელიც სტალინს არავისგან უსესხებია. „სტალინი მეტია ადამიანზე და ნაკლებია ღმერთზე“ (ვ. გოგუაძე). **სახარების მიხედვით შედგენილი ხალხთა ცხოვრების ძირითადი კანონის (სტალინური კონსტიტუციის) ავტორი, მსგავსად სახარებისა, პარალელურ რეჟიმში ამკვიდრებდა ამქვეყნიურ სამოთხეს. სტალინიზმის მოძღვრებაზე და პრინციპებზეა დაფუძნებული ქმედებები ხალხთა მასებიდან გამოსული ადამიანებისა, რომლებიც უნდა ხასიათდებოდნენ ამერიკული საქმიანობისა და რუსული რევოლუციური გაქანების თვისებებით, ასეთი ადამიანი სტალინს მიაჩნდა ახალი ქვეყნის მშენებლის სრულიად ახალ ტიპად, რომელიც უნდა შეიარაღებულიყო იმ მეცნიერული ცოდნით, რომლის სისტემაში მოყვანას ოთხასი წელი დასჭირდა. ოთხასი წლის შემდეგ კი, როდესაც დადგა გადამწყვეტი მომენტი შედეგის მიღწევისა, მრავალხელისუფლებიანობამ სათანადოდ ვერ შეაჯამა მიღწეული გამარჯვების შედეგები და ახალი შენობის საძირკველშივე დაუშვა ღალატის ტოლფასი შეცდომები** — შეგნებულად ჩადეს ხანგრძლივი მოქმედების ნაღმები, რომლებიც 70 წლის შემდეგ ამოქმედდა, შენობა ნანგრევებად, ნათელი კი კვლავ უკუნეთად აქცია.

დაშვებული შეცდომების გამო დედამიწის 1/6 30 წლის განმავლობაში უკომპასო გემივით, ყოველგვარი პროგრამისა და ვექტორის განუსაზღვრელად უკიდეგანო ოკეანეში ერთი ნაპირიდან მეორეს ეხეთქებოდა. ძარცვით მოპოვებული აურაცხელი ქონებით დატვირთული ადამიანები მეკობრე პოლიტიკოსთა გემებში გადასხდნენ და სამშვიდობოს გავიდნენ. ხალხს კი არაფერი დარჩა გალანძღული ღმერთისა და კლერიკალიზმამდე მისული ქვეყნის გარდა. **რომანოვების 300-წლოვან იმპერიაში შემავალ ქვეყნებს, რომელთა ტერიტორიასაც დედამიწის დიდი ნაწილი ეკავა და ფლობდა პლანეტის სასარგებლო წიაღისეულის 1/3-ს, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით კი პლანეტის 1,5 %-ს შეადგენდა, ლენინის დაჟინებული მოთხოვნით, — თვითგამორკვევის, ე.ი., სსრკ-დან გასვლის უფლება მიენიჭათ.**

ახალი ქვეყნის სახელმწიფო მოწყობაზე ლენინი და მისი ჯგუფი 1914 წლიდან მსჯელობდნენ. **იმხანად სტალინი იმიერპოლარეთში იმყოფებოდა — ტურუხანსკის საპყრობილეში. სტალინს გადასახლებაში უგზავნიდნენ ქვეყნის სახელმწიფო მოწყობის პროექტებს, რომლებიც მისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო. ლენინისთვის გაგზავნილი პირადი წერილებით თუ არალეგალურ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიებით სტალინი სასტიკად ილაშქრებდა ლენინის წინააღმდეგ, რაც 1917 წლის აპრილიდან პეტროგრადში სტალინის დაბრუნებისთანავე გაგრძელდა ერთა თვითგამორკვევის საკითხზე, მაგრამ კაპიტალისტური ქვეყნების მიერ დამუშავებული და დაფინანსებული რუსეთის გასანადგურებლად შემოგზავნილი ტროცკი, თავისი მრავალრიცხოვანი მიმდევრებით, ზენიტში იყო, ყოველგვარ თანამდებობას მოკლებული სტალინი კი ვერ წყვეტდა ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებს. ლენინის მხრიდან რევოლუციური მონაპოვრის ღალატის შედეგებით პირველებმა ფინელებმა ისარგებლეს და დატოვეს როგორც რუსეთის კომუნისტური პარტია, ისე საბჭოთა რუსეთი. მათ მიბაძეს ბალტიისპირეთის ქვეყნებმა და კავკასიის სამმა რესპუბლიკამ. სეპარატიზმის ხანძარი გაჩაღდა კიევის რუსეთში. აი ამ პირობებში დაამთავრა სიცოცხლე პირველი სოციალისტური ქვეყნის „დამაარსებელმა“ ვლადიმერ ლენინმა.** რუსეთს ჩამოშორებულმა საქართველომ და მისმა მენშევიკურმა მთავრობამ, **ნოე ჟორდანიას** ხელმძღვანელობით, კრახი განიცადა. ქართველი მენშევიკები, სომეხი დაშნაკები და აზერბაიჯანელი მუსავატები აწარმოებდნენ არა მხოლოდ ანტირუსულ, არამედ ანტიქართულ, ანტისომხურ და ანტიაზერბაიჯანულ პოლიტიკას, ასევე თვით რესპუბლიკებში მიმდინარეობდა ძმათამკვლელი დაპირისპირებები, რომლებიც კარგს არაფერს უქადდა საუკუნეების განმავლობაში გვერდიგვერდ მცხოვრებ ერებს. **1921 წლის 25-მა თებერვალმა იხსნა როგორც საქართველო, ისე მისი მოძმე აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხები ამ დაუსრულებელი გაუგებრობებისგან.** 1913 წელს რუსეთის მძიმე მრეწველობის მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე უდრიდა 78 მანეთს, საქართველოში კი — 18 მანეთს, ე.ი., დაახლოებით 4-ჯერ ნაკლები იყო. იმავე წელს რუსეთში ერთ სულზე 13,7 კვტ/სთ ელექტროენერგია მოდიოდა, საქართველოში კი — 7,9 კვტ/სთ. მრეწველობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დარგი (სატრანსპორტო, მანქანათმშენებლობისა და სხვ.) და რიგი პირადი მოხმარების ზოგიერთი საგნის წარმოება საქართველოში სრულიად არ იყო. ამასთანავე, რუსეთს არათუ შესწევდა უნარი, ტექნიკურ-ეკონომიკურად დაწეოდა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, არამედ მისი ჩამორჩენა მრეწველობის ცალკე დარგებში სულ უფრო იზრდებოდა. პირველმა მსოფლიო ომმა მოშალა როგორც რუსეთის, ისე საქართველოს სუსტად განვითარებული სამეურნეო ორგანიზმი, საქართველოს სახალხო მეურნეობა და განსაკუთრებით მრეწველობა სრულიად გაჩანაგდა მენშევიკების მმართველობის წლებში. **სახალხო მეურნეობის დაშლა-დაქვეითების ფაქტს არ უარყოფდნენ თვით მენშევიკური მთავრობის მესვეურნიც. მაგალითად, 1920 წლის 13 ოქტომბერს თბილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში მოწყობილ ეკონომიკურ თათბირზე გამოსული ნოე ჟორდანია აღიარებდა:** „რამდენიმე წლის წინათ ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიკის მხრივ კატასტროფისკენ მივდიოდით. შემდეგ ეს რამდენჯერმე იქნა განმეორებული, ასე რომ, ამ სიტყვებს კიდეც შეეჩვივნენ თითქოს და არავითარ განგაშს არ ტეხდნენ, მაგრამ დღეს ეს სიტყვები უკვე გამართლებულია: დღეს თითოეული ჩვენგანი განიცდის იმ სინამდვილეს, რომ ჩვენ არათუ მივდივართ კატასტროფისკენ, ჩვენ უკვე მივედით იქამდე“. შემდეგ ჟორდანიას მოჰყავს ცნობები, როგორ დაეცა შრომის ნაყოფიერება მუშათა ყოფაცხოვრების თანდათანობით გაუარესების შედეგად; მაგალითად, რკინიგზის მთავარ სახელოსნოში, რომელიც მენშევიკურ საქართველოში ყველაზე დიდი საწარმო იყო. **ამავე თათბირზე გამოსული კარლ კაუცკი აღნიშნავდა საქართველოში შრომის ნაყოფიერების უკიდურესად დაცემასა და მოსახლეობის გაღატაკებას და მენშევიკურ მთავრობას ურჩევდა, სესხი აეღო კაპიტალისტური სახელმწიფოებისგან და მოეწვია უცხოელი კაპიტალისტები.** „ყოველივე ეს სოციალისტური მთავრობისთვის არაა სასიამოვნო — ეს ცხადზე ცხადია, მაგრამ სხვა გამოსავალი თქვენ არ გექნებათ“, — ეუბნებოდა კაუცკი მენშევიკებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საქართველო მოეწყვიტათ რუსეთისაგან, გადაექციათ ჯერ გერმანელების და შემდეგ დასავლეთ ევროპის სხვა იმპერიალისტების სათარეშოდ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი რეაქციის პლაცდარმად. ასეთ პირობებში მენშევიკური საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების ბრწყინვალე ანალიზი გამოაქვეყნა სტალინმა 1920 წლის 20 ნოემბრის გაზეთ „პრავდაში“. **„საქართველოს კატასტროფული მეურნეობრივი და სასურსათო მდგომარეობა ფაქტია, რომელსაც ახლანდელი საქართველოს გამგებელნიც კი აღნიშნავენ. საქართველო, რომელიც გაება ანტანტის ხაფანგში და ამიტომ დაკარგა ბაქოს ნავთიცა და ყუბანის პურიც, საქართველო, რომელიც გადაიქცა ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად და ამიტომ დაადგა იგი საბჭოთა რუსეთთან მტრული დამოკიდებულების გზას — ეს საქართველო ახლა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის.** ტყუილად კი არ მოხდა, რომ მომაკვდავი მეორე ინტერნაციონალის გახრწნილმა ბელადმა, რევოლუციის ტალღით ევროპიდან გადმოტყორცნილმა ბატონმა კაუცკიმ თავშესაფარი ჰპოვა დამყაყებულ, ანტანტის ბადეში გაბმულ საქართველოში, გაკოტრებულ ქართველ სოციალ-მიკიტნებთან. **განა საეჭვოა, რომ გაჭირვების ჟამს ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვა“.** მენშევიკური მთავრობა იცავდა მემამულეებისა და კაპიტალისტების საკუთრებას, მათ მიერ მუშათა კლასისა და გლეხობის ექსპლუატაციას. ამის გამო შეუძლებელი იყო მშრომელი მასების დაინტერესება და დარაზმვა როგორც სახალხო მეურნეობის, ისე მრეწველობის აღსადგენად და ასაღორძინებლად. ასეთ პირობებში გამორიცხული იყო საკუთარი ძალებით ქვეყნის მრეწველობის აღდგენა-განვითარების შესაძლებლობა. 1920 წელს მრეწველობის დარგის საწარმოთა დიდი ნაწილი დაუტვირთავი იყო ან მცირე დატვირთვით მუშაობდა. წარმოების ტექნიკურ შეიარაღებას არაფერი შემატებია. პირიქით, შენარჩუნებული მოწყობილობა ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი იყო. მუშათა კლასის მდგომარეობაზე მენშევიკების შრომის მინისტრის მოადგილე **გიორგი ერაძე** ამბობდა: **„საქართველოს მუშათა კლასი ამჟამად მძიმე და მწვავე ეკონომიკურ კრიზისს განიცდის. მისმა სიღარიბემ და გაჭირვებამ მიაღწია უკიდურეს ზღვარს, რომლის შემდეგ უნდა ველოდოთ ჩვენში მუშათა კლასის ფიზიკური გადაშენების სწრაფ და ძლიერ პროცესს. ჩვენი საზოგადოების არც ერთი დემოკრატიული კლასი ან ჯგუფი არ იმყოფება ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში, როგორშიც ქალაქის მუშები აღმოჩნდნენ“.** მრე- ▶

**მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის გაჩანაგება, მისი გამოუვალი კატასტროფული მდგომარეობა, მუშათა კლასისა და მშრომელი მასების სიღატაკე, მემამულეებისა და კაპიტალისტების აღვირახსნილი ბატონობა და დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების თარეში საქართველოში — აი ქართველი ხალხის მოღალატე, უბადრუკი მენშევიკური მთავრობის მოღვაწეობის შედეგი 1920 წლის დასასრულს**



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ყოველივე ეს სოციალისტური მთავრობისთვის არაა სასიამოვნო — ეს ცხადზე ცხადია, მაგრამ სხვა გამოსავალი თქვენ არ გექნებათ“, — ეუბნებოდა კაუცკი მენშევიკებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საქართველო მოეწყვიტათ რუსეთისგან, გადაექციათ ჯერ გერმანელებისა და შემდეგ დასავლეთ ევროპის სხვა იმპერიალისტების სათარეშოდ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი რეაქციის პლაცდარმად.

წველობისა და სახალხო მეურნეობის გაჩანაგება, მისი გამოუვალი კატასტროფული მდგომარეობა, მუშათა კლასისა და მშრომელი მასების სიღატაკე, მემამულეებისა და კაპიტალისტების აღვირახსნილი ბატონობა და დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების თარეში საქართველოში — აი ქართველი ხალხის მოღალატე, უბადრუკი მენშევიკური მთავრობის მოღვაწეობის შედეგი 1920 წლის დასარულს. საბჭოთა წყობილების დამყარებით ახალი, ბრწყინვალე ერა დაიწყო ქართველი ხალხის ისტორიაში. საფუძველი ჩაეყარა და ასპარეზი გაეხსნა როგორც მთელი სახალხო მეურნეობის, ისე, კერძოდ, მრეწველობის აღდგენას და უჩვეულო ტემპებით განვითარებას. მიწა, წყალი, ბუნებრივი რესურსები გადავიდა სოციალისტური სახელმწიფოს საკუთრებაში. საქართველოს თვალწარმტაცი ბუნება და მისი სიმდიდრეები, რომლებსაც მანამდე ექსპლუატატორები ფლობდნენ და ანიავებდნენ, ნამდვილი ბატონ-პატრონის — ხალხის ხელში გადავიდა; მოისპო კერძო მესაკუთრეობის ბარიერები, რომლებიც აფერხებდა ბუნებრივი სიმდიდრის რაციონალურად გამოყენებას. გასაგებია, რომ მოშლილი მრეწველობის აღდგენა-განვითარებისათვის მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობდა, სახელდობრ, მსხვილი და საშუალო მრეწველობის, ტრანსპორტის, კრედიტისა და სხვა ნაციონალიზაცია, მათი გადაქცევა საყოველთაო სახალხო კუთვნილებად მუშათა კლასისა და მშრომელი ხალხის ინეტრესების დასაკმაყოფილებლად. ნაციონალიზაციის შედეგად მრეწველობის ძირითადი მასა სახელმწიფოს ხელში გადავიდა. **1923 წელს სახელმწიფო და კოოპერაციულ საკუთრებაში იმყოფებოდა მთელი მექანიკური სიმძლავრის 90,5%; განსაზოგადოებულ სექტორში ირიცხებოდა მუშათა საერთო რაოდენობის 50%-ზე ცოტა მეტი. მუშათა რაოდენობის მიხედვით კერძო მრეწველობის დიდი ხვედრითი წონა აიხსნება იმით, რომ საქართველოში თვალსაჩინო ადგილი ეკავა წვრილხელოსნურ და საშინაო წარმოებას, რომლის ნაციონალიზაცია არ მომხდარა. ეს ფაქტი იმითაც დასტურდება, რომ იმხანად ერთ საწარმოზე საშუალოდ მოდიოდა: სახელმწიფო მრეწველობაში — 43,8 მუშა, კოოპერაციულში — 14,6 მუშა, ხოლო კერძოში — 1,8 მუშა.**

საბჭოთა ხელისუფლებამ წარმოების ძირითად საშუალებებზე სოციალისტური საკუთრების დამყარებით მოსპო ნაციონალური ჩაგვრა და მტკიცე ეკონომიკური საფუძველი შექმნა ყველა სახალხო მეურნეობის ასაღორძინებლად. ერთა თანასწორუფლებიანობა და ძმური ერთიანობა დიდი ოქტომბრის რევოლუციის უდიდესი მონაპოვარია, მაგრამ იგი მხოლოდ პირველ ნაბიჯს და პოლიტიკურ საფუძველს წარმოადგენდა იმისთვის, რომ განხორციელებულიყო ეკონომიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი ერების სწრაფი განვითარება. მრეწველობის განვითარების მხრივ საქართველოს ამაღლება რუსეთის ცენტრალური რაიონების დონემდე მხოლოდ დიდი რუსი ხალხის დახმარებით შეიძლებოდა.




## «საქართველოს კატასტროფული მეურნეობრივი და სასურსათო მდგომარეობა ფაქტია, რომელსაც ახლანდელი საქართველოს გამგებელნიც კი აღნიშნავენ. საქართველო, რომელიც გაება ანტანტის ხაფანგში და ამიტომ დაკარგა ბაქოს ნავთიცა და ყუბანის პურიც; საქართველო, რომელიც გადაიქცა ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად და ამიტომ დაადგა იგი საბჭოთა რუსეთთან მტრული დამოკიდებულების გზას — ეს საქართველო ახლა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის»

სტალინი ჯერ კიდევ 1921 წლის ნოემბერში გაზეთ „პრავდაში“ აღნიშნავდა, რომ ყოფილ ე.წ. განაპირა ქვეყნებს მრეწველობისა და სამხედრო თვასაზრისით ჩამორჩენილობის გამო „არ ძალუძთ ცენტრალური რუსეთიდან სამხედრო-მეურნეობრივი დახმარების გარეშე დაიცვან თავიანთი დამოუკიდებელობა ისე, როგორც ცენტრალურ რუსეთსაც არ ძალუძს, შეინარჩუნოს თავისი სამხედრო-მეურნეობრივი სიმძლავრე განაპირა ქვეყნების მხრივ სათბობ-ნედლეულისა და სასურსათო დახმარების მიღების გარეშე“. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის არსი, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, „არის ის, რომ მოვსპოთ ეროვნებათა ის (მეურნეობრივი, პოლიტიკური, კულტურული) ჩამორჩენილობა, რომელიც მემკვიდრეობად გადმოგვეცა წარსულისგან, რომ საშუალება მივცეთ ჩამორჩენილ ხალხებს, დაეწიონ ცენტრალურ რუსეთს სახელმწიფოებრივადაც, კულტურულადაც და მეურნეობრივადაც“. ცნობილია, რომ ამ დიდი ისტორიული ამოცანის გასაღებს სოციალისტური ინდუსტრია წარმოადგენს. მაშასადამე, **საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და მისი გადაქცევა მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად უშუალოდ გამომდინარეობდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შინაგანი ბუნებიდან და ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო. საქართველოს ინდუსტრიალიზაცია სსრ კავშირის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განუყოფელ ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.**

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყრების პირველ წელს სტალინმა გენიალურად განსაზღვრა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და, კერძოდ, მრეწველობის განვითარების პერსპექტივები, მათი განხორციელების გზები და ღონისძიებები. სტალინის მითითება საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, დაღესტნისა და მთიულეთის რესპუბლიკების კომუნისტებისადმი ელექტროფიკაციის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ გულისხმობდა არა მხოლოდ ცალკე ელექტროსადგურების აშენებას, არამედ მდიდარი და იაფი ელექტროენერგიის წარმოების საფუძველზე მსხვილი მანქანური ინდუსტრიის შექმნასა და განვითარებას. 1921 წლის 6 ივლისს სტალინი თავის ნაშრომში „კომუნისზმის მორიგი ამოცანები საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ საქართველოს ბოლშევიკებს მიუთითებდა „მეურნეობრივ-აღმშენებლობითი მუშაობის ყოველმხრივი განვითარების აუცილებლობაზე“.

ქართველი ხალხი, **სერგო ორჯონიკიძის** ხელმძღვანელობით, საბჭოთა წყობილების დამყარების პირველი დღიდანვე დაირაზმა სოციალისტური სახელმწიფოს დროშის ქვეშ. ბოლშევიკურმა პარტიამ გამოავლინა და აღკვეთა მენშევიკების, ნაციონალ-უკლონისტების, ტროცკისტების, ბუხარინელებისა და ქართველი ხალხის ყველა სხვა ჯურის მტრების ცდები, ჩაეშალათ სოციალისტური მშენებლობა საქართველოში.

ინდუსტრიალიზაციის პერიოდის დასაწყისიდანვე საქართველოში დიდი მასშტაბით გაიშალა სამრეწველო ობიექტების მშენებლობა. შედგა პირველი ხუთწლიანი გეგმა. მშრომელი მოსახლეობა ხალისით ჩაება ამ გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში. 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებით საკ კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა საქართველოსა და ამიერკავკასიის მაშინდელ ხელმძღვანელობაში გამძვრალი მტრული ელემენტების მიერ დაშვებული ხარვეზები, რომლებიც, მრეწველობის ხაზით, უმთავრესად გამოიხატებოდა მშენებლობის ვადების გაჭიანურებასა, აღმშენებლობის ობიექტების დაქსაქსვასა და აშენებული საწარმოების არასრულ ათვისებაში. სტალინის უშუალო მითითებათა საფუძველზე დასახეს საბრძოლო პროგრამა ხსენებული ხარვეზების აღმოფხვრისა და მრეწველობის აღმავლობის უზრუნველსაყოფად. სტალინური ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა ცხოვრებაში განუხრელად გამტარებელი **ლავრენტი ბერია** იმთავითვე მიუთითებდა, რომ „საკ.კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება წარმოადგენს საქართველოს კომპარტიის წინაშე დასახული ამოცანების გაშლილ პროგრამას“. საკ.კ.პ. (ბ) 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებამ ახალი ბრწყინვალე ფურცელი გადაშალა საქართველოსა და ამიერკავკასიის პოლიტიკური, მეურნეობრივი და კულტურული განვითარების ისტორიაში. **საქართველოს ბოლშევიკებმა დარაზმეს მშრომელთა მასები პირველი ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე განსახორციელებლად. მართლაც, პირველი სტალინური ხუთწლიანი გეგმა შესრულდა 4 წელსა და 3 თვეში. მძიმე მრეწველობის პროდუქციამ დაახლოებით 5,6-ჯერ მოიმატა.**

კაპიტალური დაბანდებების მატების ტემპი საქართველოს მრეწველობაში უფრო სწრაფი იყო, ვიდრე სსრ კავშირში მთლიანად. მაგალითად, სსრკ-ში მეორე ხუთწლედში მრეწველობაში კაპიტალდაბანდება პირველ ხუთწლედთან შედარებით შეადგენდა 265,2%-ს, საქართველოს მრეწველობაში კი — 303,4%-ს. საქართველოში ახალი სამრეწველო მშენებლობის უფრო სწრაფი ტემპი სსრ კავშირის საერთო საშუალო ტემპთან შედრებით თვალსაჩინო მაჩვენებელია სტალინიზმის განხორციელებისა, რომელიც მიმართული იყო წინათ ჩამორჩენილი მხარეებისა და რესპუბლიკების უფრო სწრაფი ტემპით ინდუსტრიალიზაციისკენ, მათი ჩამორჩენილობის დაჩქარებით აღმოფხვრისაკენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**საბჭოთა წყობილების დამყარებით ბრწყინვალე ერა დაიწყო ქართველი ხალხის ისტორიაში. საფუძველი ჩაეყარა და ასპარეზი გაეხსნა როგორც მთელი სახალხო მეურნეობის, ისე, კერძოდ, მრეწველობის აღდგენასა და უჩვეულო ტემპებით განვითარებას. მიწა, წყალი, ბუნებრივი რესურსები გადავიდა სოციალისტური სახელმწიფოს საკუთრებაში. საქართველოს თვალწარმტაცი ბუნება და მისი სიმდიდრეები, რომლებსაც მანამდე ექსპლუატატორები ფლობდნენ და ანიავებდნენ, ნამდვილი ბატონ-პატრონის — ხალხის ხელში გადავიდა. მოისპო კერძო მესაკუთრეობის ბარიერები, რომლებიც აფერხებდა ბუნებრივი სიმდიდრის რაციონალურად გამოყენებას**




ყურადღება!

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

DRANG NACH OSTEN

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სსრკ-ის დაშლის ფონზე ევროპა იწყებს სწრაფად გაერთიანებას. ანგლოსაქსებს ერთიანი ევროპა მხოლოდ გეოპოლიტიკური ვასალის რანგში სჭირდებათ, უმცროს პარტნიორად, მაგრამ გერმანულ-ფრანგული ცენტრი ნელ-ნელა ემზადება დამოუკიდებლობისთვის, თუმცა, ანგლოსაქსებზე სამხედრო, საკადრო და იდეოლოგიური დამოკიდებულების გათვალისწინებით (მათ შორის გლობალიზაციის), ევროპისთვის დამოუკიდებლობისკენ მიმავალი გზა რთული იქნება.**

# ევრორაიხი ნაპოლეონისა და ჰიტლერის ნაკვალევზე

**200 წლის წინათ მოკვდა ერთიანი ევროპის პირველი არქიტექტორი ნაპოლეონ ბონაპარტე, რომელმაც რუსეთის დაპყრობა განიზრახა. 80 წლის წინათ კი ერთიანი ევროპა კვლავ დაესხა თავს რუსეთს. მთავარი კი არის ის, რომ ამ ორასი წლის განმავლობაში ერთიანმა ევროპამ, სამწუხაროდ, ვერაფერი ისწავლა.**



**1812 წელს ნაპოლეონი** თავს დაესხა რუსეთს, საპასუხოდ რუსებმა პარიზი აიღეს, მაგრამ ევროპელებმა, ნაპოლეონის კრახის მიუხედავად, გონებიდან ვერ ამოიგდეს ფიქრი რუსეთის კუთხეში მიმწყვდევასა და დანაწევრებაზე (უფრო მეტიც — ლიკვიდაციაზე), თანაც, რაც უფრო ერთიანდებოდნენ, მით უფრო ძლიერდებოდა ეს ფიქრი და ლტოლვა. ამასთანავე, ევროპელები მუდამ ერთი სქემით მოქმედებდნენ.

ნაპოლეონმა ცეცხლითა და მახვილით, აგრეთვე, კორონაციებითა და დინასტიური კავშირებით დაიმორჩილა ევროპის დიდი ნაწილი. დარჩა ერთადერთი მტერი — დიდი ბრიტანეთი.

**მოკავშირეებით გარშემორტყმული ნაპოლეონი** მომაკვდინებელი საფრთხე იყო ბრიტანელთა იმპერიისთვის, მაგრამ ბრიტანეთთან ომის (კუნძულზე გადასხდომის ან ბრიტანულ კოლონიებზე დარტყმის) ნაცვლად საფრანგეთის იმპერატორი რუსეთს დაესხა თავს, დამარცხდა და ძალაუფლება დაკარგა. ერთიანი ევროპა დაიშალა და, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა გააფართოვა გავლენა ევროპაზე, ყველაზე მეტი სარგებელი ნახა დიდმა ბრიტანეთმა, რომელიც მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ძლიერდებოდა და მსოფლიოში №1-ელ სახელმწიფოდ იქცა.

**ნაპოლეონის გარდაცვალებიდან 120 წლის შემდეგ** ევროპა გააერთიანა **ჰიტლერმა** — კვლავ ძველი სქემით. და, ჭეშმარიტ მტერზე თავდასხმის ნაცვლად, ფიურერმა, ნაპოლეონის მსგავსად, რუსეთს შეუტია, რასაც მოჰყვა კრახი — რაიხისა და მისი ბელადის დაღუპვა. და, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირმა გააფართოვა გავლენა აღმოსავლეთ ევროპაზე, ყველაზე მეტი სარგებელი ანგლოსაქსებმა ნახეს — ამჯერად მთავარ როლში ამერიკის შეერთებული შტატების სახით, რომელსაც ბრიტანელებმა მსოფლიო ლიდერობა გადაულოცეს.

**გადის კიდევ ნახევარი საუკუნე** და სსრკ-ის დაშლის ფონზე ევროპა იწყებს სწრაფად გაერთიანებას. ანგლოსაქსებს ერთიანი ევროპა მხოლოდ გეოპოლიტიკური ვასალის რანგში სჭირდებათ, უმცროს პარტნიორად, მაგრამ გერმანულ-ფრანგული ცენტრი ნელ-ნელა ემზადება დამოუკიდებლობისთვის, თუმცა, ანგლოსაქსებზე სამხედრო, საკადრო და იდეოლოგიური დამოკიდებულების გათვალისწინებით (მათ შორის გლობალიზაციის), ევროპისთვის დამოუკიდებლობისკენ მიმავალი გზა რთული იქნება.

და აი **ევროპა კვლავ მიდის რუსეთისკენ არა ცეცხლითა და მახვილით (რაც, შეუძლებელია ბირთვული იარაღის მქონე რუსეთის წინააღმდეგ), არამედ გეგმაზომიერად: ჯერ ხელში იგდებს აღმოსავლეთ ევროპას, შემდეგ — ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. უკრაინა საჯილდაო ქვად იქცა ევროკავშირსა და რუსეთს შორის. და, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის მიტაცების ინიციატივა ანგლოსაქსებს ეკუთვნით, ამ პროცესში ევროპელებიც ჩაერთვნენ და ამით რუსეთს დაუპირისპირდნენ, რაც ხელს აძლევთ ანგლოსაქს სტრატეგებს: ისინი ინარჩუნებენ კონტროლს ევროპაზე და ყურადღება გადააქვთ აღმოსავლეთისკენ.**

დიახ, ევროპის ამჟამინდელი ერთობა სამხედრო გზით არ არის მიღწეული, მაგრამ არის კი ამის გამო ის უფრო მტკიცე? არა! ნახევრად სუვერენულ ევროპას მომავალი არ აქვს. ის ან მოიპოვებს რეალურ დამოუკიდებლობას, ან დაუბრუნდება ბუნებრივ მდგომარეობას და დანაწევრდება. ამ თვალსაზრისით რუსეთთან ურთიერთობა საკვანძო საკითხია — ტესტი დამოუკიდებლობაზე. **თავისთავად ერთიანი ევროპა არ არის რუსეთის უპირობო მტერი და განწირული ამ ბირთვულ სახელმწიფოსთან კონფლიქტისთვის. მან თავი უნდა დააღწიოს ისტორიულ კომპლექსებს, რომ რუსეთი მისი უმთავრესი მტერი და საფრთხეა, და გაითვალისწინოს ამ უზარმაზარი სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები.**

და კიდევ — ევროპამ თავი უნდა შეიკავოს სხვის კომბინაციებში მონაწილეობისგან; ნება არავის დართოს, დააპირისპიროს რუსეთთან და გაითვალისწინოს მისი უფლება — როგორც სურს, ისე იცხოვროს თავისი ტრადიციებისა და ფასეულობების დაცვით. აღმოსავლეთისკენ ექსპანსია ევროპისთვის ხანმოკლე აღმოჩნდება დროის ისტორიული საზომით, მაგრამ ამის საფასური იქნება არა რუსეთთან ურთიერთობა, არამედ თვითონ ევროპის ბედი. შეუძლებელია, ერთიანი ევროპის (ამჟამინდელი ცენტრალიზებული ან ძლიერი ეროვნული სახელმწიფოების კავშირის ფორმით) შეტევა რუსეთზე ევროპისთვის კარგად დამთავრდეს — ამ მარტივი ჭეშმარიტების გაცნობიერება რუსეთზე ნაპოლეონის გალაშქრების კრახით დასრულების შემდეგაც შეიძლებოდა ან ჰიტლერის შემდეგ. **თუ ევროპას სურს, ევროკავშირის ნანგრევებზე დარწმუნდეს თავისი მიზნების მართებულობაში, ეს მისი უფლებაა, მაგრამ სისულელე იქნება, ერთსა და იმავე ფოცხს ფეხი მესამედ დააბიჯო — ფოცხის ნაცვლად თუნდაც ნაპოლეონის მარშლის კვერთხი იდოს.**

ru-an.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

გიორგი გაჩეჩილაძე



**ერთიანი ევროპის შეტევა რუსეთზე, შეუძლებელია, ევროპისთვის კარგად დამთავრდეს — ამ მარტივი ჭეშმარიტების გაცნობიერება რუსეთზე ნაპოლეონის გალაშქრების კრახით დასრულების შემდეგაც შეიძლებოდა ან ჰიტლერის შემდეგ. თუ ევროპას სურს, ევროკავშირის ნანგრევებზე დარწმუნდეს თავისი მიზნების მართებულობაში, ეს მისი უფლებაა, მაგრამ სისულელე იქნება, ერთსა და იმავე ფოცხს ფეხი მესამედ დააბიჯო, ფოცხის ნაცვლად თუნდაც ნაპოლეონის მარშლის კვერთხი იდოს**




**ევროპა კვლავ მიდის რუსეთისკენ არა ცეცხლითა და მახვილით (რაც შეუძლებელია ბირთვული იარაღის მქონე რუსეთის წინააღმდეგ), არამედ გეგმაზომიერად: ჯერ ხელში იგდებს აღმოსავლეთ ევროპას, შემდეგ — ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. უკრაინა საჯილდაო ქვად იქცა ევროკავშირსა და რუსეთს შორის. და, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის მიტაცების ინიციატივა ანგლოსაქსებს ეკუთვნით, ამ პროცესში ევროპელებიც ჩაერთვნენ და ამით რუსეთს დაუპირისპირდნენ, რაც ხელს აძლევთ ანგლოსაქს სტრატეგებს: ისინი ინარჩუნებენ კონტროლს ევროპაზე და ყურადღება გადააქვთ აღმოსავლეთისკენ**

„1945 წელს პოლონეთს გადაეცა ქალაქები: ბრესლაუ, გდანსკი, ზელიონა-გურა, ლეგნიცა, შჩეცინი, — ამბობს მაჩეი ვეიშნევსკი, პოლონელი დამოუკიდებელი ჟურნალისტი, — სსრკ-მა, აგრეთვე, მოგვცა ბელოსტოვის ტერიტორია. სტალინის შუამავლობით დაგვრჩა ჩეხოსლოვაკიასთან სადავო ქალაქი კლოძსკო. ჩვენთან მიიჩნევენ, რომ პოლონეთის გაყოფა მოლოტოვ-რობენტროპის პაქტით, როცა სსრკ-მა წაიღო დასავლეთი ბელორუსია და დასავლეთი უკრაინა, უსამართლობა იყო. აი სტალინის მიერ პოლონელებისთვის სელეზიისა და პომერანიის გადაცემა კი — სამართლიანი“.

ნამდვილი ისტორია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა აჩუქა საბჭოთა კავშირმა ქვეყნებს, რომლებიც ახლა ოკუპანტს ეძახიან

## რატომ დუმან აღმოსავლეთევროპელი რუსოფობები




**სსრკ-ის გადაწყვეტილებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უზარმაზარი ტერიტორიები ჩაიგდეს ხელთ, მაგრამ რუსებს ოკუპანტებს ეძახიან. როგორი იქნებოდა ევროპის რუკა, სსრკ-ს ამ ქვეყნებისთვის ათასობით კვ.კმ ტერიტორია რომ არ გადაეცა? და იტყვიან კი უარს ამ მიწებზე?**

**ვროცლავი** პოლონეთის ერთ-ერთი მიმზიდველი ტურისტული ქალაქია. ყველგან შეხვდებით კამერებით შეიარაღებულ ტურისტებს, ძვირად ღირებული რესტორნებიც სავსეა (ასე იყო პანდემიამდე), ფასები — ძალიან მაღალი, ერთ-ერთ მოედანზე შეამჩნევთ უზარმაზარ ტრანსპარანტს „ვროცლავი — პოლონეთის ნამდვილი მომხიბვლელობა“... მაგრამ, **ჯერ კიდევ 1945 წლის მაისში ვროცლავს ბრესლაუ ერქვა და მანმადე, 600 წლის განმავლობაში პოლონეთის ტერიტორია არ ყოფილა. გამარჯვების დღემ, რომელსაც პოლონეთში ახლა კომუნისტური ტირანიის დაწყების დღეს უწოდებენ, პოლონეთის შემადგენლობაში შეიყვანა გერმანული სილეზია, პომერანია, აგრეთვე, აღმოსავლეთ პრუსიის 80%. ამის შესახებ დღეს კრინტს არავინ ძრავს** — ე.ი., „ტირანია ტირანიად, მაგრამ მიწა, კარგია, რომ ჩვენია“.

როგორი იქნებოდა დღეს ევროპის რუკა, საბჭოთა ჯარისკაცებს, ჩვენს მამებსა და ბაბუებს, სისხლი რომ არ დაეღვარათ ამ ქვეყნების ფაშიზმისგან გათავისუფლებაში?

* „1945 წელს პოლონეთს გადაეცა ქალაქები: **ბრესლაუ, გდანსკი, ზელიონა-გურა, ლეგნიცა, შჩეცინი**, — ამბობს **მაჩეი ვეიშნევსკი,** პოლონელი დამოუკიდებელი ჟურნალისტი, — სსრკ-მა, აგრეთვე, მოგვცა **ბელოსტოვის ტერიტორია.** სტალინის შუამავლობით დაგვრჩა ჩეხოსლოვაკიასთან სადავო ქალაქი **კლოძსკო.** ჩვენთან მიიჩნევენ, რომ პოლონეთის გაყოფა მოლოტოვ-რობენტროპის პაქტით, როცა სსრკ-მა წაიღო დასავლეთი ბელორუსია და დასავლეთი უკრაინა, უსამართლობა იყო. აი სტალინის მიერ პოლონელებისთვის სელეზიისა და პომერანიის გადაცემა კი — სამართლიანი.

ახლა მოდურია ლაპარაკი, რომ საბჭოთა ჯარისკაცებმა კი არ გაგვათავისუფლეს, არამედ დაგვიპყრეს. საინტერესო ოკუპაცია გამოდის, თუ პოლონეთმა გერმანიის მეოთხედი უფასოდ მიიღო; არადა, ამ მიწაზე ათასობით საბჭოთა ჯარისკაცმა დაღვარა სისხლი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გაჯიუტდა და არ გვითმობდა ქალაქ შჩეცინს, მაგრამ ეს საკითხი საბჭოთა კავშირის ზემოქმედებით გადაწყდა 1957 წელს“.

* ოკუპაციით ძალიან აღშფოთებულია **ბალტიისპირეთიც,** მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ საბჭოთა კავშირმა აჩუქა **ლიტვას** ამჟამინდელი დედაქალაქი **ვილნიუსი**. იმხანად ვილნიუსში ლიტველების მხოლოდ 1% ცხოვრობდა, უმრავლესობა კი პოლონელი და ბელარუსი იყო. საბჭოთა კავშირმა ლიტვის რესპუბლიკას დაუბრუნა ქალაქი **კლაიპედა** (პრუსიული მემელი), რომელიც ლიტველებს 1923-1939 წლებში ეკუთვნოდათ და მესამე რაიხის მიერ იყო ანექსირებული. ლიტვის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ 1991 წელს დაგმო მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი, მაგრამ ვილნიუსი პოლონეთისთვის, ხოლო კლაიპედა გერმანიის ფედრაციული რესპუბლიკისთვის არ დაუბრუნებიათ.

* **უკრაინამ,** რომელმაც იმჟამინდელი პრემიერმინისტრის, **არსენი იაცენიუკის,** პირით თავი საბჭოთა და გერმანიის აგრესიის მსხვერპლად გამოაცხადა, თავისი დასავლეთი ნაწილი **ლვოვთან, ივანოვო-ფრანკოვსკსა** და **ტერნოპოლთან** (ეს ქალაქები უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას 1939 წელს მიუერთა სტალინმა) ერთად, საეჭვოა, პოლონეთს დაუბრუნოს, ხოლო 1945 წელს გადაცემული ამიერკარპატები — სლოვაკეთს ან უნგრეთს.


საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლი ბერლინში, ტრეპტოვ პარკში

* **რუმინელი** პოლიტიკოსები არ წყვეტენ დისკუსიას 1940 წელს საბჭოთა კავშირის მიერ მოლდავეთის ანექსიაზე, თუმცა, რა თქმა უნდა, კარგა ხანია, დაივიწყეს, რომ ომის შემდეგ, სახელდობრ, საბჭოთა კავშირის წყალობით დაიბრუნეს პროვინცია **ტრანსილვანია,** რომელიც ჰიტლერმა მიითვისა და შემდეგ უნგრეთს გადასცა.

* **ბულგარეთმა,** სტალინის შუამავლობით, დაიტოვა **სამხრეთი დობრუჯა** (ადრე რუმინეთის კუთვნილება), რაც დადასტურებულია 1947 წლის ხელშეკრულებით. სამაგიეროდ, ამ საკითხებზე რუმინულ და ბულგარულ პრესაში არაფერს წერენ.

* „**ჩეხეთმა** აიღო საბჭოთა ჯარისკაცების ძეგლები და გამოაცხადა, რომ 9 მაისი არის ერთი დიქტატურის მეორეთი შეცვლის დღე, — ყვება ჩეხი ისტორიკოსი, — სსრკ-ის მოთხოვნით, ჩეხოსლოვაკიას დაუბრუნეს **სუდეტის** ოლქი, ქალაქებით — კარლოვი ვარითა და ლიბერეცით, რომლებშიც მოსახლეობის 92%-ს გერმანელები შეადგენდნენ. **დასავლურმა სახელმწიფოებმა (დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და იტალიამ) 1938 წლის მიუნხენის შეთანხმებით მხარი დაუჭირეს გერმანიის მიერ სუდეტის ოლქის ანექსიას. ეს მხოლოდ სსრკ-მა გააპროტესტა.**

* **პოლონელებმა** ჩეხოსლოვაკიისგან **ტეშინის ოლქი** მიისაკუთრეს და ომის შემდეგ მისი დაბრუნება აღარ სურდათ, მაგრამ საქმეში სსრკ-ის ჩარევის შემდეგ ტეშინი ჩეხებს დაუბრუნდათ (1958 წელს). **ყველაფრის მიუხედავად, საბჭოთა კავშირისთვის მადლობა დახმარებისთვის არავის უთქვამს, პირიქით — საბჭოელებმა (რუსებმა) მათგან, ვისაც მიწა აჩუქეს, ფურთხი დაიმსახურეს.**

ბევრისთვის, ალბათ, ცნობილი არ არის იმ დარბევების შესახებ, რომლებიც ახალმა ხელისუფლებებმა მოაწყვეს დაბრუნებულ ტერიტორიებზე. პომერანიიდან და სუდეტიდან გააძევეს 14 მლნ (!) გერმანელი. თუ გერმანელების კიონიგსბერგიდან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადასვლას 6 წელიწადი დასჭირდა (1951 წლამდე), პოლონეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან — 2-3 თვე, ბევრ გერმანელს კი მოსამზადებლად (ტანსაცმლისა და ნივთების ჩასალაგებლად) 24 საათი მისცეს და ასობით კილომეტრი ფეხით ატარეს. „არ ღირს ამის გახსენება, — შენიშნავდნენ ქალაქ შჩეცინის (პოლონეთი) მერიის წარმომადგენლები, — ასეთი რაღაცები გერმანელებთან კარგ ურთიერთობას გააფუჭებს“.

**საერთოდ, დასავლეთი ცდილობს, საბჭოთა ხალხის გამარჯვება და ფაშიზმისგან ევროპის გათავისუფლება გააუკუღმართოს: დასავლეთევროპელს, რომელიც ამბობს, რომ ნაციზმზე სსრკ-ის გამარჯვება — ეს არის გათავისუფლება, გიჟად თვლიან, მოღალატედ.**

თუ 1945 წლის 9 მაისის შედეგები ცუდი, საშინელება და უკანონოა, მაშინ სსრკ-ის მიერ იმავე პერიოდში ჩადენილი სხვა ქმედებებიც ასეთივეა. განა შეიძლება კარგი იყოს მათი გადაწყვეტილებები, ვინც ტირანია დაამკვიდრა თქვენს მიწაზე? ამიტომ პოლონეთმა პომერანია, სილეზია და პრუსია უნდა დაუბრუნოს გერმანიას, უკრაინამ თავისი დასავლეთი ნაწილი — პოლონელებს, ქალაქი ჩერნოვცი — რუმინელებს, ამიერკარპატები — უნგრელებს, ლიტვამ უარი უნდა თქვას ვილნიუსსა და კლაიპედაზე, რუმინეთმა — ტრანსილვანიაზე, ჩეხებმა სუდეტსა და ტეშინაზე, ბულგარეთმა — დობრუჯიზე.

ისე, საინტერესოა, რა მოხდებოდა საბჭოთა კავშირს მხოლოდ თავისი საზღვრებიდან რომ განედევნა ფაშისტები და ფეხებზე დაეკიდებინა ევროპა, ასეთ შემთხვევაში რა დარჩებოდა იმ ქვეყნებისგან, რომლებიც დღეს, ფაშისტებზე გამარჯვებიდან 76 წლისთავზე, საბჭოთა ჯარისკაცების სისხლის ფასად ნაცისტებისგან გათავისუფლებას ოკუპაციას ეძახიან? — არც არაფერი!

**Livejournal.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

**რწმენის პრობლემა**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სოციოლოგიის სფეროში ყველაზე დიდი და პრესტიჟული კვლევითი ორგანიზაციის — გელაპის ინსტიტუტის მონაცემებით, რელიგიური ამერიკელები ტოვებენ ეკლესიას, მეჩეთებსა და სინაგოგებს. მათი მხოლოდ 47 პროცენტი დადის „ღვთის სახლში“. 1999 წელს კი მათი რაოდენობა 70 პროცენტი იყო.**

# ამერიკისა და ევროპის მოსახლეობამ ტაძარს ზურგი აქცია

**სოციოლოგები ეკლესიებიდან მრევლის მასობრივ გაქცევაზე ალაპარაკდნენ. აშშ-ში — ოდესღაც ერთ-ერთ ძალიან რელიგიურ ქვეყანაში — სულ უფრო მეტი მორწმუნე ამჯობინებს, შინ ილოცოს. გავრცელდება თუ არა ეს ტენდენცია სხვა ქვეყნებზეც?**

## „ახალგაზრდობა გარბის“

„ხოლო, როდესაც იხილავთ გაპარტახების სიბილწეს, დანიელ წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამს, რაც წმინდა ადგილას დევს, — წამკითხველი გაიგებს. მაშინ იუდას მყოფნი მთებს შეფარონ“ (მათეს სახარება 24:15). ეს ფრაზა მათეს სახარებიდან ბოლო ჟამს ეძღვნება. **დედამიწას, ქრისტიანული სწავლების მიხედვით, საშინელი კატაკლიზმები ელის. შემდეგ მოვა ანტიქრისტე. ეს წინასწარმეტყველება ყოველთვის აშფოთებდა და აშფოთებს მორწმუნეებს, განსაკუთრებით აშშ-ში, სადაც მათი რაოდენობა ბევრია — 82 პროცენტი. ამერიკელების მოთხოვნებიც დაკმაყოფილებულია — მსოფლიოში არსად არ არის იმდენი კონფესია და ტაძარი, რამდენიც აშშ-ში** — თითქმის 400 ათასი.

მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, მათ ელის „გაპარტახების სიბილწე“. სოციოლოგიის სფეროში ყველაზე დიდი და პრესტიჟული კვლევითი ორგანიზაციის — გელაპის ინსტიტუტის მონაცემებით, რელიგიური ამერიკელები ტოვებენ ეკლესიას, მეჩეთებსა და სინაგოგებს. მათი მხოლოდ 47 პროცენტი დადის „ღვთის სახლში“. 1999 წელს კი მათი რაოდენობა 70% იყო. მონაცემებმა განსაკუთრებით შეაშფოთა პროტესტანტი სამღვდელოება. ამ მიმდინარეობას თავს მიაკუთვნებს ბევრი ამერიკელი, რომელთა გადაბირებისთვის სხვადასხვა ორგანიზაცია იბრძვის — პროპაგანდას ეწევიან არა მხოლოდ ქუჩებში, არამედ სოციალურ ქსელებსა და ტელეეთერებში. სხვათა შორის, რამდენიმე რელიგიური ტელეარხი აშშ-ის ყველაზე რეიტინგული ტელევიზიების ათეულში შედის.

**„ტაძრებში მიმსვლელთა შემცირება შეიძლება თაობათა ცვლით აიხსნას. უფროსი თაობის ამერიკელები ცოტანი დარჩნენ. მოწიფული და ახალგაზრდა ამერიკელები კი სულ უფრო იშვიათად დადიან ეკლესიაში. და ეს ტენდენცია თვალში საცემია“**, — ამბობენ გელაპის ინსტიტუტის წარმომადგენლები.

„ამის გამო, — აღნიშნავენ მეცნიერები, — ბოლო წლებში აშშ-ში ათასობით ეკლესია დაიხურა, პროცესი დააჩქარა პანდემიამ, როცა რამდენიმე შტატში მორწმუნეებს ეკლესიაში სიარული აუკრძალეს“.



**«ტაძრებში მიმსვლელთა შემცირება შეიძლება თაობათა ცვლით აიხსნას. უფროსი თაობის ამერიკელები ცოტანი დარჩნენ. მოწიფული და ახალგაზრდა ამერიკელები კი სულ უფრო იშვიათად დადიან ეკლესიაში. და ეს ტენდენცია თვალში საცემია... ამის გამო ბოლო წლებში აშშ-ში ათასობით ეკლესია დაიხურა, პროცესი დააჩქარა პანდემიამ, როცა რამდენიმე შტატში მორწმუნეებს ეკლესიაში სიარული აუკრძალეს»**

## მუსლიმანთა რაოდენობამ მოიმატა

ის, რაც ამერიკისთვის სიახლეა, ევროპისთვის ჩვეულებრივი ამბავია — ჯერ კიდევ X საუკუნის დასაწყისში ჩიოდნენ მღვდელმსახურები მრევლის შემცირებაზე.

მთავარი მიზეზი დემოგრაფიული ვითარებაა. **მკვიდრი ევროპელები ბერდებიან, მათ ცვლიან მიგრანტები მუსლიმური ქვეყნებიდან, რომელთა ოჯახებშიც, როგორც წესი, სამ ბავშვზე ნაკლები არ არის. სოციოლოგების დასკვნით, 2060 წლისთვის ქრისტიანების რაოდენობა 34 პროცენტით მოიმატებს, მუსლიმების — 70%-ით.** ისლამის მიმდევართა რაოდენობის მატებას ირიბად ადასტურებს „გუგლის“ საძიებო სისტემის მონაცემებიც. აპრილში კომპანიამ განაცხადა, რომ ევროპელთა შორის სიტყვა „რამადანის“ მოძიების რაოდენობამ პირველად გადააჭარბა სიტყვა „აღდგომის“ მოძიების რაოდენობას. ამასთანავე, სხვაობა საკმაოდ დიდია.

ამჟამად კონტინენტზე დაახლოებით 554 მლნ ქრისტიანი ცხოვრობს. მუსლიმთა რაოდენობის დაანგარიშება კი საკმაოდ რთულია. სხვადასხვა მონაცემით, ისინი 15-დან 30 მლნ-მდე არიან, თანაც მხოლოდ შენგენის ზონასა და დიდ ბრიტანეთში.

მუსლიმთა რაოდენობის მატების მიხედვით ლიდერია გერმანია. იქ ამჟამად, ლტოლვილთა და მიგრაციის საკითხების ფედერალური უწყების მონაცემებით, 5 მლნ მუსლიმი ცხოვრობს. 5 წლის წინათ მათი რაოდენობა მილიონით ნაკლები იყო. გერმანიაში მუსლიმებს შორის თურქები ჭარბობენ, შემდეგ მოდიან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან წამოსულები, შემდეგ — ჩრდილოეთ აფრიკიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან (ალბანეთი და ბოსნია).

რაც მთავარია, ევროპელ მუსლიმთა უმრავლესობა რეგულარულად სტუმრობს მეჩეთს, ეკლესიებში კი ქრისტიანების მხოლოდ ნახევარი დადის.

„პანდემიამ, რომელმაც ტაძრების დაკეტვა გამოიწვია, მორწმუნეები ორ ბანაკად გაყო: პრაქტიკოსებად (რომლებიც იცავდნენ რელიგიურ წესჩვეულებებს) და იმ ადამიანებად, რომლებიც თავს ქრისტიანებად მიიჩნევენ.

მორწმუნეები გაიყვნენ არა მხოლოდ ევროპაში, არამედ ლათინური ამერიკის ქვეყნებშიც, თუმცა იქ საინტერესო ტენდენცია შეიმჩნევა: მორწმუნეთა რაოდენობა მცირდება, ეკლესიაში მიმსვლელთა კი პირიქით — მატულობს. აფრიკის, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში რელიგიური ადამიანების რაოდენობა მატულობს, განსაკუთრებით ინდოეთში, სადაც აქტიურობენ ქრისტიანები და მუსლიმანური მისიები. ამასთანავე, მსოფლიოში ბევრია ადამიანი, რომლებიც მზად არ არიან, აღიარონ, რომ ათეისტია და არ ენდობიან რელიგიურ ინსტიტუტებს.

საინტერესოა ამ მხრივ ვითარება ყველაზე დიდ მართლმადიდებლურ ქვეყანაში — რუსეთში. **ოფიციალური მონაცემების თანახმად, რუსეთის მოსახლეობის 66% თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს — ეს მონაცემი 9%-ით ნაკლებია, ვიდრე იყო 2020 წელს. მათგან მხოლოდ 13 პროცენტი იცავს დიდმარხვას, კიდევ უფრო ნაკლები მიდის ეკლესიაში შობისა და აღდგომის დღესასწაულებზე.**

ათეისტების რაოდენობამ კი 2017 წლიდან 2-ჯერ მოიმატა და 13 პროცენტს მიაღწია. დაახლოებით ამდენი მუსლიმი ცხოვრობს ქვეყანაში.

**მკვიდრი ევროპელები ბერდებიან, მათ ცვლიან მიგრანტები მუსლიმური ქვეყნებიდან, რომელთა ოჯახებშიც, როგორც წესი, სამ ბავშვზე ნაკლები არ არის. სოციოლოგების დასკვნით, 2060 წლისთვის ქრისტიანების რაოდენობა 34 პროცენტით მოიმატებს, მუსლიმების — 70 პროცენტით**



კათოლიკური მესა ლვოვში



მართლმადიდებლური საკათედრო ტაძარი სან ფრანცისკოში



გოთიკური ტაძარი კელნში

ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**„ყველაზე განსაცვიფრებელი იყო ის, რომ, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 53 ქვეყნის რესპონდენტთა 44%-მა მათი ქვეყნების დემოკრატიის მთავარ საფრთხედ აშშ დაასახელა. ჩინეთის გავლენა საფრთხედ მიიჩნია გამოკითხულთა 38%-მა, რუსეთის — მხოლოდ 28%-მა“, — იუწყება ბრიტანული გაზეთი THE GUARDIAN-ი.**

დემოკრატიის აღქმის ინდექსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




# The Guardian-ი: დემოკრატიას საფრთხეს უქმნის აშშ და არა ჩინეთი ან რუსეთი

## შარშანდელი გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, აღქმამ, რომ აშშ მთავარი საფრთხეა დემოკრატიისთვის, მნიშვნელოვნად მოიმატა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია და ჩინეთი

**ფონდმა „დემოკრატიის ალიანსი“ (Aliance of Democracies Foundation) შეუკვეთა მასშტაბური სოციალური კვლევა „დემოკრატიის აღქმის ინდექსი“ (Democracy Perception Index, DPI), რომელიც 53 ქვეყანაში ჩატარდა. კვლევამ, რომელშიც მონაწილეობდა 53 ათასზე მეტი ადამიანი, აჩვენა, რომ დემოკრატიის მთავარ საფრთხედ მიიჩნევენ არა რუსეთსა და ჩინეთს, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებს.**

„ყველაზე განსაცვიფრებელი იყო ის, რომ, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 53 ქვეყნის რესპონდენტთა 44%-მა მათი ქვეყნების დემოკრატიის მთავარ საფრთხედ აშშ დაასახელა. ჩინეთის გავლენა საფრთხედ მიიჩნია გამოკითხულთა 38%-მა, რუსეთის — მხოლოდ 28%-მა“, — იუწყება ბრიტანული გაზეთი The Guardian-ი.

შარშანდელი გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, აღქმამ, რომ აშშ მთავარი საფრთხეა დემოკრატიისთვის, მნიშვნელოვნად მოიმატა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია და ჩინეთი.

გერმანიის მოსახლეობამ ნეგატიურად შეაფასა აშშ-ის გავლენა მსოფლიო დემოკრატიაზე. ამას მოწმობს ჟურნალ Spiegel-ის მიერ გამოქვეყნებული გამოკითხვის შედეგები.

გერმანელთა დიდი ნაწილი, პრეზიდენტ ბაიდენისადმი სიმპათიის მიუხედავად, კრიტიკულად აფასებს ვაშინგტონის პოლიტიკას. კერძოდ,


Support the Guardian
Available for everyone, funded by readers
Contribute → Subscribe →
News | Opinion | Sport | Culture | Lifestyle | More
World ▸ Europe US Americas Asia Australia Middle East Africa Inequality Global development
World news
US seen as bigger threat to democracy than Russia or China, global poll finds
Belief in importance of democracy high in 53 sampled countries but inequality and big tech companies seen as biggest threats
Patrick Wintour
diplomatic editor

რესპონდენტთა მესამედზე მეტს (36%-ს) მიაჩნია, რომ გერმანულ დემოკრატიას გაცილებით მეტ საფრთხეს უქმნის ამერიკის შეერთებული შტატების გავლენა, ვიდრე ჩინეთის (33%) ან რუსეთის (29%) ქმედებები. ამასთანავე, გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა (51%) მსოფლიო დემოკრატიაზე აშშ-ის გავლენა უარყოფითად მიიჩნია, 32%-მა — დადებითად.

დემოკრატიისთვის ყველაზე დიდ საფრთხეებად გერმანელებმა დაასახელეს ეკონომიკური უთანასწორობა (49%), მსხვილი ტექნოლოგიური კომპანიების გავლენა (46%) და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა (40%),

ხოლო ყოველი მეორე გერმანელის (51%) აზრით, ვაშინგტონი უარყოფითად მოქმედებს მსოფლიო დემოკრატიაზე.

ფონდი „დემოკრატიის ალიანსი“ შეეცადა, შეერბილებინა ვაშინგტონისთვის უსიამოვნო შედეგები. ამ ფონდის დირექტორმა იონას პარელო-პლუზნერმა კვლევის შედეგების პრეზენტაციაზე განაცხადა, რომ ყველაფერში დამნაშავე არის დონალდ ტრამპი, რომლის პრეზიდენტობისას დაიკარგა აშშ-ისადმი ნდობა და მისი წყალობით დაიწყო აშშ-ის, როგორც დემოკრატიის საფრთხის, აღქმა.

პარელო-პლეზნერის ამ განცხადების მიუხედავად, The Guardian-ი წერს, რომ ვაშინგტონს აღარ უნდა ჰქონდეს პრეტენზია დემოკრატიის დამცველის მთავარ როლზე, რადგან აშშ-ის, როგორც დემოკრატიის საფრთხის, აღქმის ინდექსმა 2-ჯერ მოიმატა.

**ria.ru- სა და fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**




# ამომრჩევლები იმედოვნებენ, რომ ტრამპი დაბრუნდება და «გადაარჩენს ამერიკას»



**დონალდ ტრამპი უნდა დაბრუნდეს პოლიტიკაში და გადაარჩინოს ამერიკა, დაიხსნას ის კარიერისტებისგან, რომლებსაც სურთ, დაანგრიონ ქვეყანა და არაფერს აკეთებენ მისი მოქალაქეებისთვის, — ასე მიაჩნია ბევრს, უწინარესად, ამერიკის სოფლებისა და პატარა დასახლებული პუნქტების წარმომადგენლებს.**

თვითონ აშშ-ის ექსპრეზიდენტი თავისი სიმბოლიკის გაყიდვით მიღებული შემოსავლებით თანხას აგროვებს და, მისივე თქმით, სერიოზულად ფიქრობს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე თავისი კანდიდატურის დაყენების შესახებ, — იუწყება გერმანული ტელეარხი Welt-ი.

**ჯო პერდი,** დონალდ ტრამპის ამომრჩეველი, იმედოვნებს, რომ მისი პოლიტიკური კერპი პოლიტიკურ ასპარეზზე დაბრუნდება. მერილენდის შტატის 42 წლის მცხოვრების სახლის წინ აშშ-ის დროშის გვერდით ტრამპის გამოსახულებიანი დროშა ფრიალებს, ისიც და მისი ვაჟიც სიამაყით ატარებენ კეპს ტრამპის გამოსახულებით.



**„მან უნდა გადაარჩინოს ამერიკა, დაიხსნას კარიერისტებისგან, რომლებიც ცდილობენ ქვეყნის დანგრევას. ისინი ჩვენს ფულს უცხოეთში აბანდებენ, მხარს არ უჭერენ ამერიკელ ღარიბებს, ქვეყნისთვის არაფერს აკეთებენ“, — ამბობს ჯო პერდი. ასე ფიქრობს ამერიკის სოფლებში მცხოვრები ბევრი ადამიანი. თვითონ ტრამპი კი თავისი კეპების, სასმელის საწრუპავების, ყავის ჭიქებისა და ბაღებისთვის განკუთვნილი სტენდების გაყიდვით თანხას აგროვებს. სტენდებს აწერია: „მე არ ვარ დამნაშავე, მე ხმა ტრამპს მივეცი“.**

მომავალ არჩევნებში თავისი კანდიდატურის დასახელებაზე ტრამპმა თქვა: **„ძალიან სერიოზულად ვფიქრობ ამ საკითხზე. თუ გამოკითხვებს ვნახავთ, ჩემზე მოთხოვნა ძალიან დიდია. თუ ჩემი კანდიდატურის წამოყენებას გადავწყვეტ, ამის შესახებ მომავალ წელს შუალედურ არჩევნებზე განვაცხადებ“.**

**russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**




# ავსტრიელებმა ევროკავშირი ანტირუსული ქმედებების გამო გააკრიტიკეს: «საქმეს აფუჭებენ, შემდეგ კი სწყინთ»

**ავსტრიულ გაზეთ Der Standard-ის მკითხველებმა ევროკავშირის ანტირუსული პოლიტიკა გააკრიტიკეს და განაცხადეს, რომ ევროკავშირი მიკერძოებულად მოქმედებს.**

„წლების განმავლობაში ვაშინგტონიდან მიღებული მითითებების შესრულებით საქმეს აფუჭებენ რუსეთთან, შემდეგ კი სწყინთ, რომ ამაზე რუსეთი რეაგირებს“, — აღნიშნა ერთ-ერთმა მკითხველმა.

„გასაგებია, რომ რუსეთი არ მოითმენს სანქციებს, შეურაცხყოფასა და ემბარგოს აშშ-ის ერთგული ქვეყნების მხრიდან“, — ხაზგასმით აღნიშნა მეორე კომენტატორმა.

**„ევროპული ფასეულობები და ფარისევლური აქციები! როცა აშშ და ინგლისი, საერთაშორისო სამართლის ფეხქვეშ გათელვით, თავს დაესხნენ ერაყს და მიწასთან გაასწორეს რაღაც ცრუ ხმების გამო, სანქციები არავის დაუწესებია; პალესტინის ტერიტორიის მიტაცებისთვის — აგრეთვე, არანაირი სანქცია; საუდის არაბეთი — არანაირი სანქცია, სანამ ჟურნალისტი არ დაჩეხეს, თუმცა ამ შემთხვევაში სანქციები სასაცილო იყო. აქამდე არ დაუწესებიათ სანქციები ასანჟის გამო. წამების საპატიმრო კუბაზე და ევროკავშირშიც კი — არანაირი სანქცია. აი ევროკავშირი და მისი ფასეულობები! აი ასე ცდილობს ევროკავშირი პატივისცემის მოპოვებას მსოფლიოში და სურს, რომ ის აღიქვან ძლიერ და ობიექტურ პარტნიორად“,** — წერს Der Standard-ის ერთ-ერთი მკითხველი.

**ria.ru-სა და inosmi.ru-ზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ცოცხალ კაცს თავის სულში, თავის გულში და სისხლში აქვს სიცოცხლე საზოგადოებისა: ის ავად გახდება საზოგადოების ავადმყოფობით, იტანჯება იმისი ტანჯვით, ნეტარებს მისი ბედნიერებით“. გამოდის, რომ ცოცხლებშიც აღარ ვწერივართ?! ვაი, სირცხვილო!**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

**ნებისმიერ ეპოქაში ნებისმიერ სახელმწიფოში არსებობდნენ ადამიანები — ავტორიტეტები, რომელთა სიტყვაც ფასობდა, რომელთაც ხალხი ენდობოდა და პატივს სცემდა. საქართველოში ოდითგან თითოეულ ქალაქს, სოფელს, უბანსაც კი ჰყავდა გამორჩეულად პატივსაცემი ადამიანი, რომელსაც უსმენდნენ და რჩევასაც ეკითხებოდნენ. ჩვენს ერს სხვადასხვა დროს ისეთი ავტორიტეტებიც ჰყავდა, რომელთა ნააზრევისა და თვალსაზრისის გათვალისწინება არც დღეს გვაწყენდა და, არათუ არ გვაწყენდა, წაგვადგებოდა კიდეც ქვეყნის წინსვლის საქმეში. მაგრამ, სამწუხაროდ და ჩვენდა სამარცხვინოდ, დღესაც კი, „თუ დიდი კაცი გამოგვერია ვინმე, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“ (კონსტანტინე გამსახურდია, „დიდოსტატის მარჯვენა“). სწორედ ამის გამო მოგვიკლეს ილია, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ადამიანთა ამ თვისების შესახებ და წერდა კიდეც ამის თაობაზე.**

# როცა ქვეყანაში ავტორიტეტები არ არიან ან «ავტორიტეტობა ეხლა შემუსვრილია და თაყვანისცემა მისი უგუნურობად ცნობილი»



**ქართველი ხალხი გმირობას არ ითხოვს არც ხელისუფლებისგან და არც ოპოზიციისგან, არამედ მოელის მხოლოდ იმ მცირეოდენ სათნოებას, რომლის წყალობითაც შესაძლებელი იქნება ამ ქვეყანაში წყნარად, მშვიდად ცხოვრება — როცა ყველა გულმოდგინედ შეასრულებს თავის მოვალეობას, გამოხატავს ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობასა და თანადგომას. ამისთვის, თურმე «კაცთა საზოგადოება, მოქალაქური ურთიერთობა და ყოფა-ცხოვრება ჰკმარობს მარტო MINIMUM-ს სათნოებისას»**

1887 წლის დასაწყისში ილია აქვეყნებს „პოლემიკურ წერილებს „ცხოვრება და კანონის“ გამო“, სადაც ვკითხულობთ: **„ავტორიტეტები, ესე იგი, ყველასაგან ცნობილნი, სახელმოპოებულნი მეცნიერნი ყოველთვის არიან და იქნებიან, და ამათი თაყვანისცემა არ დაილევა ქვეყნიერებაზედ, ვიდრე ადამიანის ჭეშმარიტს ღვაწლს, ზედმიწევნილ ცოდნას, მეცნიერებას, სიბრძნეს და ამათით მოპოებულს სახელს კაცის თვალში პატივი, ფასი და დიდება ექნება. ხოლო ბრმად დაჯერება ყოველ იმისა, რასაც ავტორიტეტი ამბობს, რის შემოწმებასაც ყურისმგდებელის ჭკუა, გონება მისწვდება და რასაც ეს შემოწმება უარჰყოფს, — მართლა დიდიხანია უგუნურობად არის მიჩნეული. თვითიკვლიე, თუ შეიძლება და გარემოება შეგწევს, მოსჩხრიკე, შეამოწმე, და, თუ ავტორიტეტის აზრი გამართლდა, დაიჯერე მხოლოდ მაშინ, და ამ სახით შენს საკუთარ რწმენად გარდაჰქმენ სხვისაგან აღმოჩენილი და ნაკვალევი. ხოლო საცა გონება და ჭკუა, რომელისამე მიზეზით, ვერ მიგიწვდეს და არჩევანში ხარ, შენს არ-გამორკვეულს აზრს, არ-ცოდნას, სხვისი, სახელგანთქმულის მეცნიერის, გარკვეული აზრი და ცოდნა მოაშველეო, — აი, ეს არის ეხლანდელი მოძღვრება ავტორიტეტების გამო, და ბრმად დანდობა კი და აყოლა სხვისა იქ, საცა შენი საკუთარი გონება საბუთიანად სხვარიგად გიჭრის, — ეგ უწინდებური ცოდვაა, უგუნუროზად მიჩნეული და სამართლიანად განდევნილი, უარყოფილი.** აქაო და არისტოტელმა სთქვაო, და რაც უნდა აშკარად დასარღვევი საბუთი გქონოდათ, არისტოტელს სიტყვას ვერ შეუბრუნებდით, ცოდვად ჩაგითვლიდნენ, დიდი ხანია, ესე ბრმად აყოლა, ესე დაძაბუნება ჭკუისა და გონებისა, ჩვენდა საბედნიეროდ, ჩაილულის წყალს გაჰყვა. მაგრამ აქედამ სრულებით ის არ გამოდის, რომ ავტორიტეტობა ეხლა შემუსვრილია და თაყვანისცემა მისი უგუნურობად ცნობილი. აი სწორედ ეგრეთ **უმეცრად გაგებულმა გამოლაშქრებამ ავტორიტეტებზედ დოინჯი შემოაყრევინა მტკნარს უვიცობას** და აძახებინა: შექსპირი, სპენსერი, ჰექსლი, ჰეკკელი ვინ გდიაო; ავტორიტეტები რას მიქვიან, და სხვანი და სხვანი. ასეთმა **თავგასულობამ უვიცობისამ ბევრს აურია გზა და კვალი იმიტომ, რომ ამისთანად თავგასული კაცი ხომ თითონ არა არის-რა, სხვასაც არავის კაცად არ აგდებს.** ნუთუ ეს გონიერებაა და ჰექსლის და ჰეკკელის დიდ მეცნიერად, დიდ ავტორიტეტად ცნობა და თაყვანისცემა კი უგუნურობაა“ *(„პოლემიკური წერილები „ცხოვრება და კანონის“ გამო“. 1887 წ. 3 იანვარი).*

ილიას ეს წერილი იმიტომ გავიხსენე, ჩემო მკითხველო, რომ **დღეს ქვეყნის მმართველობაზე პრეტენზიის მქონე პოლიტიკოსების ავტორიტეტი ხალხის თვალში ნულს გაუტოლდა. განა იმიტომ, რომ ხალხია ტლუ, უგუნური და ბნელი, რა თქმა უნდა, არა. ხალხი ასეთად მხოლოდ იმ პოლიტიკოსებს წარმოუდგენიათ, ხელისუფლებაში მოსასვლელად უკადრებელს რომ კადრულობენ და მერე აქეთ ამუნათებენ ქვეყნის პატიოსან მოქალაქეებს, რომ ვერ დაინახეს მათი „გულწრფელობა“, „ერთგულება“ ერისა და სამშობლოს სამსახურში...**

ზოგი ვაიპოლიტიკოსი მიხვდა, რომ წყალს ნაყავდა, და პოლიტიკურ მოუსავლეთში საკუთარი ნებით გაეშურა, ზოგს კი საკმაოდ გრძელი ჭია ჰყავს და არ ნებდება.

ჰოდა, ვართ ამ ორომტრიალში, ხალხს შია თუ წყურია, ამაზე ისინი არ ფიქრობენ; არავინ ამბობს, სასურსათო პროდუქტების ფასების კატასტროფულ მატებას რა მოვუხერხოთ, როგორ გადავარჩინოთ ლარი ინფლაციისგან, როგორ განვავითაროთ ეკონომიკა და დავდგეთ ფეხზე... ნაცვლად ამისა მთავარი პრობლემა თურმე ამ ქვეყანაში ისაა, ნიკა მელია რას იზამს — პარლამენტში დაჯდება თუ სხა რამეს მოიფიქრებს; და კიდევ: ევროპარლამენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის (რომელსაც ხელი მოაწერეს პოზიციამაც და ოპოზიციის მნიშვნელოვანმა ნაწილმაც) პუნქტებს როგორ შეასრულებენ. პოზიციამ და ოპოზიციამ ერთმანეთს შორის ვერ იპოვეს ავტორიტეტები და „საქმის გასარჩევად“ უცხოელებს მიმართეს, მაგრამ ფაქტია, რომ არც შარლ მიშელი და მისი ამქარი აღმოჩნდნენ მათთვის ავტორიტეტები. მაშ, სად ვეძებოთ პრობლემა? მივყვეთ ისევ ილიას:

„კაცმა რომ სთქვას, — ავტორიტეტობა, ავტორიტეტი, დიდი ხანია, გადავარდა და თაყვანისცემა ერთისა და მეორისაც უგუნურობა არისო, — ან რა უნდა ესმოდეს, რას ჰნიშნავს ავტორიტეტობა და ავტორიტეტი, ან ამისი თქმა არ ჰსურვებია. ეს ცხადად გამოჩნდება, თუ ამ სიტყვების ჭეშმარიტს მნიშვნელობას გონების თვალწინ წარმოვიდგენთ.

მართლა-და რა არის ავტორიტეტობა, ავტორიტეტი“.

**„ავტორიტეტობა იმ გავლენიან სახელოვანებასა ჰქვიან, რომელსაც ადამიანი მოიპოვებს ხოლმე დიდის სიბრძნით, დიდის გამოცდილებით, დიდის მეცნიერობით. ავტორიტეტი მეცნიერებაში იგი კაცია, რომელსაც მის მიერ შეთვისებულს მეცნიერებაში გაუთქვამს სახელი და მოუპოვებია ნდობა იმოდენად შეურყევლად და უცილობელად, რომ ერთიც და მეორეც საკმაო თავმდებია მისი აზრის შეუცდომელობისა. ამისთანა კაცები, კაცთა საბედნიეროდ, ცოტანი არ არიან ქვეყნიერებაზედ“.** *(„პოლემიკური წერილები „ცხოვრება და კანონის“ გამო“. 1887 წ. 3 იანვარი).*

**„არის კიდევ ერთგვარი ავტორიტეტობა, ავტორიტეტობა უფლებისა, რომლის მნიშვნელობა უფლების მნიშვნელობაზეა დამოკიდებული“.** *(„პოლემიკური წერილები „ცხოვრება და კანონის“ გამო“. 1887 წ. 3 იანვარი).*

**„ნეტა რომელი კაცი იტყვის ქვეყანაზედ, რომ ნურას დაუჯერებთო ამ ჭკუით, ცოდნით, სიბრძნით, მეცნიერებით გამოჩენილს და მთელის ქვეყნისაგან ამ სახით ცნობილს კაცებს, და, თუ დაუჯერებთ, უგუნურობა იქნებაო. მაშ ყველაფერი დავიჯეროთ ამათიო? — იკითხავთ თქვენ. დიახ, სწორედ ყველაფერი, ვიდრე წინააღმდეგის უეჭველი საბუთი ხელთ არა გაქვთ“** *(„პოლემიკური წერილები „ცხოვრება და კანონის“ გამო“. 1887 წ. 3 იანვარი).*

**„თუმცა ბრმად მინდობა და აყოლა სხვისა ძალიან ცუდია, მაგრამ არც კი ბრმად დაჟინებაა კარგი იმისი, რომ დიდსახელოვანის, სახელგანთქმულის მეცნიერის პატივი და თაყვანისცემა უგუნურობა იყოს. არა, ბატონო, სწორედ ამისთანა კაცს უნდა პატივი და თაყვანისცემა, თუნდა იმით, რომ იმისი სიტყვა, თუნდ შეუმოწმებლადაც კი, სხვისაზე წინ დააყენო, თუ გამტყუნებული არ არის უეჭველის საბუთით“** *(„პოლემიკური წერილები „ცხოვრება და კანონის“ გამო“. 1887 წ. 3 იანვარი).*

**„დიდკაცობა შთამომავლობითი თუ მეუღლეობითი, შემთხვევის საქმეა. ამაში თითონ ადამიანს არა საკუთარი ღვაწლი არა მიუძღვის-რა, ეგ განგების საქმეა, და ამიტომაც ადამიანს, როგორც კაცს, ეგ საკუთარ ღირსებად არ ჩაეთვლება. დიდი ხანია თქმული, რომ — „თუ კაცი თვითონ არ ვარგა, / ცუდია გვარიშვილობა“** *(„ნიკო ბაგრატიონი“. 1886 წ.).*

**XXI საუკუნე ხომ პროგრესისა და წინსვლის საუკუნეა კაცობრიობისთვის, მაშ, ყველა საზოგადოებრივი ძალის ერთ კვალში ჩაყენება სანატრელი რატომ არის?! რა გახდა ეს სანუკვარი ერთობა, რომ ვერაფრით მივაღწიეთ?!**

„ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღელისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისკენ და ჭირისა სხვისაკენ, მარტო თავის-თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან“ *(„წოდებათა თანასწორობა“. 1888 წ. 2 ნოემბერი).*

„თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის“ *(„ზოგიერთი რამ“. 1866-1876 წ.).*

**„ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკვა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის“.**

„საერთო ლხინი მიჩვენეთ, საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის: ჩემი ლხინი შენი ლხინი არ არის, შენი ჭირი ჩემი ჭირი არ არის“*(„ზოგიერთი რამ“. 1866-1876 წ.).*

ილიას ამ სიტყვების ჭეშმარიტება და უტყუარობა დრომ დაადასტურა, მაგრამ ჩვენში „ილიას გზით მავალნი“ დღემდე ჯიუტად ყურს არ ათხოვებენ ერის მამის რჩევა-დარიგებებს.

ეს არის მწარე სიმართლე!

„ისტორიაო, — ამბობს ერთი მწერალი, — ბრძოლაა ბუნებასთან, სიღარიბესთან, გონების სიბნელესთან, ღონემიხდილობასთან, მაშასადამე ყოველგვარ შევიწროებასთან, რომელსაც ადამიანი პირისპირ შეემთხვევა ხოლმე, როცა ისტორიის ასპარეზზედ გამოდისო. ერთს ბიჯსაც წინ ვერ წავდგამთ ამ ბრძოლაში, თუ ყველამ ცალკე გავიწიეთო, ყველამ ცალკე ვიბრძოლეთო“. თუ ესეა, ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთს კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასათვის? ნუთუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულიად აღმოიფხვრას, ჩვენთა წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთის დიდებულს დენას შეერთებულის ძალისას?“ *(„ცხოვრება და კანონი“. 1877-1881 წ.)*

„კაცთა საზოგადოება თავისის სიმკვიდრისა, შეურყევლობისა და არსებობისათვის ყოველ ცალკე ადამიანისაგან ითხოვს იმოდენა სათნოებას, რომ ნაკლები შეუძლებელითღაა კაცთა კრებულად ცხოვრებისათვის. იგი გვეუბნება, თუ ერთმანეთობა გინდა, თუ კრებულად ყოფნა გსურს, ამადა-ამაზედ ნაკლები სიმართლე არ იქონიო. ამა-და-ამაზედ ნაკლებ გულმოდგინედ და ერთგულად არ მოეკიდო შენს მოვალეობას, ამაზედ ნაკლები თანაგრძნობა, თანაზიარობა ერთმანეთობაში არ დაიზარო, ამა-და-ამაზედ ნაკლები საყოველთაო ტვირთი არა ჰზიდო და სხვა. ამ სახით კაცთა საზოგადოება, მოქალაქური ურთიერთობა და ყოფა-ცხოვრება ჰკმარობს მარტო minimum-ს სათნოებისას“ *(„დიმიტრი ყიფიანი“, 1887 წ. 30 ოქტომბერი).*

**„ამ minimum-ზედ, ამ ხაზზედ დგომა ყველასათვის სავალდებულოა. ხოლო შესაძლოა ადამიანი ამ ხაზს ძირსაც დასცილდეს და ზე ასცილდეს კიდეც. დამცილებელი სცოდავს საზოგადოებას და ისჯება საზოგადოებისაგანვე, რადგანაც ამ შემთხვევაში დაცილება დანაშაულობაა. ამიტომაც არ-დაცილებას ითხოვს კაცისაგან საზოგადოება, ვითარცა მოვალეობას, და ზე-აცილებას კი თვითოეულის ნებაზედ სტოვებს. იმიტომ, რომ ყოველს კაცს სრული ნება აქვს, და შეუბღალველი ნებაც, ეს minimum-ი სათნოებისა იქონიოს და არა მეტი. ამ ხაზზედ ზეაცილება, ესე იგი ამ ნაკლების სათნოების წარმატება, განდიდება, გაძლიერება, მოვალეობა აღარ არის კაცისა: იგი ღვაწლია, გადამეტებული სამსახურია, მსხვერპლია, გმირობაა“** *(„დიმიტრი ყიფიანი“. 1887 წ. 30 ოქტომბერი).*

ქართველი ხალხი გმირობას არ ითხოვს არც ხელისუფლებისგან და არც ოპოზიციისგან, იგი მხოლოდ იმ მცირეოდენ სათნოებას მოელის, რომლის წყალობითაც შესაძლებელი იქნება ამ ქვეყანაში წყნარად, მშვიდად ცხოვრება — როცა ყველა გულმოდგინედ შეასრულებს თავის მოვალეობას, გამოხატავს ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობასა და თანადგომას. ამისთვის, თურმე „კაცთა საზოგადოება, მოქალაქური ურთიერთობა და ყოფა-ცხოვრება ჰკმარობს მარტო minimum-ს სათნოებისას“. დღეს კი „ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე, ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს“ *(ქვათა ღაღადი“, 1899წ.).*

**„ცოცხალ კაცს თავის სულში, თავის გულში და სისხლში აქვს სიცოცხლე საზოგადოებისა: ის ავად გახდება საზოგადოების ავადმყოფობით, იტანჯება იმისი ტანჯვით, ნეტარებს მისი ბედნიერებით“** *(„სფირიდონის და თადეოზის ბაასი“. 1861 წ.).* **გამოდის, რომ ცოცხლებშიც აღარ ვწერივართ?!**

**ვაი, სირცხვილო!**

**2002 წლის 15 აგვისტოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის წმინდა ნაწილები საჩუქრად გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს. იგი საქართველოში ჩამოაბრძანეს ვატიკანის ნუნცმა კლაუდიო გუჯეროტიმ და ვენეციის კარდინალმა მარკო ჩემ.**

რელიგია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 12 მაისი წმინდა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის დღეა

**საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია წმიდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს ორჯერ აღნიშნავს — 12 მაისს წმინდა მოციქულის საქართველოში შემოსვლისა და 13 დეკემბერს მისი გარდაცვალების დღეს. წმინდა სინოდმა 2018 წლის დეკემბერში მიიღო გადაწყვეტილება, რომ 12 მაისი ასევე საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღედ დადგენილიყო და ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადებულიყო. 2019 წელს, მთავრობის მიმართვის შედეგად, საქართველოს პარლამენტმა „შრომის კოდექსში“ მომზადებული ცვლილებები დაამტკიცა, რომლის გათვალისწინებით, წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღესთან ერთად, 12 მაისი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღედ დაწესდა.**

ანდრია პირველწოდებული საქართველოში განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს, რადგან იგი ქართველებში ქრისტიანობის პირველი მქადაგებელი და გამავრცელებელია.

ქრისტიანული სწავლების თანახმად, წმინდა მოციქული ანდრია პირველი დაემოწაფა ქრისტეს და ამიტომაც ეწოდა მას პირველწოდებული.

როგორც ცნობილია, სულთმოფენობის შემდეგ მოციქულებმა კენჭი ყარეს, თუ ვის სად ექადაგა. ანდრია მოციქულს საქადაგებლად წილად ხვდა შავი ზღვის სანაპირო, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი და სკვითეთი (დღევანდელი რუსეთი).

**საქართველოში ანდრია მოციქული მისი მეოთხე, ბოლო მისიონერული მოგზაურობისას ჩამოვიდა. ეს იყო ღვთისმშობლის მიძინების შემდეგ.** გადმოცემით ცნობილია, რომ ის პონტოდან გადმოვიდა საქართველოში; შემდეგ გაემართა აზოვის ზღვისკენ, იქიდან — ყირიმში და ზევით აუყვა დნეპრს, კიევამდე; ასევე იმოგზაურა შავი ზღვისპირეთის სკვითების ქვეყნებში. ყირიმში სევასტოპოლისა და ხერსონის ბერძნებთან დააარსა ქრისტიანული ეკლესია. დნეპრისპირეთიდან, სადაც ახლა კიევია, უნდა გამგზავრებულიყო ჩრდილოეთით, სადაც ამჟამად მოსკოვია, ნოვგოროდისა და ლადოჟის ტბის მიმართულებით ვალაამისკენ. ადგილობრივი გადმოცემის მიხედვით, მოციქული იყო სალოვკის კუნძულზეც, თუმცა ამის მტკიცებულება არ არსებობს. სავარაუდოდ, ვალაამიდან გაემართა ბალტიის ზღვისკენ; იქიდან — შოტლანდიაში და თანამედროვე პოლონეთისა და სლოვენიის გავლით მივიდა რუმინეთში, სადაც მან ოცი წელი დაყო; რუმინეთიდან კი გაემგზავრა ხერსონი-ყირიმში, სინოპში, მაკედონიაში, ეპირში, თესალიაში, ლამიაში, ლუტრაკიონსა და კორინთეში.

ნაწყვეტი თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორიიდან“:

„შემდგომ ქრისტეს ამაღლებისა მეექვსესა წელსა მოიწვივნეს ესე ორნი მოციქულნი ქრისტესნი პირველ-წოდებული ანდრია და სიმონ კანანელი, რამეთუ უბრძანა წმინდამან ღუთის-მშობელმან, რათა წარვიდნენ ივერიად და მუნ ჰქადაგონ საყვარელი ძეს მისი ქრისტე ღმერთი მხსნელი და მაცხოვარი, წილ-ხდომილსა შინა ქვეყანასა ღუთისა დედისასა. წილხდომილი ქვეყანა ღუთისა დედისა არს ივერია მიზეზითა ამით ვინაითდგან მოუთხრობს საქართველოსა ეკლესიის ისტორია, ვითარმედ ოდეს ამაღლდა ქრისტე ზეცად და საღმრთოთა მოციქულთა ზედა გარდმოვიდა ყოვლად წმინდა სული; მაშინ მოციქულნი განემზადნენ წარსვლად პირსა ზედა ყოველსა ქვეყანისასა და იყარეს წილი მოციქულთა თვის შორის, თუ რომელი რომელსა ქვეყანასა წარვიდეს და ჰქადაგონ სიტყვა ღუთისა. მაშინ ჟამსა მას მუნ იყოფოდა მათთანა დედაცა ღუთისა ქალწული მარიამ და უბრძანა მოციქულთა: „შვილნო ჩემნო საყვარელნო, დასდევთ წილიცა ჩემი შრომისა მიღებად საყუარელსა ძისა ჩემისათვის, რათა ვქადაგო სახელი მისი, რომელსაცა ადგილასა მხდების მე წილი“; ხოლო წილთა იგინი მორჩილ ექმნნეს და დასდევეს წილიცა მისი შორის წილთა თვისთა, წილ იგდეს და ხვდა დედასა ღუთისასა წილად თვისად ივერია (რომელ არს საქართველო). „ხოლო ოდეს წარვიდოდეს მოციქულნი თვითოეულთა კერძოთა, მაშინ ინება შემდგომად წმინდამანცა ღუთის მშობელმან წარსვლა ივერიად, რათა ჰქადაგოს სიტყვა იგი ღვთისა, ძეი და ღმერთი თვისი და მიიღორა შრომაი მგზავრობისა და განვიდა გარე იერუსალემით და აჰა უფალი იესო, საყვარელი იგი ძეი მისი შეემთხვია წინა და ჰრქვა: „დედაო, გიხარდენ, და ვითარცა იხილა იგი აღეტყინა დედაი ყოვლად წმინდა სიხარულითა და ტრფიალებითა გამოუთქმელითა და ჰრქვა სასურველსა ძესა თვისსა: „მშვიდობა შენდა, ძეო საყვარელო და ღმერთო ჩემო, მე აღტყინებული დედა სახელისა შენისათვის წმინდისა განმფენად მივალ მე უცხოთა შორის ნათესავთა, რათა ვაცნო მათცა მოწყალებანი უსაზღვრონი, შენ მიერ მონიჭებულნი ცხოვრებად სოფლისა და სიყვარულისათვის შენისა არა ცრიდო მე, არცა ერთსა ჭირსა და შრომასა გზისასა“. მაშინ მიუგო მას უფალმან და ჰრქვა: „დედაო, სიტკბოებაო სოფლისაო, კმა არს შრომა ეგეშენი და გულს მოდგინება სიყვარულისათვის მხოლოდშობილისა ძისა შენისა და აწ ვითხოვ მე შენ მიერ, რათა დაადგრე აქავე იეროსალემს ვიდრემდის მიგიყვანებდე შენ დიდებასა შინა მამისა ჩემისასა და ყოვლად წმინდისა სულისასა ჩემთანა განუშორებელად: ხოლო ნაცვლად შენსა უბრძანე მოციქულსა ანდრიას და სიმეონს, ერდგულთა მოწაფეთა ჩემთა, და იგინი წარვიდენ, სადაცა გენებოს და მუნ მრავალთა და არცა შევიდა ქალაქსა შინა მცხეთისასა; არამედ პირისპირ მცხეთისა გაღმად მდინარისა არაგვსა აღვიდა მთასა მას ზედა, რომელსაცა ზედა არს მონასტერი ჯვარისა ცხოველს მყოფელისა (რომელსაცა ჯაჭვის მონასტრად სახელ-ედების) და მწვერვალსა მას გორისასა აღმართა ჯვარი და დაუტევა და წარვიდა და მუნით კახეთისა კერძოთა და შევიდა შინაგან კახეთისა, განხდა მდინარესა დიდსა იორსა (ესე იგი ალაზნისა მდინარესა და მოვიდა გრემს და აღმართა მუნცა ჯვარი მცირესა მას მწვერვალსა ზედა გორისასა, სადა იგი არს აქ ეკლესია მიხაილ-მთავარ-ანგელოზისა, რომელი იყო ძველად მონასტერი და არს იგი სამარხვო მეფეთა და მუნით გალმამხხრის გზით კავკასიურით გზით, განვლო დიდოეთი და მრავალნი ადგილნი ლეკთანი მოვლნო და ჰქადაგა ადგილთა მათ და ანდრიად წოდებულსა ქალაქსა შინა კავკასიურსა ჰქადაგა სიტყვა ღუთისა (მუნ ჟამითგან ეწოდა ადგილსა მას ანდრია), მუნით



ანდრია მოციქულის ხატი

**ანდრია პირველწოდებული საქართველოში განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს, რადგან იგი ქართველებში ქრისტიანობის პირველი მქადაგებელი და გამავრცელებელია**




მოიქცა ქრისტეთის გზით და მოვიდა ფევსა მთიულეთისასა ლომეკის მდინარესა ზედა (რომელსა აწ სახელ-სდებენ თერგად) და აღვიდა ძირსა საშინელისა მის კავკასიურისა მთისა, რომელსა ეწოდების მყინვარი (რომელსაცა ზედა ჰგიან საუკუნითგანნი მყინვარნი და თოვლნი განუზომელნი) მაღალსა მთასა ზედა, სადა იგი არს ადგილსა მას დაბა და ადგილსა მას, სადა იგი ჯვარი აღმართა ეკლესია დიდი მონასტერი წმინდისა მოციქულისა პირველ-მოწამისა სტეფანესი“.

უკანასკნელი ქალაქი, რომელშიც მოციქულმა იქადაგა, ქალაქი **პატრა** (საბერძნეთი) იყო. წმინდანის ლოცვით, ამ ქალაქში უამრავი ადამიანი განიკურნა და მოექცა ქრისტეს სჯულზე, მაგრამ ქალაქის თავი ეგაეტი კვლავ ერთგული რჩებოდა ცრუ ღვთაებისა. ულმრთო ხელისუფალმა ბრძანა, ჯვარს ეცვათ უფლის რჩეული. წმინდანი სიხარულით შეხვდა განაჩენს და თავისით ავიდა ჯვარზე. **ტანჯვა რომ გაეხანგრძლივებინა, ეგაეტმა ბრძანა, ძელზე კი არ მიელურსმნათ, არამედ დაეკიდათ ნეტარი. წმინდა მოციქული ორი დღე ქადაგებდა ირგვლივ შეკრებილთა წინაშე. ბოლოს, წმინდანის მადლმოსილი სიტყვებით შეძრულმა ხალხმა მოითხოვა, ჯვრიდან ჩამოეხსნათ იგი. ულმრთო ეგაეტმა განკარგულება გასცა, გაეთავისუფლებინათ წმინდანი, მაგრამ ანდრიამ მხურვალედ შესთხოვა უფალს, ჯვარზე აღსრულების ღირსი გაეხადა, მეომრები დიდხანს ამაოდ ცდილობდნენ მის ჩამოხსნას.** სიკვდილის წინ წმინდა ანდრიამ დალოცა მის წინ შეკრებილი მორწმუნეები და მიაბარა თავისი ნეტარი სული ღმერთს.

**ტანჯვა რომ გაეხანგრძლივებინა, ეგაეტმა ბრძანა, ძელზე კი არ მიელურსმნათ, არამედ დაეკიდათ ნეტარი. წმინდა მოციქული ორი დღე ქადაგებდა ირგვლივ შეკრებილთა წინაშე. ბოლოს, წმინდანის მადლმოსილი სიტყვებით შეძრულმა ხალხმა მოითხოვა, ჯვრიდან ჩამოეხსნათ იგი. ულმრთო ეგაეტმა განკარგულება გასცა, გაეთავისუფლებინათ წმინდანი, მაგრამ ანდრიამ მხურვალედ შესთხოვა უფალს, ჯვარზე აღსრულების ღირსი გაეხადა, მეომრები დიდხანს ამაოდ ცდილობდნენ მის ჩამოხსნას**

წმინდა ანდრია მოციქულის წმინდა ნაწილები გ.62 წელს დაკრძალეს ქ. პატრაში (საბერძნეთი), სადაც ეგაეტის ბრძანებით წმინდანი ჯვარს აცვეს. გ. 357 წელს კონსტანტინე დიდის ვაჟმა — კონსტანციუსმა, წმიდა მოციქულის უხრწნელი ნაწილები პატივით გადაასვენა კონსტანტინოპოლში, ლუკა მახარებელისა და ტიმოთე მოციქულის ნაწილთა გვერდით. IX საუკუნის მეორე ნახევარში წმინდა ანდრია პირველწოდებულის თავის ქალა დააბრძანეს ქ. პატრას წმინდა ანდრიას სახელობის ეკლესიაში. 1460 წელს, ოსმალთა იმპერიის მიერ მცირე აზიის ტერიტორიების დაპყრობის გამო, პატრას არქონტმა თომა პალეოლოგმა, სიწმინდის გადარჩენის მიზნით, წმინდა ანდრიას თავის ქალა გადააბრძანა რომში, სადაც ის ესვენა 1964 წლამდე. **დღეს წმინდა ანდრია პირველწოდებულის თავის ქალა დაბრძანებულია მოციქულის წამების იარაღის — ჯვრის გვერდით ქ. პატრას წმინდა ანდრიას სახელობის ეკლესიის საკურთხეველში.**

ანდრია მოციქულის წმინდა ნაწილების ძირითადი ნაწილი ათონის მთაზეა: მკლავი X საუკუნიდან დაბრძანებულია წმინდა ათანასეს ლავრაში, ერთი ტერფი ინახება ელია წინასწარმეტყველის სავანეში, ხოლო მეორე ტერფი — წმინდა ათონის წმინდა პანტელეიმონის მონასტერში. წმინდა ანდრიას მარჯვენა მკლავი XVI საუკუნიდან დაბრძანებულია მოსკოვში, კრემლის ხარების ეკლესიაში. ვენეციაში წმინდა ანდრია პირველწოდებულის წმინდა ნაწილები 1208 წლიდანაა დაბრძანებული, რომლებიც ჯვაროსნებმა კონსტანტინეპოლის წმინდა მოციქულთა სახელობის ეკლესიიდან გაიტაცეს. **2002 წლის 15 აგვისტოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის წმინდა ნაწილები საჩუქრად გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს. იგი საქართველოში ჩამოაბრძანეს ვატიკანის ნუნცმა კლაუდიო გუჯეროტიმ და ვენეციის კარდინალმა მარკო ჩემ.**

სოფელ დიდაჭარაში დღემდე შემონახულია იმ ტაძრის ნანგრევები, რომელიც წმინდა ანდრია პირველწოდებულს აუშენებია.

ანდერძად დატოვებული

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეს პატრიოტიაო, იციან თქმა. რა არის პატრიოტი? პატრიოტი ისაა, ვინც მაგრად ირტყამს მკერდზე მჯიღს, თუ ის, ვინც ბევრს ყვირის — წიიინ! გაუძღვება წინ და მერე, გაპონის არ იყოს, მიატოვებს ხალხს. თუ პატრიოტი ისაა, ვინც ჩუმად ზის, თავისთვის, არ ყვირის და ქვეყნის საქმეს აკეთებს?“**

# კახი კავსაძე: მაშ, ვინაა პატრიოტი?

**ინტერვიუსთვის შინ მივაკითხე და ერთი მსახიობის თეატრში აღმოვჩნდი. წარმოდგენაზე, რომელიც სავსე იყო ემოციითა და აზრით, იყო მაქსიმალურად გულახდილი და დიდოსტატურად შესრულებული უნიკალური სპექტაკლი, რომლის ავტორი, რეჟისორი, მთავარი და ერთადერთი გმირი დიდი მსახიობი კახი კავსაძე ბრძანდებოდა.**
**დღეს 27 მაისია.**
**გუშინ იყო ბართლომეს ღამე თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, მომიტინგეთა, როგორც შემდეგ ლევან გაჩეჩილაძე იტყვის, ხალხის ჩაძაღლების ღამე.**



**— ბატონო კახი, ჩვენი საუბარი პოლიტიკის გარეშე უნდა წარმართულიყო, მაგრამ წუხანდელი დარბევის შემდეგ, ეტყობა, თვალს ვერ დავხუჭავთ და სმენას ვერ დავიხშობთ.**

— მე გულს, იცით, რა მიკლავს? სამოქალაქო დაპირისპირება! ქართველი ქართველს რომ დაუპირისპირდა. აი, თქვენც ბრძანეთ, ის აქეთ არის, ესენი — იქით. ესე იგი, თქვენც გაყავით საზოგადოება.

სწორედ ეს არის საშინელება!

რას ჰქვია დავყოთ, ვინ უნდა დავყოთ? ეს საიდან წამოვიდა? ააა, შენ იქითა ხარ, აქეთ — არა? მაშინ ვინა ხარ? შენ თუ ჩემთან არა ხარ, არარაობა ხარ. ერთი ამბობს ამას. მეორე უპასუხებს, არარაობა ხარ შენ!

როცა პირველად სამოქალაქო დაპირისპირება მოხდა, ქართველებმა რომ ესროლეს ერთმანეთს, მაშინ ვთქვი, დავიღუპეთ-მეთქი.

გამსახურდიას დროს ვამბობ.

სამოქალაქო დაპირისპირება რომ იწყება, სამოქალაქო ომი რომ იწყება, აღარ მთავრდება! ისტორიიდან ვიცი, რომ არ მთავრდება, დაუმთავრებელი ამბავია! ექვს თვეში დაამთავრეს ქართველებმა და მაშინ ვთქვი: — არა, ქართველი ბრძენია-მეთქი.

თურმე შევცდი: სამოქალაქო დაპირისპირება არ დამთავრებულა. რაც მოხდა გუშინ, უფრო ადრე — 7 ნოემბერს და იმაზე ადრე, ეს სულ გაგრძელებაა და ეს არის უბედურება. ხოლო ვინ დაიწყო, ვინ რა გააკეთა, დეტალებია.

საშინელებაა სამოქალაქო დაპირისპირება: იმათ მიიღეს, ამათ — არა, ესენი ვაჟკაცურად მოიქცნენ, ისინი — შეშინებულები არიან...

ეს პატრიოტიაო, იციან თქმა. რა არის პატრიოტი? პატრიოტი ისაა, ვინც მაგრად ირტყამს მკერდზე მჯიღს, თუ ის, ვინც ბევრს ყვირის — წიიინ! გაუძღვება წინ და მერე, გაპონის არ იყოს, მიატოვებს ხალხს.

თუ პატრიოტი ისაა, ვინც ჩუმად ზის, თავისთვის, არ ყვირის და ქვეყნის საქმეს აკეთებს?

თუ ჩვეულებრივი ქართველი ბიჭია პატრიოტი, რომელიც იძახის ქართველი ვარო და ისე იქცევა და ისე ცხოვრობს, რომ სხვები — ქართველები და უცხოელებიც ამბობენ — შეხედეთ, რა ბიჭია! მას ქართველობა ტვირთად დააქვს და ძირს არ უნდა დადოს ეს ტვირთი.

ერთი ამბავი მახსენდება. მანქანით მოვდიოდი ბერლინიდან და უნდა გამომევლო ავსტრია. საზღვარზე ვიზა უნდა მომცენ. მოაღწია ჩემმა რიგმა. მივაწოდე საბუთები. წაიკითხა და მეუბნება ის მესაზღვრე, — მოშორდი აქედან!

— რატომ და რა ხდება-მეთქი?

— მოშორდიო!

ჩავაცივდი.

ის კაცი ყვირილზე გადავიდა და მომაძახა: — Вы, грузины воняете!

ყელში ვწვდი. ძლივს გამაჩერეს.

რა ჩაიდინეს ქართველებმა ისეთი, რომ ეს მაკადრა რიგითმა მესაზღვრემ, რომელმაც, როგორც კი დამინახა ქართველი, თავის ქვეყანაში არ შემიშვა.

რამდენჯერ ყოფილა ასეთი შემთხვევა... ანდა პირიქით: ქართველი მოვიდა! მობრძანდი! კნიაზი მოვიდაო. ისე მიგიღებენ, რომ მეცხრე ცაზე გეგონება თავი.

**— მაშ, ვინაა პატრიოტი?**

— ამაზე ვლაპარაკობ: ვისთვის რას ნიშნავს პატრიოტიზმი და სამშობლოს სიყვარული.

**— თქვენთვის?**

— მე მინდა ისეთი არტისტი ვიყო, რომ ყველას ვაჯობო, თუმცა ყველა ქართველი მსახიობი ჩემი მეგობარი და ძმაკაცია. ყველას გამარჯვება მიხარია! ამას მართლა გულით ვამბობ, იმიტომ, რომ, რაც უფრო ბევრი კარგი არტისტი გვეყოლება, ხელოვნების, თეატრის თამასა უფრო მაღლა აიწევს და უფრო დიდ სიმაღლეებს წავეპოტინებით.

სხვა სფერო, სხვა საქმე მე არ ვიცი. არ მესმის, რა არის პოლიტიკა. მაგრამ, რახან მკითხეთ, გიპასუხებთ, რომ პოლიტიკა, ჩემი აზრით, არის ადამიანთა ურთიერთობა. რომელ მოღვაწეს, პოლიტიკოსს როგორ უნდა ველაპარაკო, არ ვიცი. მე ვიცი, როგორ უნდა ველაპარაკო ჩემს კოლეგებს, კარგ რეჟისორს, როგორ დავემორჩილო მას, როგორ დაველაპარაკო ჩემს პარტნიორს ან დრამატურგს — როგორ ვთხოვო მას, ვთქვათ, რომელიმე სცენის გადაკეთება. ეს ვიცი.

ვინმეს გვერდზე დავდგე? მაშასადამე, ამით სხვისი მოწინააღმდეგე გავხდე?

ეს გინდათ?

არ გამოვა!

მე არტისტი ვარ და ყველანი ჩემი მაყურებლები არიან. მაყურებელი კი ჩემს შვილზე მაღლა დგას. უპატივცემულესი ხალხია. მისი უდიდებულესობა მაყურებელი! იგი მოდის, რომ მნახოს. მე ამ მაყურებლის მომხრე უნდა ვიყო და იმ მაყურებლის — არა?

**— როგორც ექიმისთვის ყველა ავადმყოფი პაციენტია და სხვა არაფერი.**

— აბსოლუტურად! როგორც კი ვიწყებ მაყურებლის გრადაციას, შინაგანად ვირღვევი. ერთხელ დაწერეს ჩემზე — კახი ყველა სპექტაკლს თამაშობს ბოლომდეო. სხვანაირად არ შემიძლია. ამას თუ დამიშლი, მე შენი ვერ ვიქნები.

**«მე არტისტი ვარ და ყველანი ჩემი მაყურებლები არიან. მაყურებელი კი ჩემს შვილზე მაღლა დგას. უპატივცემულესი ხალხია მისი უდიდებულესობა მაყურებელი! იგი მოდის, რომ მნახოს. მე ამ მაყურებლის მომხრე უნდა ვიყო და იმ მაყურებლის — არა? როგორც კი ვიწყებ მაყურებლის გრადაციას, შინაგანად ვირღვევი. ერთხელ დაწერეს ჩემზე — კახი ყველა სპექტაკლს თამაშობს ბოლომდეო. სხვანაირად არ შემიძლია. ამას თუ დამიშლი, მე შენი ვერ ვიქნები»**

**— თქვენი ამ მონოლოგიდან ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: არა დაპირისპირება, არამედ სიყვარული და მხოლოდ სიყვარული შეიძლება იყოს ქვეყნის მამოძრავებელი ძალა. ისეთი ამაღლებული, როგორიც დონ კიხოტის სიყვარულია დულსინეასადმი?**

— დულსინეა ტობოსელი მან შეთხზა, შექმნა თავისი ოცნების ქალი, შემდეგ, როცა ყველაფერი გაირკვევა, გაქრება ოცნება და ვერ გაუძლებს ლამანჩელი, გული გაუსკდება. მის ოცნებას ხორცი არ შეესხა და მოკვდა კაცი.

მაინც უნდა იოცნებო!

**— ამავე კატეგორიისაა ბრძოლა ქარის წისქვილებთან?**

— ჰეეე! ბოლოს და ბოლოს ესეც წარმოსახვითი მტერი აღმოჩნდა და ესეც კლავს კაცს: ეგონა, მტერს ებრძოდა, ბოროტებას და თურმე ქარის წისქვილი ყოფილა!

**— დონ კიხოტის როლში შესვლას, მის გათავისებას, ალბათ, დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდა. სერიალის დამთავრების შემდეგ მალე გამოხვედით როლიდან?**

— ყოველთვის მეცინება იმ მსახიობებზე, რომლებიც ფილოსოფიური სერიოზულობითა და შესაფერი ინტონაციით აცხადებენ: „მე შევედი როლში და ძალიან მიჭირს გამოსვლა“... ჰამლეტს ითამაშებს და მომდევნო სამ დღეს თავჩაქინდრული დაიარება.

არა, ბატონო!

ერთადერთი, რაც დონ კიხოტის როლში შესასვლელად გამიჭირდა, ის იყო, რომ ძალიან უნდა გავმხდარიყავი.

ბატონმა რეზო ჩხეიძემ სინჯებზე რომ გამომიძახა, კიდევ ერთხელ გადავიკითხე სერვანტესის წიგნი. ზოგი ამბობს, „დონ კიხოტი“ ბავშვობაში მაქვს წაკითხულიო. ბავშვობაში, კაცო?! ეს უდიდესი წიგნი დიდი ჭკუის კაცმა უნდა წაიკითხოს, ბოლომდე რომ ჩასწვდეს მის სიღრმეებს.

დავინტერესდი, ისეთი დიდი ადამიანები, შემოქმედები, როგორებიც იყვნენ ჩარლი ჩაპლინი, თომას მანი, ფოლკნერი, აინშტაინი, ეიზენშტეინი და ა.შ., რას ამბობდნენ დონ კიხოტზე. ვერსად ვერაფერს მივაკვლიე, საერთო აღფრთოვანების გამომხატველი პოზიციის გარდა: ეს ჩემი უსაყვარლესი წიგნია; ეს ჩემი სამაგიდო წიგნია; მის გარეშე არსად დავდივარ, ეს არის ჩემი მეგზური... მეტი არაფერი.

სრულიად შემთხვევით წავაწყდი გენიალური რუსი არტისტის, რომელმაც ცხოვრება ამერიკის შეერთებულ შტატებში დაამთავრა, მიხაილ ჩეხოვის პატარა წიგნს, რომელშიც მსოფლიო ლიტერატურისა და მსოფლიო დრამატურგიის გმირებს ახასიათებს. წაიკითხავ და მიხვდები, როგორ უნდა ითამაშო, როცა ამა თუ იმ გმირის განსახიერებას გადაწყვეტ. საით უნდა წარმართო შენი შინაგანი ფსიქოძალები, ასე ვთქვათ.

იგი წერს:

„Движущаяся звезда Мефистофеля находится в зрачках“. თვალის გუგებშია ამ პერსონაჟის მოქმედების მარცვალი, ის, რაც მას ამოძრავებს. ერთხელ რუსებმა გადაწყვიტეს მეფისტოფელის გადაღება. მაშინ ჩეხოვი წაკითხული არ მქონდა. ვიფიქრე, იგი მწყემსად განმესახიერებინა. დიდი მათრახი მოვითხოვე, რომლითაც ეს ჯოჯოხეთის ნაშობი მწყემსავდა ხალხის ბრბოს, ფარას. მოიქნევს და ჭაახ, ურტყამს.

ჩეხოვმა სხვანაირად წარმოიდგინა: მისი აზრით, თვალთა გუგებით უთვალთვალებს კაცობრიობას მეფისტოფელი.

„У Гамлета — в сердце“, — განაგრძობს ჩეხოვი, ანუ იგი სამყაროს გულით აღიქვამს. გული უსკდება მისი მამის, მისი ბიძის, დედამისის ტრაგედიის მომსწრეს.

„Движушаяся звезда Лира находится в уме“. ასეთი ფრაზაც აქვს მეფე ლირს: „მე ტვინში დამჭრეს“... გადარია ყველაფერმა. მაგრამ თვითონ როგორ იქცევა? ვინც სიმართლე უთხრა, ის შეი- ▶



# „პოლიტიკა, ჩემი აზრით, არის ადამიანთა ურთიერთობა. რომელ მოღვაწეს, პოლიტიკოსს როგორ უნდა ველაპარაკო, არ ვიცი. მე ვიცი, როგორ უნდა ველაპარაკო ჩემს კოლეგებს, კარგ რეჟისორს, როგორ დავემორჩილო მას, როგორ დაველაპარაკო ჩემს პარტნიორს ან დრამატურგს — როგორ ვთხოვო მას, ვთქვათ, რომელიმე სცენის გადაკეთება“.

ანდერძად დატოვებული

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ძულა. ტვინშია მისი პრობლემა...

შემდეგ: „Движущаяся звезда Санчо находится в ягодице“. დუნდულებშიაო სანჩოს ვარსკვლავი.

„Движушаяся звезда Дон Кихота находится чуть выше головы“. ეს რომ წავიკითხე, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: არც მიწაზე დგას, არც ცაშია ასული.

**— დავდგეთ მიწაზე, ბატონო კახი. და გკითხავთ: ყველა მსახიობი თავის შექსპირზე ოცნებობს, როგორც წესი, ჰამლეტის, მეფე ლირის და ა.შ. როლების შერულებაზე. თქვენი ოცნების შექსპირი როგორია?**

— მეოცნებე კი ვარ, მაგრამ ასე „დურაკულად“ მეოცნებე მაინც არ ვარ. აი, კაცი ოტელოს თამაშობს, ჰამლეტს თამაშობს, რიჩარდს თამაშობს, აზდაკსაც თამაშობს, არადა, მაინცდამაინც ბიბლიური აარონი უნდა რომ ითამაშოს. ხდება ხოლმე, რაღაც ოცნებას აიკვიატებენ და შემდეგ ამ ოცნებას მიაკვდებიან. მე ვცდილობ, როლზე არ ვიოცნებო. რატომ? ახლავე გეტყვით: შენ გიყურებს რეჟისორი. მან შენზე უკეთ იცის, რა შეგიძლია. უბედური პროფესია გვაქვს... ერთადერთი, რაზეც მიოცნებია, ჩემთვის მიოცნებია, გოგოლის „შეშლილის წერილები“ იყო. ერთხელ ვნახე, ვასაძე რომ თამაშობდა, და გავგიჟდი.

როგორ იწყება? „Сегодняшний день — есть день величайщего торжества! В испании есть король. Он отыскался. Этот король я“. ბედნიერი დღეაო, მეფე ვარო, და ამას მოჰყვება შეშლილის წერილები.

**— ცხოვრებაშიც ხომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ესპანეთის მეფეები არიან? მეფეები თუ არა, მთავარი ვეზირები მაინც.**

— რა უნდა უთხრას ამ დროს ფსიქიატრმა გიჟს? კი, გენაცვალე, მეფე ხარ. ჩემი მეგობრის სიდედრი ლილი ნაკაშიძე იყო გენიალური ქალბატონი და არაჩვეულებრივი ფსიქიატრი, სულ გენაცვალეთი ელაპარაკებოდა სულით ავადმყოფებს, ეთანხმებოდა ყველაფერში... იყოს რა, გაკლდება ამით რამე?

**— რომელი იყო თქვენი ის როლი, რომლის შესრულების შემდეგ მიხვდით, რომ თეატრის გარეშე ცხოვრება არ შეგიძლიათ?**

— ასეთი როლი არ ყოფილა, მაგრამ იყო ერთი როლი, რომლის შესრულების შემდეგ მივხვდი, რომ თურმე არტისტობა შემიძლია.

ერთი ხანობა თეატრიდან წასვლა და ექიმობა დავაპირე. ვმუშაობდი კიდეც სანიტრად. ალექსანდრე გზირიშვილი იყო არაჩვეულებრივი ქირურგი, აკადემიკოსი. მან ნება დამრთო, მეყურებინა ოპერაციისთვის.

ოპერაციის შემდეგ ექიმები საავადმყოფოდან მიდიოდნენ და რჩებოდნენ პაციენტები ორი საწყალი, მოხუცი ქალის ანაბარა. დავიწყე ამათთან მუშაობა. ხელფასსაც მაძლევდნენ — 400 მანეთამდე.

ერთხელ სპექტაკლზე დავპატიჟე ბატონი ალექსანდრე. წარმოდგენის შემდეგ პატარა ბარათი მომწერა: „შვილო კახი, მოდი, ყველამ თავის საქმეს მიხედოს“. ის დღე იყო და ის დღე — ექიმობაზე აღარ მიფიქრია.

**— რომელი როლი იყო, რომელმაც თეატრში დაგაბრუნათ?**

— ძალიან კარგად მახსოვს: კაკულის ვთამაშობდი სპექტაკლში „პეპო“. ხოლო ის როლი, რომელმაც დამარწმუნა, რომ არტისტობა შემიძლია, სუმბათაშვილის „ღალატში“ სოლეიმან ხანის როლი იყო. რობიკომ დადგა და შემომთავაზა, რომ ჩემს პერსონაჟს უნდა ელაპარაკა წვრილი ხმით და ნელა ემოძრავა. ეს ძალიან ძნელად გადასაწყვეტი ამოცანა იყო, მაგრამ, ვფიქრობ, რომ გამომივიდა. სოლეიმან ხანი, მოვლინებული გველი, დასრიალებდა საქართველოში, რათა მოეხრჩო ქვეყანა.

დაქირავებული კაცი, რომელიც დავალებას ასრულებს, ჯანმრთელი არ არის. ასეთი ჩანაფიქრი ჰქონდა რეჟისორს. თრიაქით გაბრუებული ისე მოკლავდა ადამიანს, ვითომც არაფერი. ეს ავადმყოფი და გარყვნილი კაცი ერთ ქალს კოცნის, მეორეს კოცნის და ხეზე, რომელიც სცენის ცენტრში დგას და საქართველოს ყლორტს განასახიერებს, ორგაზმით იკლავს ბილწ აგზნებას თავისას.

ხეზე!

გახრწნილია სულიერად და ფიზიკურად...

ამ სპექტაკლისა და ამ როლის შემდეგ ვიფიქრე, რომ თურმე არტისტობა შემძლებია.

ერთი უცნაური თვისება მჭირს, როცა კინოში როლს შევასრულებ, გავახმოვანებ და მეტყვიან, მორჩა ყველაფერიო, აღარ მაინტერესებს იმის ბედი. აღარ ვნახულობ. რომ გითხრათ, „ღვინის ქურდები“ არ მინახია, დაიჯერებთ?

**— არა, რადგან მე ყოველთვის სიამოვნებით ვუყურებ, ალარც კი ვიცი, მერამდენედ.**

— ძალიან მიჭირს ჩემი თავის ყურება. ერთადერთხელ იყო, როცა გოლდონის „სასტუმროს დიასახლისში“ თვალი მოვკარი მომენტს, როცა რაღაცას ვჭამდი (ჭამის განსახიერება ეკრანზე ძალიან ძნელია. სცადეთ და დამეთანხმებით), ბოლომდე ვუცქირე, ვთქვი, ვა, რა სწორად ვჭამ! ავდექი და წავედი.

ერთხელაც რომელიღაც ფილმში დავინახე, რომ დავრბივარ. ვააა, რა ჯანმრთელად დავრბივარ! დანარჩენით არ დავინტერესებულვარ.

ახლა ჯანმრთელობის მხრივ რაღაც პრობლემები მაქვს და ჩემი თავი დავიჭირე, რომ მინდა, რაღაცები მოვასწრო.



შენ თუ ამ ჯამს დალევ...

## «ამასწინათ უცხოეთიდან ჩამოვიდნენ ქართველები, ჩვენი სპექტაკლის — «მოხუცი ჯამბაზების» ნახვა მოისურვეს. თქვესო, რომ კახი ავად არის, გვინდა, მოვასწროთ, თურმე ძალიან სერიოზულად არის საქმეო. საქმე მართლაც სერიოზულადაა... მოვიდნენ, მიყურეს და, სპექტაკლი რომ დამთავრდა, ერთს უთქვამს: — ეგ თუ ავად არის, მე მკვდარი ვყოფილვარო»




შემთხვევა უდაბნოში: „ვერ მიმასწავლი კუდიგორის გზას?“



სასტენდო სროლის ახალი სახეობა „აბდულა“

ამასწინათ უცხოეთიდან ჩამოვიდნენ ქართველები, ჩვენი სპექტაკლის — „მოხუცი ჯამბაზების“ ნახვა მოისურვეს. თქვესო, რომ კახი ავად არის, გვინდა, მოვასწროთ, თურმე ძალიან სერიოზულად არის საქმეო. საქმე მართლაც სერიოზულადაა... მოვიდნენ, მიყურეს და, სპექტაკლი რომ დამთავრდა, ერთს უთქვამს: — ეგ თუ ავად არის, მე მკვდარი ვყოფილვარო.

**— ისევეა, როგორც „შენ თუ ამას დალევ... შენ თუ ამას დალევ“...**

— *(გულიანად იცინის).* სოფიკო ამბობდა კოტეზე: გრძნობდა, კარგად რომ ვერ იყო და რაღაცა უნდოდა მოესწროო...

მეც ჩემი თავი დავიჭირე ამ სურვილზე — რაღაცა უნდა მოვასწრო.

**— ეს იქნება საზოგადოებრივი საქმე?**

— არა! თუ საზოგადოებრივ მუშაობაში გადავყავი თავი, დავივიწყებ ჩემს საქმეს. მგონია, რომ ჩემი პროფესია ბოლომდე არ ვიცი. ყოველთვის ისეთ შინაგან რაღაცას აღმოვაჩენ, რომ, ვაი, დედა, როგორ ვბედავდი ამ როლის თამაშს...

**— ახლა რაზე მუშაობთ?**

— ფოლკლორული ცენტრიდან მთხოვეს, კავსაძეების საღამო გავაკეთოთო, მამაჩემის — დათაშკა კავსაძის 100 წლისთავთან დაკავშირებით. მამამ ქართველი ტყვეების მომღერალთა გუნდი ჩამოაყალიბა და 1943 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამართა კონცერტი.

**— იქ?!**

— იქ, აბა?! ომის დამთავრების შემდეგ საქართველოში რომ ბრუნდებოდა, სოჭში დააპატიმრეს. 1952 წელს გადასახლებაში გარდაიცვალა თუ მოკლეს, არ ვიცით.

ჰოდა, გამართეს მამაჩემისადმი მიძღვნილი საღამო ფოლკლორულ ცენტრში მომუშავე კარგმა ადამიანებმა. ამ საღამოს დაესწრო ჩემი ქალიშვილის მეგობარი რეჟისორი ნანა ჯანელიძე და გაგიჟდა, ისე მოეწონა.

— მე უნდა კინო გადავიღოო, — გადაწყვიტა. ახლა ეს ფილმი უკვე დამთავრებულია. „ნეტავი, იქ თეატრი არის?“ — ასე ჰქვია ამ ფილმს.

* * *

ნეტავი! სანეტარო დროის დადგომისთვის ზოგი ხმალამოღებული იბრძვის, ზოგი — პოლიტიკური, „მშვიდობიანი“ ხერხებითა და მეთოდებით.

კახი კავსაძის სანეტარო დრო ერთიანი, გაუხლეჩავი, დაუპირისპირებელი საზოგადოებაა ერთიან და მთლიან საქართველოში.

მას თავისი გზა აქვს არჩეული, სხვას — სხვა.

ასე იქნება თუ ისე, უნდა დადგეს ეს დრო, რადგან ასეთია კაცობრიობის განვითარების ლოგიკა.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ეს ინტერვიუ ბატონ კახის 2011 წლის 27 მაისს ჩამოვართვი. ათი წლის შემდეგ (ერთი თვე რომ დააკლდება) 2016 წლის 27 აპრილს გარდაიცვლება და ეს ჩანაწერი ანდერძის საკრალური მნიშვნელობით დაიტვირთება.**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს იქ, სადაც არის თუ არა თეატრი, კახი კავსაძემ უკვე იცის.**

**ა.ს.**

## «ერთი უცნაური თვისება მჭირს, როცა კინოში როლს შევასრულებ, გავახმოვანებ და მეტყვიან, მორჩა ყველაფერიო, აღარ მაინტერესებს იმის ბედი. აღარ ვნახულობ. რომ გითხრათ, «ღვინის ქურდები» არ მინახია, დაიჯერებთ?»

დიდი სამამულო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ძაღლი სახელად ჯულბარსი დაჯილდოებული იყო მედლით „საბრძოლო დამსახურებისთვის“ (მან 7468 ნაღმი იპოვა). დაჭრილი ჯულბარსი მონაწილეობდა მოსკოვში 1945 წლის 24 ივნისს ჩატარებულ გამარჯვების აღლუმში. ის სტალინის შინელში გახვეული ხელში აყვანილი ჩაატარეს ტრიბუნასთან.**

**გთავაზობთ რამდენიმე ფაქტსა და ციფრს, რომლებიც ასახავს დიდი სამამულო ომის ტრაგიკულ ისტორიას.**

# გამარჯვება ციფრებში: საინტერესო ფაქტები დიდი სამამულო ომის შესახებ




## დიდი სამამულო ომი 1418 დღეს მიმდინარეობდა

დიდი სამამულო ომი 1941 წლის 22 ივნისს დაიწყო ფაშისტური გერმანიის თავდასხმით საბჭოთა კავშირზე. ეს ომი 3 წელს, 10 თვესა და 18 დღეს გაგრძელდა, ე.ი., 1418 დღეს.

დიდი სამამულო ომის ყველაზე ხანგრძლივი ბრძოლა — ლენინგრადისთვის — 1126 დღეს მიმდინარეობდა. ქალაქი 871 დღის განმავლობაში ბლოკადაში იყო.




## მოსკოვის დაცვაში 7 მლნ ადამიანი მონაწილეობდა

საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვისთვის ბრძოლაში (1941 წლის 30 სექტემბერი — 1942 წლის 20 აპრილი) 7 მლნ ადამიანი მონაწილეობდა;

ბერლინის შტურმში — 4 მლნ.




## დიდ სამამულო ომში 26,6 მლნ ადამიანი დაიღუპა

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ბოლო მონაცემებით, დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის ადამიანურმა დანაკარგებმა 26,6 მლნ კაცი შეადგინა, მათგან დაახლოებით 12 მლნ სამხედრო მოსამსახურე იყო.

## არმიაში 60 ათასი ძაღლი მსახურობდა

დიდ სამამუო ომში ცხოველებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. ომის პერიოდში სხვადასხვა ფრონტზე 60 ათასი ძაღლი იბრძოდა. მათ გაანადგურეს (ააფეთქეს) მტრის ეშელონები და 300-მდე დაჯავშნილი სამხედრო ტექნიკა. ამასთანავე, ძაღლები სანიტრებს ეხმარებოდნენ დაჭრილების ჰოსპიტლებამდე მიყვანაში. ძაღლი სახელად ჯულბარსი დაჯილდოებული იყო მედლით „საბრძოლო დამსახურებისთვის“ (მან 7468 ნაღმი იპოვა). დაჭრილი ჯულბარსი მონაწილეობდა მოსკოვში 1945 წლის 24 ივნისს ჩატარებულ გამარჯვების აღლუმში. ის სტალინის შინელში გახვეული ხელში აყვანილი ჩაატარეს ტრიბუნასთან.




## 250 ათასი გერმანული მარკა ლევიტანის ლიკვიდაციისთვის

ცნობილი დიქტორი იური ლევიტანი დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი სიმბოლო იყო. მისი ხმა ამაღლებდა საბჭოთა ხალხის სულისკვეთებას, ეს კატეგორიულად არ აძლევდა ხელს ნაცისტებს. ფაშისტური გერმანიის საიდუმლო სამსახურმა დიქტორის ლიკვიდაციისთვის 250 ათასი გერმანული მარკა დააწესა. საბჭოთა ხელისუფლება გულმოდგინედ იცავდა ლევიტანს და მის გარეგნობაზე დეზინფორმაციას ავრცელებდა მასმედიაში.



კოლობანოვის ეკიპაჟი

## 22 ტანკი 30 წუთში

დიდ სამამულო ომში უნიკალური რეკორდი დაამყარა 1-ელი სატანკო დივიზიის ტანკ KB-ის ეკიპაჟმა **ზინობი კოლობანოვის** მეთაურობით. ეკიპაჟმა ლენინგრადის მისადგომებთან 30 წუთში 22 ტანკი გაანადგურა (სულ ბრძოლაში გერმანელებმა 43 ტანკი დაკარგეს). კოლობანოვის ეკიპაჟის გმირობა გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც ყველაზე შედეგიანი სატანკო ბრძოლა ომების ისტორიაში.




## 80 ათასი ქალი-ოფიცერი

დიდ სამამულო ომში ქალების როლი კოლოსალურია. ომის წლებში ფრონტის წინა ხაზზე იარაღით ხელში მილიონამდე ქალი იბრძოდა, მათგან 80 ათასი ოფიცერი გახლდათ. ქალი-მოხალისეებისგან შექმნილი იყო საავიაციო პოლკები, მსროლელთა და სადაზვერვო ბრიგადები, მეზღვაურთა ასეული.

87 ქალს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.







## 2,5 ტრილიონ რუბლზე მეტი მატერიალური ზარალი

ოფიციალური მონაცემებით, სსრკ-ის მატერიალურმა ზარალმა, საერთო ჯამში, 2,5 ტრილიონი რუბლი (ომამდელი კურსით) შეადგინა. ეს საბჭოთა კავშირის ეროვნული სიმდიდრის 30% იყო, ფაშისტების მიერ ოკუპირებულ რაიონებში კი ზარალმა 65%-ს მიაღწია.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ფაშისტებმა 1710 ქალაქი და 70 ათასამდე სოფელი მიწასთან გაასწორეს.




## მილიონზე მეტი ადამიანი დაჯილდოვდა მედლით „ბერლინის აღებისთვის“

დაჯილდოებულთა შორის არიან საბჭოთა კავშირის მარშლები: **გიორგი ჟუკოვი** და **ივანე კონევი.** ჯილდოების დიდი ნაწილი ომის დასრულებიდან პირველ 3 წელიწადში გადაეცა ბერლინის შტურმში მონაწილეებს.

აღსანიშნავია, რომ 1951 წლამდე მედალი და მასთან ერთად მოწმობა სახელმწიფოს უბრუნდებოდა დაჯილდოებულთა გარდაცვალების შემდეგ. მოგვიანებით ნათესავებს უფლება მისცეს, დაეტოვებინათ მედალი „ბერლინის აღებისთვის“.




## მოსკოვის ქუჩებში 57 600 ტყვე გერმანელი სამხედრო ჩაატარეს

1944 წლის 17 ივლისს მოსკოვის ქუჩებში 57 600 ტყვე გერმანელი ოფიცერი და ჯარისკაცი ჩაატარეს. ტყვე გერმანელების მარშს „დამარცხებულთა აღლუმი“ უწოდეს. ტყვეები წოდების მიხედვით იყვნენ დაყოფილი: კოლონას წინ უძღოდა ვერმახტის 20-მდე გენერალი, მათ მიჰყვებოდნენ ოფიცრები — პოლკოვნიკის ჩინიდან ქვემოთ, შემდეგ — უნტერ-ოფიცრები და ბოლოს — ჯარისკაცები.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**მატჩის საკვანძო მომენტი მსაჯის, იტალიელ რიკარდო ლატანძის, საფინალო სასტვენამდე 3 წუთით ადრე დადგა: დავით ყიფიანმა ბურთი გადასცა მეტოქის საჯარიმოსთან ახლოს მყოფ ვიტალი დარასელიას, რომელმაც ჯერ ერთი მცველი მოატყუა, შემდეგ — მეორე, მარჯვენა ფეხიდან ბურთი მარცხენაზე გადაიტანა და გრაპენტონის კარში გაიტანა — 2:1!**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1981 წლის 13 მაისი ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებისთვის საკრალური თარიღია. მიმდინარე წლის 13 მაისს ქართული ფეხბურთის უდიდესი გამარჯვებიდან ზუსტად 40 წელი შესრულდება. ის სიხარული, რომელიც თბილისის დინამოელებმა 1981 წლის 13 მაისს სრულიად საქართველოს მოჰგვარეს, წარუშლელია; დიუსელდორფში უეფას თასების მფლობელთა თასის ფინალის მატჩში გამარჯვება საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა განუმეორებელი კოტე მახარაძის რეპორტაჟის (მატჩს სსრკ-ის ყველა რესპუბლიკაში გადასცემდნენ) ბოლო ფრაზით: „Представляю, что сейчас творится в столице Грузии Тбилиси. Ликует столица Грузии, ликует вся наша страна!“.**

# ტრიუმფი დიუსელდორფში

## ქართული ფეხბურთის ყველაზე ღირსშესანიშნავი გამარჯვებიდან 40 წელი გავიდა

თბილისში იმ ღამით ყველა — დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი — ქუჩაში გავიდა გამარჯვების საზეიმოდ. გახარებული ხალხის მასამ აავსო ქუჩები. რუსთაველის პროსპექტზე გამყოფ ხაზზე იდგნენ მამაკაცები ღვინით სავსე დოქებით ხელში და ჩავლილ ავტომობილებში მსხდომთ დინმოელთა გამარჯვების სადღეგრძელოს სთავაზობდნენ, მილიციელები კი ღიმილით შესცქეროდნენ მოზეიმე ხალხს.

შემდეგ ადამიანები „დინამოს“ სტადიონზე შეიკრიბნენ — სარბენი ბილიკები და გაზონი სავსე იყო ადამიანებით და, როდესაც დიქტორმა მათ სთხოვა, გაზონიდან გადასულიყვნენ, რადგან ბალახის საფარი შეიძლება გაფუჭებულიყო, 3-4 წუთში მწვანე გაზონზე აღარავინ იდგა. თბილისელები და სრულიად საქართველო გათენებამდე ზეიმობდნენ დიდ გამარჯვებას.

თბილისის „დინამო“ მოვლენა იყო საბჭოთა ფეხბურთში. გუნდმა პირველ წარმატებას 1964 წელს მიაღწია, როცა ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა წლები შესანიშნავი მწვრთნელის, **ნოდარ ახალკაცის** ხელმძღვანელობით — 1976 წელს დინამომ სსრკ-ის თასის ფინალში ერევნის „არარატი“ გაანადგურა (3:0) და პირველად დაეუფლა თასს. 1978 წელს მეორედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული, ხოლო 1979 წელს კვლავ დაეუფლა სსრკ-ის თასს. იმავე წელს, შემოდგომაზე „დინამომ“ ნოკაუტში ჩააგდო უეფას ჩემპიონთა თასის (ლიგა) იმჟამინდელი ჩემპიონი ინგლისის „ლივერპული“ — 3:0. თასების მფლობელთა თასის 1980-1981 წლების გათამაშებაში კი შემთხვევით მოხვდა — სსრკ-ის თასის ფინალში დამარცხდა დონეცკის „შახტიორთან“ და, წესით, ევროპის ტურნირზე უკრაინულ კლუბს უნდა ესპარეზა, მაგრამ, ვინაიდან სსრკ-ის თასის ფინალი მოსკოვის ოლიმპიადის გამო გვიან გაიმართა, სსრკ-ის ფეხბურთის ფედერაციამ უეფას განაცხადი წინა, 1979 წლის გამარჯვებულზე გაუგზავნა — თბილისის „დინამოზე“...

აღსანიშნავია, რომ 1977-1978 წლებში თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში დაიწყეს თამაში ახალგაზრდა პერსპექტიულმა ფეხბურთელებმა. კარში ადგილი დაიკავა კარგი ნახტომის მქონე **ოთარ გაბელიამ;** დაცვაში **ალექსანდრე ჩივაძის, შოთა ხინჩაგაშვილისა** და **ნოდარ ხიზანიშვილის** გვერდით გამოჩნდა **თამაზ კოსტავა.** ნახევარდაცვაში ადგილი დაიმკვიდრეს შეუპოვარმა და შრომისმოყვარე **თენგიზ სულაქველიძემ** და ტექნიკურმა **ვიტალი დარასელიამ;** თავდასხმის მარჯვენა ფლანგზე შესანიშნავად მოქმედებდა **ვლადიმერ გუცაევი,** ცენტრში — გოლეადორი **რამაზ შენგელია** (ორჯერ დასახელდა სსრკ-ის საუკეთესო ფეხბურთელად — 1978 და 1981 წლებში) და, რა თქმა უნდა, გუნდის „ტვინი“ **დავით ყიფიანი.**



უეფას თასების მფლობელთა თასის 1980-1981 წლების გათამაშების პირველ ეტაპზე თბილისის „დინამომ“ საბერძნეთის „კასტორია“ დაამარცხა (0:0, 2:0); მერვედფინალში — ირლანდიის „უოტერფორდი“ (1:0, 4:0). მეოთხედფინალში კი შეხვდა ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედს“. პირველ მატჩს, რომელიც 1981 წლის 4 მარტს ლონდონში გაიმართა, სპეციალისტები „დინამოს“ მიერ ჩატარებულ საუკეთესო მატჩებს შორის ასახელებენ. ლონდონის „აპტონ პარკზე“ თბილისელებმა მეტოქე გაანადგურეს — 4:1 (დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს ჩივაძემ, გუცაევმა და შენგელიამ — 2, ლონდონელთაგან — კროსმა). ნახევარფინალში თბილისელთა მეტოქე იყო როტერდამის „ფეიენოორდი“ — უეფას ჩემპიონთა თასის (1969-1970) საკონტინენტთაშორისო (1970) და უეფას თასების მფლობელი, ჰოლანდიის 11-გზის ჩემპიონი (სულ 15-ჯერ მოიპოვა ეს ტიტული). „დინამომ“ შესანიშნავად ითამაშა თბილისში და დამაჯერებლად გაიმარჯვა — 3:0.

„მე ვიცოდი, როგორ თამაშობენ ყიფიანი, ჩივაძე, გუცაევი, — თქვა პრესკონფერენციაზე როდერდამელთა მწვრთნელმა **ვაცლავ ეჟეკმა,** რომელმაც ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს 1976 წელს ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა, — ახლა ისინი ჩვენმა ფეხბურთელებმაც იხილეს“.

საპასუხო ნახევარფინალური მატჩი მძიმე აღმოჩნდა თბილისელებისთვის, რადგან ავსტრიელი მსაჯი, **ფრანც ვიორერი,** მხოლოდ ჰოლანდიელების სასარგებლოდ უსტვენდა და დინამოელთა კარში გამოგონილი პენალტი დანიშნა, თბილისელებს კი 3 (!) ნაღდი გოლი არ ჩაუთვალა.

„ჩვენ 3 ბურთი გავიტანეთ, მაგრამ არც ერთი არ ჩაგვითვალეს. მსაჯმა 2-ჯერ ხელი გაიშვირა ცენტრისკენ, მაგრამ გვერდით მსაჯთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვეტილება გააუქმა. „ფეიენოორდს“ კი მეორე გოლი გამოგონილი 11-მეტრიანიდან გაატანინა. ასეთი მიკერძოებული მსაჯობა არასოდეს მინახავს. მთელი მატჩის განმავლობაში გვაგინებდნენ, ლუდის ბოთლებსა და ქილებს გვესროდნენ, მაგრამ გავუძელით. ბოლო წუთებში კი ბურთი ჩვენ დავიჭირეთ და შტურმის მოწყობის საშუალება არ მივეცით“, — განაცხადა რამაზ შენგელიამ მატჩის შემდეგ.

და აი ფინალიც: მეტოქე იენის „კარლ ცაისი“ გერმანიიდან. ფინალისკენ მიმავალ გზაზე „კარლ ცაისმა“ დაამარცხა იტალიური „რომა“, თასის მფლობელთა თასის წინა სეზონის გამარჯვებული ესპანეთის „ვალენსია“ და პორტუგალიის „ბენფიკა“.

თბილისელებმა მატჩი ენერგიულად დაიწყეს — ფლობდნენ ინიციატივას, უტევდნენ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში კარგად თამაშობდა „კარლ ცაისის“ გოლკიპერი **ჰანს ულრიხ გრაპენტინი.** დაცვაში გერმანელებმა მიმართეს იმ ტაქტიკას — პერსონალურ მეურვეობას, რომლითაც ეთამაშნენ ტექნიკურ ესპანელებსა და პორტუგალიელებს. და ამ, ერთი შეხედვით, საფეხბურთო ანაქრონიზმმა მათ შედეგი მოუტანა გარკვეული დროის განმავლობაში. შეტევაზე კი გერმანელები იშვიათად გადადიოდნენ და ერთ-ერთი ასეთი შეტევისას, 63-ე წუთზე, **გერჰარდ ჰოპემ** „დინამოს“ კარში ბურთი გაიტანა. ამ მარცხმა გაამწარა დინამოელები და მათ გაორმაგებული ენერგიით შეუტიეს მეტოქეს. თეთრ-ცისფერთა სწრაფმა, ტექნიკურმა თამაშმა შედეგი გამოიღო და ვლადიმერ გუცაევმა 67-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში — 1:1. **მატჩის საკვანძო მომენტი კი მსაჯის, იტალიელ რიკარდო ლატანძის, საფინალო სასტვენამდე 3 წუთით ადრე დადგა: დავით ყიფიანმა ბურთი გადასცა მეტოქის საჯარიმოსთან ახლოს მყოფ ვიტალი დარასელიას, რომელმაც ჯერ ერთი მცველი მოატყუა, შემდეგ — მეორე, მარჯვენა ფეხიდან ბურთი მარცხენაზე გადაიტანა და გრაპენტონის კარში გაიტანა — 2:1!**

საფინალო სასტვენის შემდეგ იყო კოტე მახარაძის ფრაზა:

„Ликует столица Грузии, ликует вся наша страна!“.

**P.S. ბურთი, რომელიც, წესით, მსაჯს უნდა დარჩენოდა, „დინამოს“ მასაჟისტმა ანზორ გაბიტაშვილმა გაიტაცა.**

**P.P.S. ბატონი ანზორ გაბიტაშვილი ამა წლის 9 მაისს გარდაიცვალა.**



კოტე მახარაძე




მატჩზე დასასწრები ბილეთი




მატჩის პროგრამა




ვლადიმერ გუცაევის გოლი გრაპენტინის კარში




წამიც და ვიტალი დარასელია გამარჯვების გოლს გაიტანს „კარლ ცაისის“ კარში

# გაეროს ექსპერტები: მილიონობით ადამიანს შიმშილით სიკვდილი ელის

**სასურსათო კრიზისთან ბრძოლის გლობალური ქსელის (რომელშიც შედის გაერო) ექსპერტებმა გამოაქვეყნეს ახალი მოხსენება, რომელშიც კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო მოვლენების განვითარების პირქუში სურათია დახატული. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ სავარაუდო სცენარებიდან ყველაზე ცუდი განხორციელდება — ჩვენი პლანეტის 34 მლნ მცხოვრებს შიმშილით სიკვდილი ელის.**



ორგანიზაცია იყენებს მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ სკალას, რომლითაც განისაზღვრება სასურსათო კრიზისის ხარისხი. 2020 წელს პროდუქტების უქონლობის ბოლო მეხუთე სტადიაში აღმოჩნდა 133 ათასი ადამიანი, რომლებიც ცხოვრობენ იემენში, სამხრეთ სუდანში, Bურკინა-ფასოში. ეს სტადია შიმშილის კატასტროფული დონის მაჩვენებელია. ამჟამად 38 ქვეყანაში მცხოვრები 28 მლნ ადამიანი სასურსათო კრიზისის მეოთხე სტადიის პირობებში ცხოვრობს — კატასტროფიდან ერთ ნაბიჯში.

მოხსენებაში მოყვანილია კიდევ ერთი საშინელი მონაცემი: 55 ქვეყანაში 90 მლნ ბავშვი ვერ ვითარდება საკვების არყოფნის გამო.

მოხსენების ავტორები მიუთითებენ, რომ პანდემიამ გლობალური სასურსათო სისტემის პრობლემები გამოავლინა.

**kp.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



# ბაიდენის პრეზიდენტობის 100-მა დღემ უმდიდრეს ამერიკელებს 195 მილიარდი დოლარის შემოსავალი მოუტანა

**ჯო ბაიდენის პრეზიდენტობის 100 დღის განმავლობაში აშშ-ის 100 უმდიდრესი ადამიანი 195 მილიარდი დოლარით გამდიდრდა.**

საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებიდან ბაიდენის ინაუგურაციამდე კი ამ უმდიდრესმა ადამიანებმა 267 მილიარდი დოლარი გამოიმუშავეს. შედეგად, 2020 წლის 4 ნოემბრიდან, ანუ საპრეზიდენტო არჩევნებიდან მოყოლებული უმდიდრესი ამერიკელების კაპიტალი გაზრდილია 461 მილიარდი დოლარით.

ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის მონაცემებით, 100 უმდიდრესი ამერიკელის ქონება ამჟამად 2,9 ტრილიონ დოლარს აღწევს, მაშინ, როცა ამერიკის მოსახლეობის შეძლებული ფენის 50% 2,5 ტრილიონი დოლარის ქონებას ფლობს.

**bpn.ge**

# ლუკაშენკო: ამერიკელებმა დანიშნონ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები და ჩვენც იმავე დღესვე ჩავატარებთ

**ბელარუსში მზად ვართ, ჩავატაროთ რიგგარეშე არჩევნები, ოღონდ აშშ-ში ახალი არჩევნების პარალელურად, — განაცხადა ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ.**



„მე მომხრე ვარ. ამას საჯაროდ ვამბობ. თანახმა ვარ, ჩატარდეს არჩევნები, რასაც ისინი ითხოვენ. გადავიტან ყველაფერს, გადავაბიჯებ იმას, რომ დამოუკიდებლები არ ვართ. მე მზად ვარ. პარალელურად, ამერიკელებმა დანიშნონ რიგგარეშე არჩევნები და ჩვენც ბელარუსში იმავე დღეს დავნიშნავთ“, — განაცხადა ლუკაშენკომ.

ბელარუსის ლიდერმა, ამასთანავე, ყველას შეახსენა, როგორ მიმდინარეობდა აშშ-ში საარჩევნო კამპანია: ადამიანები ხმას აძლევდნენ ფოსტის მეშვეობით; ბიულეტენები, რომლებითაც ხმას ტრამპს აძლევდნენ, ნაგვის ურნებში ჩაყარეს.

„მათ ფეხები გაიწმინდეს მოქმედ პრეზიდენტზე. ისინი აქამდე არ აძლევენ „ტვიტერში“ სიტყვის თქმის უფლებას. ის დაბლოკეს. მასობრივი ინფორმაციის რომელ ხელმისაწვდომობაზეა ლაპარაკი?“ — დასვა კითხვა ალექსანდრე ლუკაშნკომ.

**შეგახსენებთ:** დასავლეთის ქვეყნები არ აღიარებენ 2020 წლის 9 აგვისტოს ბელარუსში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს; არჩევნების, რომელშიც, ოფიციალური მონაცემებით, დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ლუკაშენკომ. აშშ დ ევროკავშირი მხარს უჭერენ ბელარუსულ ოპოზიციას და ახალი არჩევნების ჩატარებას მოითხოვენ.

**Eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**




# შოკური ვითარება აშშ-ის შრომის ბაზარზე

**მიმდინარე წლის აპრილში აშშ-ში დაგეგმილი იყო 1,5-2 მლნ ახალი სამუშაო ადგილის შექმნა, საბოლოოდ კი შეიქმნა მხოლოდ 260 ათასი. ეს შრომის ბაზრის ყველაზე დიდი არასწორი შეფასებაა ბოლო 30 წლის განმავლობაში.**

ლიბერალური პრესა გაზაფხულზე ელოდა ეკონომიკის სწრაფ აღმავლობას „ნამდვილი პროფესიონალის“ — ჯო ბაიდენის ხელმძღვანელობით. ეკონომიკის აღმავლობა, ალბათ, მართლა დაიწყებოდა, თეთრი სახლი რომ არ უშლიდეს ხელს გამუდმებული მრავალკვირიანი „ლოკდაუნებით“. ბაიდენის პრეზიდენტობის პირველივე დღეებში გამოიცა განკარგულებები, რომლებმაც სამუშაო ადგილების გარეშე დატოვა ბევრი მენავთობე და მეტალურგი. მათ, უბრალოდ, შესთავაზეს, სხვა სპეციალობას დაუფლებოდნენ. ამ რჩევას მოჰყვა მოსახლეობის ფინანსური დახმარების გეგმა, რომლითაც მოიმატა სოციალურმა გადახდებმა. მას დაემატა ბიზნესის დახმარება, თუმცა ახლა იმავე ბიზნესს გადასახადების მომატებით ემუქრებიან. სწორედ ამის გამო ქმნის ბიზნესი ნაკლებ სამუშაო ადგილებს, თუმცა ვაკანსიები საკმარისია.

პრობლემა არის ის, რომ მუშაობის მსურველი ცოტაა. მილიონობით ამერიკელი მიეჩვია უმუშევრობას და, ამასთანავე, ფულადი დახმარების მიღებას ძია სემისგან.

**News-front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა”**

# წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხოთ

**სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი, როდესაც წავიკითხე ახალგაზრდა მეცნიერის, ლევან კობახიძის, ფილოსოფიური ნაშრომი: „ნიცშეს „მორალის გენეალოგიაზე“ კეთილშობილური ღირებულებების დასტურყოფა“.**




დამოუკიდებელ საქართველოში, სამწუხაროდ, იშვიათობაა ჭეშმარიტი მეცნიერული ნაშრომის ხილვა. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, თვალს ვადევნებ სამეცნიერო აზროვნების განვითარებას და ნიშანდობლივია, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ისევ ასაკოვანი მეცნიერები ვაქტიურობთ და ფურცელზე გადატანილ ჩვენს ნაფიქრალს ერთმანეთს ვუზიარებთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეცნიერების მიმართ ინტერესი მინელდა, მასმედიაში თითქმის აღარ იბეჭდება ცნობები იმ პროცესებზე, რომლებიც სამეცნიერო სამყაროში ჯერ კიდევ მიმდინარეობს, აღარც რეცენზიები იწერება სამეცნიერო ნაშრომებზე. საზოგადოების ყურადღება, ძირითადად, გადატანილია ყოველდღიურ, საყოფაცხოვრებო პრობლემებზე და ქართული მეცნიერება, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის, ე.წ. საბჭოთა მეცნიერების ავანგარდში ყოველთვის იყო, დღეს მივიწყებულია. ახალგაზრდობა აღარ „იტვირთავს“ თავს ისეთი საქმიანობით, რომელსაც შემოსავალი თითქმის აღარ მოაქვს და მეცნიერებისადმი ინტერესიც თანდათან ქრება.

სწორედ ამიტომ იყო ჩემთვის სასიამოვნო ის გაკვირვება, რომელიც გამოიწვია ზემოხსენებული წიგნის ხილვამ და იმიტომაც, რომ მისი ავტორი ახალგაზრდა მეცნიერია. მადლობა მას იმისათვის, რომ „გაბედა“ და გადადგა ნაბიჯი ბურუსით მოცულ პერსპექტივაში და იმისთვისაც, რომ ამ ნაბიჯით თავის თაობას შეახსენა, რომ ჭეშმარიტი ბედნიერება სრულყოფილ აზროვნებაშია, რომელიც ქართველებს ისტორიულად მოგვდგამს. სწორედ ამან ამაღებინა კალამი და ამიტომ ვესალმები ახალგაზრდა კაცის გაბედულებას.

ცხადია, ბევრ რამეში გავერკვიე წიგნის კითხვისას, მაგრამ, როგორც სხვა დარგის წარმომადგენელი, ნაშრომის მეცნიერული შეფასების უფლებას თავს ვერ მივცემ, ამას ჩემზე უკეთ დარგის პროფესიონალები გააკეთებენ.

წიგნის გაცნობამ დამარწმუნა, რომ ქართული მეცნიერული აზროვნება ისევ გაბრწყინდება, თუ ლევან კობახიძეს მიბაძავენ მისი თაობის ადამიანები და ქართულ წიგნიერ საზოგადოებას ჭეშმარიტ სამეცნიერო ნაშრომებს მიაწვდიან, რომლებსაც, დიდი ხანია, ველოდებით.

**ნაპოლეონ ქარქაშაძე,**
**აკადემიკოსი**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894

9 772233 389009